ეროვნული ბიბლიოთეკა

# მებრძოლი საქართველო

ქართული ეროვნული საბჭოს ორგანო

„LA GÉORGIE COMBATTANTE"

მაისი 1991 - Nr. 9(27) - MAI 1991

"ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს". ილია

## მ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს დამოუკიდებლობის 73 წლისთავი

ისევ-აღდგომა: 26 მაისი და 9 აპრილი.......................1
26 მაისის ისევ-აღდგომა და უცხოეთი.........................3
26 მაისი და "გარდამავალი პერიოდი"........................8
საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი:
ქართულ, ინგლისურ, ფრანგულ და რუსულ ენებზე...............10
საქართველოს სახელმწიფო გერბი............................14
საქართველოს ეროვნული ჰიმნი..............................16

ჩვენი საჭირბოროტო საკითხები

საჭირო მოთმინება, მოთმინება, კიდევ მოთმინება............17
17 მარტისა და 31 მარტის რეფერენდუმი......................18
31 მარტის რეფერენდუმი და ევროპა..........................23
პირველი მაისი: თამარობა და სა-ერთა-შორისო შრომის დღე.....24
"მყვირალა ფაქტები?"......................................26
თურქეთის პრეზიდენტის თურგუთ ოზალის პოზიცია...............27

საქართველოს კონსტიტუციის 70 წლისთავი

საქართველოს კონსტიტუცია და მისი ფესვები..................28
საქართველოს კონსტიტუციის ტექსტი ქართულად და ფრანგულად.....33
ჩვენი კონსტიტუცია........................................66
საქ კონსტიტუციის ზოგიერთი ასპექტის ინტერპრეტაციის ცდა.....68

პ უ ბ ლ ი ც ი ს ტ ი კ ა

ორჯონიკიძე-მახარაძეთა მემკვიდრეები?......................74
"თბილისური სცენარი": ლიტვა და საქართველო.................86
შვეიცარიის დამოუკიდებლობის 700 წლისთავი..................92
მთავრდება ნავთობის ხანა?.................................94

ქართული ემიგრაციის ყოფა-ცხოვრება

პარიზის წმ.ნინოს ეკლესიის ახალი დიაკონი..................94
დაღუპულთა მოსახსენებელი პანაშვიდი წმ.ნინოს ეკლესიაში.....95
გიორგი გვაზავას გარდაცვალების 50 წლისთავი.................95

საუკუნო იყოს ხსენება მათი: გარდაცვლილთა მოხსენება........97

"დემოკრატიის ორგანოა მოქალაქეთა უმრავლესობა. აქედან წამომდგარი ხელისუფლება არის მომქმედი, მჭრელი, მებრძოლი". ნოე

დაარსდა: იანვარი, 1952, პარიზი - Fondation: Janvier 1952, Paris

# საქართველოს დამოუკიდებლობის 73 წლისთავი

## ი ს ე ვ - ა ღ დ გ ო მ ა

I.

"ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა". საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ეს პირველი მუხლი, რომელიც საქართველოს ეროვნული საბჭოს სახელით - ნოე ჟორდანიამ - აცნობა საქართველოს მოსახლეობას და ამით მთელ მსოფლიოს, - ისევ გაისმა, ამჯერად, საქართველოს უზენაესი საბჭოს სესიაზე 1991 წლის 9 აპრილს, როთაც ისევ-აღდგა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც გამოცხადდა 1918 წლის 26 მაისს. ეს კი არის დიდი, დიდი ისტორიული მოვლენა, რომელიც გვახფრთოვანებს, სიამაყის გრძნობას გვიღვიძებს საქართველოს ყველა მოქალაქეს, რომელიც დგას ეროვნული თავის-უფლების, ერისა და პიროვნების თავისუფლების, სოციალური დემოკრატიის პოზიციაზე; და, როგორც 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმმა ნათელჰყო, რეფერენდუმში - "თანახმა ხართ თუ არა აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე" - მონაწილეობა მიიღო საქართველოს მოქალაქეთა ოთხმოც-პროცენტზე მეტმა, რომელთაგან ოთხმოცდა-თვრამეტმა პროცენტმა უპასუხა -"დიახ".

II.

ამგვარად, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმში ქართველმა ხალხმა ისევ-გამოთქვა ურყევი რწმენა, რომ საქართველო იყო და უნდა იქნეს დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო, როგორც ეს იყო 1918-1921 წლებში, საქართველოს "პატარა ოქროს ხანაში". და საქართველოს ხალხის ეს ნებასურვილი აღიქვა საქართველოს უზენაესმა საბჭომ, რომელიც არჩეულ იქნა დემოკრატიული გზით,1990 წლის 28 ოქტომბერს; და საქართველოს უზენაესი საბჭოს თავჯდომარემ - ზვიად გამსახურდიამ - ერისა და ისტორიის წინაშე გამოაცხადა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისევ-აღდგენა, რომლითაც ისევ-ძალაში შედის 1918 წლის 26 მაისს გამოცხადებული საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, საქართველოს კონსტიტუცია და,რაც მთავარია რუსეთთან ურთიერთობაში, საბჭოთა რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის საზავო ხელშეკრულება, რომელიც ლენინის მთავრობამ დადო ჟორდანიას მთავრობასთან, და რომელიც ცალმხრივად დაარღვია საბჭოთა რუსეთმა, როცა 1921 წლის თებერვალ-მარტში დაიპყრო დამოუკიდებელი საქართველო.

III.

პერიოდი,- დაწყებული 1921 წლის 18 მარტიდან,როცა დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნულმა მთავრობამ დატოვა საქართველოს ტერიტორია, რომ ბრძოლა გაეგრძელებინა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის,-და დამთავრებული 1991 წლის 9 აპრილით, როცა ისევ-აღსდგა, ისევ-განახლდა საქართველოს შეწყვეტილი "პატარა ოქროს ხანა" საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლთა სისხლითაც კი არის მორწყული: რუსეთ-საქართველოს ომი 1921 წლის თებერვალ-მარტში; მრავალი აჯანყება საოკუპაციო ძალების წინააღმდეგ ოციან წლებში, რომლის კულმინაციური წერტილია 1924 წლის 28-29 აგვისტოს საერთო სახალხო აჯანყება; კოლექტივიზაცია-ინდუსტრიალიზაციის სისხლიანი წლები, რომლის კულმინაციური წერტილი იყო 1937-1938 წლები; მეორე მსოფლიო ომი, რომელშიც საქართველომ - მოსახლეობის შესაბამისად თუ განვსჯით - ყველაზე მეტი მსხვერპლი გაიღო, თუმცა ომი საქართველოს ტერიტორიაზე არ ყოფილა; "ნაციონალიზმის" საბაბით, გაუთავებელი გადასახლებები შორეულ ციმბირში, რომლის დროს განადგურებულ იქნა ჩვენი ეროვნული ინტელიგენციისა და მშრომელი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლები; 1956 წლის თბილისის ახალგაზრდობისა და ახალგაზრდა მუშების მასობრივი დემონსტრაცია, რომელიც სისხლში იქნა ჩახშობილი; 1978 წლის მასობრივი დემონსტრაციები ქართული ენის დაცვისათვის, რაც, მართალია, მშვიდობიანად ჩატარდა, მაგრამ, სამაგიეროდ, კრემლმა თავს დაგვატეხა 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია, რომლის დროს უცხო

4266
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალამ არა მარტო ორლესილი ბარჯით დაჩეხა მშვიდობიანი დემონსტრანტები, არამედ ქიმიური საწამლავი ნივთიერებაც კი გამოიყენა დემონსტრანტების წინააღმდეგ, რის შედეგად მოკლულ იქნა - ოფიციალური ცნობით - 19 კაცი,ხოლო დაშავდა-მოიწამლა     ასობით ადამიანი.

IV.

და საქართველოს უზენაეს საბჭომ, გასაგებია, 1991 წლის 9 აპრილი აირჩია 1918 წლის 26 მაისის, 26 მაისის დიადი იდეების   ისევ-აღდგომის დღედ, რითაც 26 მაისი და 9 აპრილი გადაჯაჭვულია ერთმანეთზე: 1918 წლის 26-მა მაისმა შობა 1991 წლის 9-ა აპრილი, და 9-ა აპრილმა ისევ-აღადგინა 26-ი მაისი. და თავბრუდამხვევია,უთუოდ, "გარდამავალი პერიოდის" მოვლენები, რომელთა ჯამია 26-ი მაისის ისევ-აღდგომა: "გარდამავალი პერიოდი" საქართველოს უზენაესმა საბჭომ,რომელიც დემოკრატიული გზით არჩეულ იქნა 1990 წლის 28 ოქტომბერს, - გამოაცხადა 1990 წლის 14 ნოემბერს, რომლის "...გზით ესწრაფვის სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას." კრემლი კი ისევ "განუყოფელი და ერთიანი" რუსეთის იმპერიის გზაზე დარჩა, რომლის ყველაზე ნათელი დოკუმენტია გორბაჩოვ-გამსახურდიას ტელეფონით აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომლის დროს გორბაჩოვი,-თუ საქართველო ხელს არ მოაწერს ე.წ-ლ"სამოკავშირეო ხელშეკრულებას",-პირდაპირ იმუქრება: "მაშინ მოგიწყობთ დიდ სიძნელეებს სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში!"

V.

ამგვარად - თუ "გარდამავალი პერიოდი" მეტად ხანმოკლე გამოდგა, სულ ხუთი თვე, ამაში მთავარი წვლილი თვით მიხეილ გორბაჩოვსა და მის მომხრეებს მიუძღვის, რადგან მათ საქართველოს უზენაესი საბჭო და ამით საქართველოს მოსახლეობის დიდი, დიდი უმრავლესობა თუ მთელი ერი არა, -"კედელზე მიაყენა" და უკან დასახევი გზა,-თუ საერთოდ არსებობდა,-სრულიად გადაღობა. ამიტომ არჩევანი მხოლოდ ერთადერთი დარჩა: "გორდიუსის კვანძის" გაჭრა - 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის, საქართველოს კონსტიტუციის და ამით რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის საზავო ხელშეკრულების - ისევ-აღდგომა, ძალაში შესვლა, რაც, უდავოა, რთული მოსაგვარებელი საქმეა, მაგრამ არსებულ მდგომარეობაში ერთადერთი გამოსავალი გზაა, რის განხორციელება მოითხოვს დიდ,დიდ დიპლომატიურ ხელოვნებას განსაკუთრებით კრემლთან მოლაპარაკებებისას.

VI.

და, როგორც საქართველოს უზენაესი საბჭოს, ისევე მის თავჯდომარეს ზვიად გამსახურდიას არსებული მდგომარეობა კარგად მოფიქრებული აქვთ, როცა ისევ-აღდგა 1918 წლის 26 მაისს გამოცხადებული საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, ე.ი. საქართველოს დამოუკიდებლობა. მაგრამ იქვეა ნათქვამია, რომ ეს ან ნიშნავს "დე ფაქტო გამოსვლას საქართველოსა საბჭოთა კავშირიდან". ეს ნიშნავს, რომ საქართველოს დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო დარჩა იურიდიულად=დე იურე საქართველოს დაპყრობის შემდეგაც,ე.ი.1921 წლის 25 თებერვლიდან, და საქართველო ფაქტიურადაც=დე ფაქტო გახდება დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო, როცა საქართველოს ტერიტორიას დატოვებს რუსეთის საოკუპაციო ძალები.

VII.

ამდენად, საქართველოს უზენაეს საბჭოსა და საქართველოს მთავრობას,როგორც ავღნიშნეთ, დიდი,დიდი და მოქნილი დიპლომატიური მოქმედება დასჭირდება, რომ კრემლი დაითანხმოს საქართველოს დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოს აღიარების საქმეში, როგორც ეს მოხდა 1920 წლის 7 მაისს, როცა ლენინის მთავრობამ საზავო ხელშეკრულება დადო ნოე ჟორდანიას მთავრობასთან და ამით დე ფაქტო და დე იურე, ე.ი. ფაქტიურად და იურიდიულად იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა.

VIII.

საქართველოს დამოუკიდებლობის ისევ-აღდგენას, კანონიერია, მოყვა საქართველოს მოქმედ კონსტიტუციაში შესწორება-დამატებათა შეტანა, რასაც - თავის მხრივ - მოყვა საქართველოს პრეზიდენტად ზვიად გამსახურდიას არჩევა და საკანონმდებლო ორგანოს "პარლამენტად" გამოცხადება, რაც, უდავოა, მისასალმებელია. და თუ 1991 წლის 26 მაისს საქართველოს მოქალაქეებმა უმეტესად აირჩევენ საქართველოს პრეზიდენტს, როგორც ეს, როგორც ცნობილია,ვთქვათ, ამერიკის

შეერთებულ შტატებში ხდება, მაშინ, ვიმეორებთ - როგორი პოპულარული არ უნდა იყოს დღეს საქართველოში ზვიად გამსახურდია - ოპოზიციური ძალები გაერთიანდებიან და თავიანთ საპრეზიდენტო კანდიდატურას წამოაყენებენ, რომ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები მართლაც დემოკრატიული არჩევნები გახდეს, რომლის დროს ამომრჩევლებს რეალური საშუალება ექნებათ, სულ ცოტა, ორი საპრეზიდენტო კანდიდატიდან ის პიროვნება აირჩიონ, რომელსაც ამომრჩევლები თვლიან მიზანშეწონილად.

IX.

1918 წლის 26 მაისის, საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის ისევ-აღდგომა, ნიშნავს, უნდა ნიშნავდეს დემოკრატიული არჩევნების გამეფებას სახელმწიფო ხელისუფლების(კანონმდებლობა, მმართველობა,მართლმსაჯულება) ყველა დონეზე, რომლის დროს პოზიცია(მთავრობა)-ოპოზიციის დემოკრატიულ ჭიდილში იქცევა ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, სოციალური მოქმედების გეზი, რომლის დროს ყურადღების ცენტრში უნდა იდგეს ის ჭეშმარიტება, რომ პოლიტიკა, საერთოდ, შესაძლებლობის ხელოვნებაა.

X.

და ეს პოლიტიკური შესაძლებლობის ხელოვნება განსაკუთრებით ახლა გვესაჭიროება: დე ფაქტო, ე.ი. ფაქტიური განხორციელება საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა მოითხოვს დიდ დიპლომატიურ ხელოვნებას, რომ აწ უკვე სახე-შეცვლილ "გარდამავალ პერიოდს" მოყვეს ფაქტიურადაც საქართველოს დამოუკიდებლობის ისევ-აღდგომა.

კარლო ინასარიძე

პარიზი, 1991 წლის 26 მაისი

## 26 მაისის ისევ-აღდგომა და უცხოეთი

I.

უცხოეთის სახელმწიფო მოღვაწეებიდან თუ მთავრობებიდან, ჯერჯერობით, არავითარი გამოძახილი არ გვაქვს ხელთ საქართველოს დამოუკიდებლობის ისევ-აღდგენის შესახებ. მაგრამ მსოფლიო პრესა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებები, რა თქმა უნდა, გამოეხმაურა ამ მოვლენას, თუმცა, ასე ვთქვათ, მეტად "თავშეკავებულად", რაც, ალბათ, აიხსნება იმ გარემოებით, რომ მიხეილ გორბაჩოვი, რომელიც საბჭოთა კავშირის მთლიანობის შენარჩუნებას ლამობს, - უფრო დიდი ავტორიტეტით სარგებლობს დასავლეთის, განსაკუთრებით ევროპის ოფიციალურ წრეებში, ვიდრე თვით საბჭოთა რუსეთში. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მსოფლიო მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოძახილი მაინც უფრო პოზიტიურია საქართველოს დამოუკიდებლობის ისევ-აღდგენის გამოცხადებისადმი, ვიდრე ნეგატიური.

II.

გერმანიის გავლენიანი გაზეთი "ფრანქფურტერ ალგემაინე ცაიტუნგი", მაგალითად, 10 აპრილის(1991 წ.) ნომერში წერს:

"...საბჭოთა მოკავშირე რესპუბლიკამ - საქართველომ - სამშაბათს, 9 აპრილს, პარლამენტის ერთხმოვანი გადაწყვეტილებით, თბილისში, გამოაცხადა დამოუკიდებლობა. ამ გადაწყვეტილებით ლეგალურად წამოყენებულია მოთხოვნა ისევ-აღდგენილ იქნას საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, როგორც ეს არსებობდა 1918 წლის 26 მაისიდან 1921 წლის 25 თებერვლამდე. პარლამენტის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ განაცხადა დეპუტატების წინაშე, რომ ეს არ ნიშნავს საქართველოს დაუყონებლივ გამოსვლას საბჭოთა კავშირიდან. მაგრამ უფლებრივი ისევ-აღდგომა საქართველოს დამოუკიდებლობისა ხელს შეუწყობს იმას, რომ დამოუკიდებლობა თანდათანობით პრაქტიკულად განხორციელდება.

საქართველო არის, წერს შემდეგ გაზეთი, - ლიტვა-ლატვია-ესტონეთის შემდეგ, მეოთხე მოკავშირე რესპუბლიკა, რომელმაც დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

საქართველოს პარლამენტმა ეს გადაწყვეტილება მიიღო საბჭოთა არმიის ნაწილების მიერ თბილისში, მთავრობის სასახლის წინ, დემონსტრანტების წინააღმდეგ სისხლიანი გალაშქრების ორი წლისთავზე, რომლის დროს, 1989 წლის 9 აპრილს ღამით, მოკლულ იქნა ოცი კაცი, რომელთა უმრავლესობა ქალები იყ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვნენ. როგორც ლიტვა-ლატვია-ესტონეთში და სომხეთში, გასული წლის არჩევნებში უმრავლესობა მიიღო ეროვნული და დემოკრატიული ოპოზიციის ძალებმა და არიან მთავრობაში. ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით,-"მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო"- არის ბლოკი შვიდი პარტია-ორგანიზაციისა,რომელმაც არჩევნებში სულ 250 დეპუტატიდან 155 დეპუტატი გაიყვანა პარლამენტში. კომპარტია დამარცხდა და მაშინვე გადაწყვიტა სსრკ-ს კომპარტიიდან გამოყოფა. საქართველოს, როგორც ლიტვა-ლატვია-ესტონეთს, მოლდავეთსა და სომხეთს, სსრკ-ს შენარჩუნების რეფერენდუმში მონაწილეობა არ მიუღია. მაგრამ 31 მარტს,საქართველოში ჩატარდა რეფერენდუმი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის 1918 წლის დამოუკიდებლობის აქტის ბაზაზე, რომლის დროს - ტასსის ცნობით მოსკოვიდან - ხმისმიმცემთა 98,93 ხმა მისცა საქართველოს დამოუკიდებლობას; რეფერენდუმში კი მონაწილეობა მიიღო 90,5 პროცენტმა. საქართველოს მოსახლეობა უდრის დაახლოებით ხუთ-ნახევარ მილიონ სულს."

III.

"ფრანკფურტერ-ალგემაინე-ცაიტუნგი",თავის კომენტარში,კი წერს:(10.4.91 წ.):
"საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა არ შეიძლება შედარებულ იქნას სუვერენობის უმნიშვნელო გამოცხადებასთან, რომელიც, გასულ წელში, რამდენიმე საბჭოთა რესპუბლიკამ გადაწყვიტა. საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია ესადაგება გორბაჩოვის ნაციონალურ პოლიტიკას. გორბაჩოვს სურს საბჭოთა კავშირის შენარჩუნება. როგორც საშუალება ამისა, გამონახა მან "ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულება",რომელსაც ხელი უნდა მოაწერონ მოკავშირე რესპუბლიკებმა - როგორც სუვერენულ სახელმწიფოებმა; მაგრამ უნდა სუვერენობა ამგვარი ხელმოწერით გამოფიტოს. დამოუკიდებლობა ნიშნავს სახელმწიფოებრივ სუვერენობას. საქართველოს პარლამენტს კი არ განუცხადებია, რომ საქართველო, სამშაბათს, ყველა შედეგებით, გამოვიდა საბჭოთა კავშირიდან. გადაწყვეტილება შეიცავს დავალებას რესპუბლიკის მთავრობისადმი - დამოუკიდებლობა ისევ-აღადგინოს მოლაპარაკებებით მოსკოვთან. ამ დროს ცენტრალური ხელისუფლება უფრო ძლიერია. მაგრამ საქართველო მაინც მარტო არ არის. რამდენიმე დღის წინათ, საბჭოთა კავშირის ექვსი მოკავშირე რესპუბლიკა შეთანხმდა - მშვიდობიანად იბრძოლონ და დამოუკიდებლობის მოპოვებაში ერთმანეთს დაეხმარონ".

IV.

ფრანგული გავრცელებული გაზეთი -"ფიგარო" - პირველ გვერდზე(10.4.1991 წ.) წერს:"საქართველომ გამოაცხადა დამოუკიდებლობა, მაგრამ ოსებისა და აფხაზების უმცირესობათა სეპარატიზმი ასუსტებს თბილისის პოზიციას."
"საქართველოს ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ საბჭოთა მთავრობა გამოამჟღავნებს კეთილ განწყობილებას საქართველოსადმი და უპირატესობას არ მიანიჭებს ინტერვენციას საქართველოს წინააღმდეგ ან სამოქალაქო ომის გაღვივებას საქართველოში", - დასძენს გაზეთი "ფიგარო".

V.

გერმანიის დიდი გაზეთი "ველტ-ი"(10.4.1991 წ.) წერს:
"საქართველომ გუშინ ოფიციალურად გამოაცხადა დამოუკიდებლობა, მაგრამ მისი განხორციელება თანდათანობით სურს...პარლამენტის დეპუტატებმა დამოუკიდებლობის გამოცხადებას შეხვდა შეძახილებით -"გაუმარჯოს საქართველოს!" საქართველოს პარლამენტმა - განაგრძობს გაზეთი - ხაზგასმით დაეყრდნო "საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტს".

VI.

გერმანული გაზეთი "ფრანკფურტერ რუნდშაუ"(10.4.1991 წ.) - პირველ გვერდზე, სათაურით -"საქართველო აცხადებს დამოუკიდებლობას" და ქვესათაურით -"მიზანია საბჭოთა კავშირიდან თანდათანობითი ჩამოშორება", -სხვათა შორის, წერს: "ჟურნალისტები თბილისიდან ადასტურებენ, რომ საქართველოს პარლამენტში კომპარტიისა და სომეხმა დეპუტატებმა ხმა მისცეს საქართველოს დამოუკიდებლობას". "...თბილისში ადგილი ჰქონდა მოსახლეობის აღფრთოვანებულ მიტინგებს". დეკლარაციაში კი,სხვათა შორის, ნათქვამია:
"საქართველოს უზენაესი საბჭო...მსოფლიოს წინაშე აცხადებს საქართველოს დამოუკიდებლობის ისევ-აღდგენას 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე". "ნაშუადღევს, პარლამენტის დეპუტატებმა ცალკცალკე ხელი მოაწერეს ამ დეკლარაციას", - წერს გაზეთი "ფრანკფურტერ რუნდშაუ".

VII.

გერმანიის დიდი გაზეთი -"ზიუდდოიჩე-ცაიტუნგი"(10.4.1991 წ.) გამოირჩევა მისი "ორჭოფული" მიდგომით არა მარტო საქართველოს დამოუკიდებლობის გამოც-

ხალხის დეკლარაციისადმი. გაზეთი, თავის კომენტარში, წერს:
"საბჭოთა იმპერიის დაშლა მიმდინარეობს შეუჩერებლივ. საქართველოზე ადრე დამოუკიდებლობა გამოაცხადეს ლიტვამ, ლატვიამ, ესტონეთმა. ამგვარად, ათეული წლობით კომუნისტურ მონობასა და რუსეთის ოპეკუნობას მოყვება მშვიდობიანობის, დემოკრატიისა და თავისუფლების ხანა? ეჭვის გამოთქმა შეიძლება, ვინაიდან საქართველო შეიძლება სანიმუშო მაგალითი გახდეს იმისათვის, თუ როგორ მცხოვრებლები, მოსკოვიდან ჩამოშორებული რესპუბლიკისა, წვიმიდან წვიმის ღარში მოექცევა. მიზეზები ამისა მრავალფეროვანია: როგორც ბალტიელები, ისევე ქართველებიც ვარაუდობენ, რომ ეკონომიკური დამოუკიდებლობა უფრო ძნელი მისაღწევია, ვიდრე პოლიტიკური. როგორც დიდი რუსეთის რესპუბლიკა, ისევე საქართველო არის მრავალეროვან უმცირესობათა პატარა რესპუბლიკა, მრავალეროვანი მინიატიურული რესპუბლიკა - ასაფეთქებელ ნივთიერებათა ყუთი ეთნიკური ემოციებისა, რადგან ხელმძღვანელობა თბილისში არაქართულ ხალხებს საქართველოში კოლონიური წესით ეპყრობა. ყველაზე უფრო ჩამაფიქრებელია არადემოკრატიული მოქმედება, წინათ ადამიანის უფლებათა მოძრაობის მონაწილისა და ახლა საქართველოს პრეზიდენტის - ზვიად გამსახურდიასი, რომელიც ღიათ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს უწოდებს კრიმინალებს, კრიტიკული გამოცემები აკრძალა, და ეროვნულ უმცირესობებს წაართვა ის მცირე ავტონომიური უფლებები, რომლებიც მათ საბჭოთა ხელისუფლებამ მიანიჭა.

საქართველოს მაგალითი უნდა გახდეს გაფრთხილება დასავლეთისათვის. უდავოა, საბჭოთა რესპუბლიკების მისწრაფება დამოუკიდებლობისაკენ მისასალმებელია. მაგრამ ამ დროს ბაქნიდან არ უნდა იქნას გადაგდებული დემოკრატიული მასშტაბები და ზნეობა. ყოველი არ იმსახურებს დასავლეთის ბრმა მხარდაჭერას მხოლოდ იმიტომ, რომ მას სურს მოსკოვის უღლის კისრიდან მოშორება".
ასე წერს "ზიუდ-დოიჩე-ცაიტუნგის" კომენტატორი, ხელმოწერით "კა-იუხილონ".

VIII.

ამერიკული გაზეთი "ინტერნეიშნლ ჰერალდ ტრიბუნი" (10.4.91 წ.) - ეხება რა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ისევ-აღდგენას - წერს:
"...საქართველომ, პირველმა არაბალტიელმა რესპუბლიკამ, გამოაცხადა მისი ფორმალური გამოყოფა საბჭოთა კავშირიდან, რაც არის ახალი კამოწვევა სხრკას პრეზიდენტ გორბაჩოვისათვის.

საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაციას, რომელიც ნაციონალისტებისაგან დომინირებულმა პარლამენტმა ერთხმად მიიღო, - აღფრთოვანებით შეხვდა ხალხი თბილისის ქუჩებში. საქართველოს დამოუკიდებლობის ამ დეკლარაციას წინ უძღოდა 31 მარტის რეფერენდუმი, რომელშიც საქართველოს 5,4 მილიონიანი მოსახლეობის დიდმა უმრავლესობამ ხმა მისცა საქართველოს სხრკ-იდან გამოყოფას."
"საქართველოში ასი-ათასზე მეტი საბჭოთა კავშირის ჯარისკაცია დისლოცირებული; საქართველო კი გახდა რუსეთის იმპერიის ნაწილი მე-19 საუკუნის დასაწყისში, მაგრამ ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ, 1918 წლის 26 მაისს საქართველო გახდა დამოუკიდებელი. წითელმა არმიამ 1921 წელს შეწყვიტა საქართველოს დამოუკიდებლობა, როცა დაიპყრო იგი".

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება მოხდა ცხარე კამათის დროს კრემლსა და თბილისს შორის მცირერიცხოვანი ოსების შესახებ საქართველოში."
"გორბაჩოვი, როგორც ჩანს, თავს არიდებს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებას ამ რეგიონში, რადგან ეს იქნებოდა პროვოკაცია საქართველოს პრეზიდენტის - ზვიად გამსახურდიას - მიმართ, რომელმაც თქვა, რომ ამგვარი ჩარევა იქნება ნაბიჯი "ომის გამოცხადების" გზაზე", - ასხენს ამერიკული გაზეთი "ინტერნეიშნლ ჰერალდ ტრიბუნი".

IX.

გასაკვირია, მაგრამ ფაქტია, რომ დასავლეთის მასობრივი მედიუმებიდან განსაკუთრებულ, რბილად რომ ვთქვათ, -"არა-ობიექტურობას" იჩენს დიდი გერმანული და ავტორიტეტული გაზეთი "ზიუდდოიჩე-ცაიტუნგი" (13.-14.4.1991 წ.), რომელიც ნახევარგვერდიან სტატიას აქვეყნებს საქართველოს დღევანდელი მდგომარეობის, განსაკუთრებით ზვიად გამსახურდიას შესახებ. ამ სტატია-ნარკვევის ავტორია, როგორც იქვე ვკითხულობთ, იურგენ გერბერი, რომელიც ყოფილა სტუდენტი და მისი სამაგისტრო ნაშრომის დაწერის მიზნით მოვლინებული ყოფილა საქართველოში დიდი ხნის განმავლობაში; და დაუწერია სამაგისტრო ნაშრომი -"ეროვნული ოპოზიცია საქართველოში 1956 წლიდან 1990 წლამდე". აჰა, ამ

ნაშრომის შეჯამებაა ეს სტატია, რომელიც გამოქვეყნებულია "ზიუდდოიჩე-ცაი-ტუნგ-ში". აი მთავარი ადგილები ამ სტატიიდან:

ზესათაური: "საქართველო იმართება ისევ ავტორიტარულად"

სათაური: "აღშფოთების ტალღებით ხელისუფლებაში მისვლა".

ქვესათაური: "რესპუბლიკის მეთაურმა ზვიად გამსახურდიამ აალაპარაკა ხალხი მისი მაკიაველური პოლიტიკით".

თვით სტატიაში კი, სხვათა შორის, ვკითხულობთ:

1. "საქართველოს კომპარტია 1989 წლის 9 აპრილის სისხლიანი მოვლენების შემდეგ სახელგატეხილია. ასი-ათასამდე პარტიის წევრის გასვლა მხოლოდ გასულ წელს, ახალგაზრდობის ორგანიზაციის კომკავშირის დაშლა და არჩევნებში 30 პროცენტი ხმის მიღება, ისე როგორც სსრკ-ას კომპარტიიდან გამოსვლა, - ამის ნათელი დოკუმენტაციაა."

2. "ეროვნული კონგრესის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო, ოფიციალური ცნობით, ამომრჩეველთა 51 პროცენტმა; უზენაესი საბჭოს არჩევნებში კი 67 პროცენტმა."

3. "მრავალ სხვადასხვა ჯგუფებიდან (მაგალითად, მონარქისტებიდან) ჩამოყალიბდა ბლოკი "მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო", რომელიც გამსახურდიას მეთაურობით, თითქმის უკონკურენციო არის ცხრა პატარპატარა პარტიების წინაშე, რომლებმაც ხმების ოთხპროცენტიან ჯებირს ვერ გასცილდენ..."

4. "31 მარტს ჩატარდა საქართველოში საკუთარი რეფერენდუმი საქართველოს გამოსვლის შესახებ სსრკ-დან. თანხმობა განაცხადა თითქმის ხმისმიცემთა ას-პროცენტმა".

5. "ეძებენ მეფეს", წერს იურგენ გერბერი და განაგრძობს: "ზვიად გამსახურდია ფიქრობს, რომ დამოუკიდებელი საქართველო უნდა გახდეს კონსტიტუციური მონარქია, როგორც ეს ინგლისშია. ამ მიზნის განხორციელება, რომელიც ძაფზე ჰკიდია, ბევრში ღიმილს იწვევს. საქართველოს სამეფოს გააჩნია ათასწლეული ტრადიცია...მონარქისტების მემკვიდრეობის მკვლევარებმა უკვე მონახეს ტახტის მემკვიდრე გიორგი XIV...,რომელიც ცხოვრობს ესპანეთში..."

6. "შეკითხვაზე მისი დამოკიდებულების შესახებ ოპოზიციასთან, ზვიად განმახურდიამ თქვა: "ჩვენ გვყავს მხოლოდ კრიმინალური ოპოზიცია, მხოლოდ კრიმინალური ადამიანები არიან ჩვენი პოლიტიკის წინააღმდეგ, ბანდიტები და განგსტერები." გამსახურდიასათვის,-განაგრძობს იურგენ გერბერი, - ასეთი გამოხტომა მხოლოდ პოლემიკა არ არის; ის სერიოზულად გამოთქვამს მის მუქარას. ერთ პრესის კონფერენციაზე თქვა მან, რომ "ყოველი ჟურნალისტი, რომელიც ახლადარჩეული მთავრობის პოლიტიკას განზრახ გააშავებს,"პერსონა ნონ გრატა"="არასასურველ პირად" იქნება გამოცხადებულიო".

7. "ნაციონალური კომპლექსი"; აქ ეხება იურგენ გერბერი საქართველოს სახალხო მეურნეობას და წერს: "საქართველოს ეკონომიკური პროგრამა "მრგვალი მაგიდისა" ითვალისწინებს რადიკალურ კურსს საბაზრო მეურნეობის მიმართულებით, მაგრამ ეკონომიკურ რეფორმებს საქართველოს მთავრობამ დღემდე თავი აარიდა. გამსახურდია ამბობს, რომ კერძო საკუთრება მაშინ იქნება შემოღებული,"როცა საქართველო სრულიად დამოუკიდებელი იქნებაო". მისთვის კერძო საკუთრების შემოღება მაშინ შეიძლება, როცა გარკვეულია დამოუკიდებელი საქართველოს მოქალაქეობა. კერძო საკუთრების დაუყონებლივ შემოღების შემთხვევაში, გამსახურდია შიშობს მისი ქვეყნის დატაცებას არა-ქართველი მოსახლეობის მიერ, რომელთა რაოდენობა საქართველოში ერთი-მესამედია. ამ დროს გამსახურდიას არ სურს ავტონომიისაკენ მსწრაფავ ეროვნებათა უმცირესობებს, მაგალითად, სამხრეთ ოსებს ქართულ მიწაზე შექმნან საკუთარი რესპუბლიკა."

8. "საქართველოს ეკონომიკა ისედაც კატასტროფულ მდგომარეობაშია. საქართველოს უზენაესმა საბჭომ დაამტკიცა მიმდინარე წლის ბიუჯეტი, რომელშიც 1,5 მილიარდი მანეთი დეფიციტია, რაც მთელი ბიუჯეტის 18 პროცენტს უდრის. ეს დეფიციტი რომ დაფაროს, გადაწყვიტა მთავრობამ საერთო ფასების გადიდება - ჩაისა ასი პროცენტით, ღვინის - 75 პროცენტით და თამბაქოს ნაწარმის 150 პროცენტით."

9. "გამსახურდია, მიუხედავად მისი უხეში მოქცევისა ოპოზიციის წინააღმდეგ და ყოველდღიურად ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებისა - მტკიცედ ზის უნაგირზე. პოლიტიკური მდგომარეობის მცოდნეები, მართალია, ვარაუდობენ, რომ ახალ არჩევნებში "მრგვალი მაგიდა" ხმების მნიშვნელოვან ნაწილს დაკარგავდა; მაგრამ არსებითი ცვლილებები მოსალოდნელი იქნება, თუ - როგორც გასულ წელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მი - ქართული ხალხი მის ძალას შეიგნებს და საკუთარი ძალით გამსახურდიას მაქიაველურ პოლიტიკას ბოლოს მოუღებს", - დასძენს იურგენ გერბერი.

X

დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის მედიუმები ეხება აგრეთვე ზვიად გამსახურდიას არჩევას, საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ, საქართველოს პრეზიდენტად. "აჟანს-ფრანს-პრესის" სააგენტო იტყობინება, მაგალითად, რომ საქართველოს უზენაეს საბჭოს უკვე ეწოდება "პარლამენტი",და რომ, საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები ჩატარდება 1991 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა - გიორგი ხოშტარიამ -,"აჟანს-ფრანს-პრესის" ცნობით, - განაცხადა, რომ 10 აპრილიდან საქართველოში გამოცხადებულია გენერალური გაფიცვა, კრემლის ინტერვენციის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად ე.წ-ლ "სამხრეთ ოსეთში". საქართველოს ხელმძღვანელობა, მიუხედავად კრემლის ინტერვენციისა, მზადაა წინააღმდეგობა გაუწიოს ინტერვენტებს, დასძინა გიორგი ხორცარიამ.

XI.

საბჭოთა საინფორმაციო სააგენტოს - "ინტერფაქსის" - ცნობით,(14.4.91 წ.), საქართველოს ხელმძღვანელობა მზად არის მოლაპარაკება აწარმოოს მიხეილ გორბაჩოვთან "კეთილმეზობლურ ურთიერთობის დამყარების შესახებ ორივე ქვეყანას შორის".

XII.

თუ შევაჯამებთ აღნიშნულ ცნობებს საქართველოს დღევანდელი მდგომარეობის შესახებ, რომლებიც გავრცელებულ იქნა უცხოეთის მასობრივი ინფორმაციის მედიუმებით, უნდა ითქვას, რომ საქართველოს დღევანდელი ხელმძღვანელობის საერთო შეფასება უფრო დადებითი, ვიდრე უარყოფითია. "უარყოფითი" ცნობები და კომენტარები საქართველოს დღევანდელი მდგომარეობის შესახებ, ნათელყოფენ, რომ კრემლისა და მისი ამსონების დეზინფორმაცია უშედეგოდ არ რჩება. საქართველოს უზენაესმა საბჭომ და მთავრობამ კი, როგორც ჩანს, დღემდე ვერ შესძლო საინფორმაციო ცენტრების შექმნა,ვთქვათ, ნიუ-იორკში,პარიზში, ლონდონში თუ ბერლინში, რომ შესაძლებელი გახდეს ხლაისტის იურგენ გერბერის-მაგვარი "არა-ობიექტური"ცნობების დაუყონებლივი პასუხის გაცემა.

XIII.

მაგრამ, როგორ მანკიერებასთანაც არ უნდა გვქონდეს საქმე, შეეცადო ადამიანის პიროვნების დამცირებას, როგორც ამას ხლაისტი იურგენ გერბერი ჩადის ზვიად გამსახურდიას მიმართ, ყოვლად დაუშვებელია, როცა მან(გერბერმა) არ შეიძლება არ იცოდეს, რომ ზვიად გამსახურდიას მწამსია -"ჩვენ უღმერთობის, რბევისა და ტერორის გზას ვერ დავადგებით", რაც ქართულ და სა-ერთა-შორისო ჰუმანიტარულ ტრადიციებს ეყრდნობა, თუმცა ამ მწამსის განხორციელება დღეს საქართველოში ადვილი საქმე არ არის.

XIV.

საქართველოს დღევანდელ ხელმძღვანელებსაც, უთუოდ, ესაჭიროებათ ყოველი სიტყვის აწონ-დაწონვა, როცა გასარჩევია ერთმანეთისაგან "მტერი" და "ოპოზიცია". და თვით "მტერი", რომელთა რიცხვი საქართველოში და საქართველოს გარეთაც, უდავოა, არსებობს და მოქმედებს, თუ შესაძლებელია, არ უნდა იწოდოს "ბანდიტებათ" განსაკუთრებით საქართველოს მთავარი ხელმძღვანელებისაგან. საქართველოს უზენაესი საბჭოს,ე.ი.პარლამენტის თავჯდომარეს და მთავრობის თავჯდომარეს "არ შეფერის" ასეთი სიტყვების ხმარება იმ დროსაც კი, როცა საქმე, ამ-ჯერად, ოს-ექსტრემისტებს თუ "მხედრიონს" ეხება. თუ ვინ არის "ბანდიტი" თუ "მტერი", ამის განმსაზღვრელი - სამართლებრივ სახელმწიფოში უნდა იყოს მხოლოდ-და-მხოლოდ მართლმსაჯულება.

კარლო ინასარიძე

პარიზი, 1991 წლის აპრილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 26 მაისი და "გარდამავალი პერიოდი"

I.

აღვნიშნავთ რა საქართველოს დამოუკიდებლობის 73 წლისთავს, საქართველოში დღეს, 1991 წლის 26 მაისს, უკვე მიმდინარეობს "გარდამავალი პერიოდი", რომლისაც, ლოგიკურია, უნდა მოჰყვეს 1918 წლის 26 მაისის დიადი იდეის პრაქტიკული განხორციელება, ე.ი. საქართველოს დამოუკიდებლობის ისევ-აღდგენა, როგორც ეს იყო 1918-1921 წლებში, "პატარა ოქროს ხანის" დროს.

II.

ახალი ხანის საქართველოს ორი ისტორიული და საკრალური დოკუმენტებია - "საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი", რომელიც საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარემ 1918 წლის 26 მაისს წაიკითხა ეროვნული საბჭოს სხდომაზე, თბილისში, მთავრობის სასახლეში, და ამით მსოფლიოს აცნობა საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის ისევ-აღდგენა, და საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომელიც მიღებული და დამტკიცებული იქნა საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს, რომლებიც იურიდიულად დღესაც ძალაშია, და ფაქტიურადაც შევა ძალაში, როცა საქართველო გახდება ისევ დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო.

III.

1918 წლის 26 მაისს, თბილისში, მთავრობის სასახლეში, როცა ნოე ჟორდანია კითხულობდა დამოუკიდებლობის აქტს,- თქვა რაჟდენ არსენიძემ, დამოუკიდებელი საქართველოს იუსტიციის მინისტრმა,- მისი პირით ლაპარაკობდა მთელი საქართველოს ხალხი, წარსული და აწმყო ქართველი ერისა. და ეს აზრი რეალურია დღესაც, კერძოდ საქართველოს მოსახლეობამ, ქართველმა ერმა 1991 წლის 31 მარტს, ე.ი. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების 73-ი წლის შემდეგ, თითქმის მთლიანად, დადებითად გასცა პასუხი კითხვას - "თანახმა ხართ თუ არა აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე" -, თუმცა ამგვარი რეფერენდუმის ჩატარება აუცილებელი არ იყო, ვინაიდან - საერთაშორისო სამართლის საფუძველზე - საქართველო, როგორც აღვნიშნეთ, დღესაც დამოუკიდებელი სახელმწიფოა იურიდიულად, და ფაქტიურადაც დამოუკიდებელი გახდება, როცა საქართველოდან გაყვანილი იქნება უცხო საოკუპაციო ჯარები, რის შემდეგ, გასაგებია, ავტომატურად ძალაში შევა 1918 წლის 26 მაისის "საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი" და საქართველოს 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული და დამტკიცებული კონსტიტუცია.

IV.

მაგრამ, უთუოდ, მაინც დიდი დადებითი მოვლენაა, რომ საქართველოს უზენაესმა საბჭომ ჩაატარა რეფერენდუმი და საქართველოს მოსახლეობის დიდი, დიდი უმრავლესობის ნებასურვილი კიდევ ერთხელ გამოავლინა, რომ საქართველოს, ქართველ ხალხს, ქართველ ერს სურს ისევ-აღსდგეს საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა, საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო. ეს კი დიდი, დიდი კოზირია - საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის, საქართველოს კონსტიტუციისა და საბჭოთა-რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის საზავო ხელშეკრულების გვერდით - საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გზაზე. საჭიროა მხოლოდ "ცივი გონება", მოთმინება, რომ "კრემლის ვეშაპს" საბაბი არ მიეცეს ისევ ძალადობის გამოყენებისა, როგორც ეს მოხდა 1921 წლის თებერვალ-მარტში.

V.

მართალია, ჩვენ არ ვიცით თუ რამდენ ხანს გაგრძელდება ეს ე.წ.-ლი "გარდამავალი პერიოდი", რომ საქართველო ისევ გახდეს დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო, მაგრამ ეს პროცესი გარდაუვალია, რადგან იმპერიების ეპოქა საბოლოოდ ისტორიას ჩაბარდა. მაგრამ საქართველოს უზენაესმა საბჭომ, საქართველოს მთავრობამ ყველაფერი უნდა მოიმოქმედოს იმისათვის, რომ დემოკრატიულმა რუსეთმა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა იცნოს რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის საზავო ხელშეკრულების საფუძველზე. ეს ადვილი საქმე არ არის, მაგრამ რუსეთის დემოკრატიული ძალები, როგორც ჩანს, ერთიანდება და ამ ძალებს, ამჟამად, წინ მიუძღვის ისეთი პიროვნება, როგორიც ბორის ელცინია, რომელიც, როგორც ჩანს, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის წინააღმდეგი არ უნდა იყოს, თუმცა რუსეთის იმპერიის იდეებს მთლად ვერ გამომშვიდობებია. უაღრესად საჭიროა აგრეთვე მხოლოდ დემოკრატიული სა-

ხელმწიფოების მხარდაჭერის მიღწევა, რაც, გასაგებია, მეტად რთული ამოცანაა, რადგან მსოფლიოს დემოკრატიულ სახელმწიფოების ხელმძღვანელებში მოიპოვებიან არა-ერთი პოლიტიკური მოღვაწეები, რომლებიც "ერთიანი და განუყოფელი რუსეთისაგან" მეტ ეკონომიკურ სარგებლიანობას მოელიან, ვიდრე თავისუფალ და დამოუკიდებელ პატარა სახელმწიფოებისაგან, როგორიცაა,ვთქვათ, საქართველო. ამ პროცესში, გასაგებია, დიდ როლს თამაშობს აგრეთვე საერთაშორისო უშიშროებისა და ძალთა წონასწორობის საკითხი, რადგან რუსეთი, მოკავშირე რესპუბლიკების გარეშეც, დიდი, დიდი სახელმწიფო ა, რომელიც - სურს მას თუ არა - საერთაშორისო უშიშროებისა და ძალთა წონასწორობის ერთ-ერთი საყრდენი არის და იქნება.

VI.

აღნიშნული და სხვა მრავალი ფაქტი,როგორც ვხედავთ,,ადვილი გადასალახავი არ არის, მიუხედავათ იმისა, რომ 1991 წელს, საქართველოს უზენაესმა საბჭომ ისევ-აღადგინა საქართველოს დამოუკიდებლობა, რომელიც გამოცხადებულ იქნა 1918 წლის 26 მაისს და რომელიც - საერთაშორისო სამართლის საფუძველზე - იურიდიულად ძალაშია დღესაც, მით უმეტეს, რომ ჩვენი მოსახლეობის 98-მა პროცენტმა ხმა მისცა საქართველოს დამოუკიდებლობის ისევ-აღდგენას 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმში. და ავღნიშნავთ რა დღეს, 1991 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის 73 წლისთავს, გვჯერა, რომ 1991 წლის 9 აპრილის აქტით, საქართველო შესძლებს, უმოკლეს ხანში, მიაღწიოს საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის განხორციელებას დე ფაქტო=ფაქტიურადაც.

კარლო ინასარიძე
პარიზი, 1991 წლის 26 მაისი

"უფრო ძნელია იცხოვრო თავისუფლების პირობებში, ვიდრე მონურ მდგომარეობაში, რადგან თავისუფლება არის გამოწვევა, განუწყვეტელი ლტოლვა, თავისთავის ხრელი კონტროლი, შეიძლება,თავისთავის განწირვაც კი...თავისუფლება არის დაპატიჟება იცხოვრო გაბედულად და, ზოგჯერ, გმირულად".

ჟორჟ ლეფევრი,ფრანგი ისტორიკოსი

"...plus difficile de vivre qu'esclave, que la liberté est application, effort perpétuel, contrôle rigoureux de soi, sacrifice éventuel... elle est invitation à vivre courageusement et, à l'ocasion, heroiquement".

Georges Lefebre(1874-1959)



# საქართველოს დამოუკიდებლობა

საქართველოს დამფუძნებელი კრება,—არჩეული პირდაპირ თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციონალური საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ,—თავის პირველსავე სხდომაზე, 1919 წ. მარტის 12-ს, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აღიარებს, რომ ის სავსებით იღებს და ადასტურებს საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ 1918 წ. მაისის 26-ს, ნაშუადღევის 5 ს. და 10 წ. თბილისში გამოცხადებულს საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ აქტს:

## საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

„მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

„მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველ მხრით მტრისაგან შევიწროებული საქართველო თავისი ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა.

„რუსეთის დიდი რევოლიუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შექმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დასტოვა ამიერკავკასია.

„დარჩენ რა თავისი ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თვით იდვეს თავს საკუთარი საქმეების გაძღოლა და შესაფერი ორგანოებიც შექმნეს; მაგრამ გარეშე ძალთა ზეგავლენით ამიერკავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და მით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა.

„ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელ განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს.

„ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის ნოემბრის 22-ს არჩეული საქართველოს ეროვნულ ყრილობის მიერ, დღეს აცხადებს:

1) ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2) დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმა—დემოკრატიული რესპუბლიკაა.

3) საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა.

6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.

7) დამფუძნებელ კრების შეკრებამდე მთელის საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



# ACT
## of Independence of Georgia

The Georgian National Council, during its plenary sitting of May 26, 1918, declared as follows:

„For several centuries Georgia existed as a free and independent State.

At the end of the eighteenth century Georgia voluntarily allied herself with Russia, with the stipulation that the latter should protect her from enemies without.

In the course of the great Russian revolution conditions arose which resulted in the disorganization of the entire military front and the abandonment of Transcaucasia by the Russian Army.

Thus, left to her own devices, Georgia, and with her all Transcaucasia, took into their hands the direction of their affairs creating the necessary organs for this purpose; but under pressure from exterior forces the links which united Transcaucasian nationalities were broken and the political unity of Transcaucasia was thus dissolved.

The present position of the Georgian people makes it imperatively necessary that Georgia should create a political organization of her own, in order that she may escape from the yoke of her enemies and lay a solid foundation for her free development.

Accordingly the Georgian National Council, elected by the national assembly of Georgia on November 22 (December 5), 1917, declares:

(1) In future the Georgian people will hold sovereign power and Georgia will be a State enjoying all the rights of a free and independent State.

(2) Independent Georgia's form of political organization will be a democratic Republic.

(3) In the event of international conflict Georgia will always remain neutral.

(4) The Georgian democratic Republic will apply itself to establishing friendly relations with all nations, and especially with neighboring nationalities and states.

(5) The democratic Georgian Republic offers to all inhabitants of her territory a wide field for free development.

(6) The democratic Georgian Republic guarantees to all citizens within her territory civil and political rights, without distinction of nationality, religion, social position, or sex.

(7) Until the convocation of the constituent assembly the National Council, with the addition of representatives of the minorities and the provisional government responsible to the National Council, is at the head of all Georgian administation".

On the 12th of March, 1919, the constituent assembly of Georgia confirmed the preceding act in the following terms:

„At its first sitting of the 12th of March, 1919, the constituent assembly of Georgia, elected by citizens of both sexes, according to the direct, equal, universal, secret, and proportional electoral system, proclaims before the world and history that it fully confirms and approves the act of the Independence of Georgia, declared at Tiflis by the Georgian National Council, May 26, 1918".



## ACTE D'INDÉPENDANCE DE LA GÉORGIE

Pendant plusieurs siècles, la Géorgie a existé comme Etat libre et indépendant.

A la fin du XVIII$^{e}$ siècle, pressée de tous côtés par des ennemis, la Géorgie s'allia volontairement à la Russie, à condition que la Russie s'engageât à défendre la Géorgie contre ses ennemis extérieurs.

Les événements de la Grande Révolution Russe ont créé une situation intérieure telle que le front de guerre s'est effondré entièrement et que la Transcaucasie a été évacuée par les armées russes.

Abandonnées à leurs propres forces, la Géorgie et avec elle, la Transcaucasie ont pris entre leurs mains le soin et la direction de leurs propres affaires et se sont donné des organes gouvernementaux appropriés. Mais la pression des forces extérieures a amené la dissolution des liens qui unissaient les peuples de la Transcaucasie et l'unité politique de celle-ci s'est effondrée.

La situation présente de la nation géorgienne commande impérieusement à la Géorgie d'avoir sa propre organisation d'Etat, en vue de prévenir, par ce moyen, la conquête du pays par les forces extérieures et de créer des bases solides pour son développement indépendant.

En conséquence, le Conseil National Géorgien, élu par l'Assemblée Nationale, le 22 novembre 1917, déclare :

1. La nation géorgienne rentre en possession de tous ses droits ; la Géorgie est un Etat indépendant qui jouit de tous les droits de la souveraineté.

2. La forme de l'organisation politique de la Géorgie indépendante est la République Démocratique.

3. En cas de conflits internationaux, la Géorgie reste perpétuellement Etat neutre.

4. La République Démocratique Géorgienne désire avoir des relations amicales avec tous les membres de la communauté internationale et, en particulier, avec les Etats et les peuples voisins.

5. La République Démocratique Géorgienne garantit, dans les limites de son territoire, tous les droits civils et politiques, à tous les citoyens également, sans distinction de nationalité, de croyance, d'état social ou de sexe.

6. La République Démocratique Géorgienne ouvre à toutes les nationalités habitant son territoire un champ libre à leur développement.

7. Jusqu'à la convocation de l'Assemblée Constituante, les affaires publiques de toute la Géorgie sont gérées par le Conseil National, avec adjonction des représentants des minorités ethniques, et par le gouvernement provisoire, responsable devant le Conseil National.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## АКТ НЕЗАВИСИМОСТИ ГРУЗИИ

В течение многих веков Грузия существовала как свободное и независимое государство.

В конце XVIII века, теснимая со всех сторон врагами, Грузия добровольно присоединилась к России с условием, что Россия обязывается защищать ее от внешних врагов.

В годы великой революции в России установился порядок, который привел к развалу весь боевой фронт и заставил русские войска оставить Закавказье.

Предоставленная своим собственным силам Грузия, и вместе с нею все Закавказье, сама взяла в свои собственные руки дело устроения своих судеб и создала соответствующие органы, но давление внешних сил привело к нарушению союза, объединявшего народы Закавказья, и к распадению политической его целости.

Нынешнее положение грузинского народа повелительно диктует Грузии необходимость создания своей собственной государственной организации, чтобы спасти себя от порабощения со стороны враждебных сил и заложить прочные основы для свободного развития.

Согласно этому, Национальный совет Грузии, избранный Национальным собранием Грузии 22 ноября 1917 года, ныне всенародно объявляет:

1) Отныне грузинский народ является носителем суверенных прав Грузии — полноправным независимым государством.

2) Формой политического устройства независимой Грузии устанавливается Демократическая республика.

3) В случаях международных столкновений Грузия постоянно нейтральна.

4) Грузинская Демократическая Республика стремится установить добрососедские отношения со всеми членами международного общения, в особенности же с определенными народами и государствами.

5) Грузинская Демократическая Республика гарантирует в своих пределах гражданские и политические права всем гражданам без различия национальности, вероисповедания, социального положения и пола.

6) Грузинская Демократическая Республика всем народностям, населяющим ее территорию, предоставляет широкий простор для свободного развития.

7) До созыва Учредительного собрания во главе управления всей Грузией стоит Национальный совет, пополненный представителями национальных меньшинств, и Временное правительство, ответственное перед Национальным советом».

# ისტორია დოკუმენტებში

## კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს რესპუბლიკის გერბისა.

1. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას აქვს თავისი სახელმწიფოებრივი გერბი.

2. გერბად არის თეთრი გიორგი შავი მნათობით

1918 წ. სექტემბრის 20.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს
თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ნ.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ნ.



## ა ნ წ ე რ ი ლ ო ბ ა

საქართველოს რესპუბლიკის გერბისა.

1. შვინდისფერ აღგილიანს რგვალ ფარზედ თეთრი გ ი ო რ გ ი ოქროს ჩლიქებიან თეთრს ცხენზედ.
მარჯვენა ხელში შეხაფევად მომარჯვებული ოქროს შუბი ვერცხლის ლახვრიანი.
ცისფერი ჯავშანი, რომელსაც აქვს ვერცხლის უჯრედები; ჯავშნის ქვეშ მიხაკის ფერი ტყავის პერანგი; სახელო და ბოლო მოსასხამისა თეთრი.
მარცხენა მხარზედ თეთრი ლარი ხახიანი; შალვარი ალისფე-რი, ოქროს წაღები;
უნაგირის ქვეშ ვეფხის ტყავის ყაჯარი; უნაგირი ოქროსი და უზანგი ვერცხლისა;
გერბის თავში რვაკუთხიანი ვერცხლის ვარსკვლავი. მის მარჯვნივ ვერცხლის მთვარე, მარცხნივ ოქროს მზე; მთვარის და მზის აქეთ-იქით ორ-ორი რვა კუთხიანი ვერცხლის ვარსკვლავი.
ცხენის ქვევით შავი მთის მწვერვალი. ფარის გარშემო შავი არშია თეთრ წინწკლებიანი ოქროს ზოლებში ჩასმული.

2. ეს კანონი შედის ძალაში დღიდან მიღებისა.

1918 წ. დეკემბრის 27-ს.

საქართველოს პარლამენტის
თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ნ.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ნ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს რესპუბლიკის დროშისა

I. საქართველოს რესპუბლიკას აქვს თავისი დროშა სამფეროვანი: წითელის /შინდის ფერის/ შავის და თეთრის ფერისა.

2. დროშას შეადგენს: თეთრი ბუნი თავში—ბირთვითა და შუბის წვერით, ალამი წითელი /შინდის ფერისა/ შავი და თეთრი თანასწორი ზოლებით ზემო კუთხეში მქონე; შავი და თეთრი ზოლები შეადგენს ალამის განის ნახევარს და სიგრძის ორ მეხუთედს.

1918 წ. სექტემბრის I0-ს

საქართველოს ეროვნულ
საბჭოს თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე

საქართველოს რესპუბლიკის
მთავრობის თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე

## საქართველოს რესპუბლიკის გერბი

საქართველოს რესპუბლიკის გერბი დაამტკიცა საქართველოს უზენაესმა საბჭომ 1990 წლის 14 ნოემბერს. აი, ეს გერბი:



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ეროვნული ჰიმნი

## დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული ჰიმნი 1918-21 წლებში

### დიდება

დიდება ზეცით კურთხეულს,
დიდება ქვეყნად სამოთხეს
ტურფა ივერსა!

დიდება ძმობა-ერთობას,
დიდება თავისუფლებას,
დიდება სამარადისოდ
ქართველ მხნე ერსა!

დიდება ჩვენსა სამშობლოს,
დიდება ჩვენი სიცოცხლის
მიზანს იდეალს!

ვაშა ტრფობასა-სიყვარულს,
ვაშა შვებასა-სიხარულს,
სალამი ჭეშმარიტების
შუქ-განთიადსა!

მუსიკა: კოტე ფოცხვერაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი საჭირბოროტო საკითხები

## საჭიროა მოთმინება, მოთმინება, კიდევ მოთმინება?..

I.

სა-ერთა-შორისო მასშტაბით აღიარებულია, რომ იმპერიების ეპოქა უკვე ისტორიას ჩაბარდა, და "მესამე რომის", ე.ი. მოსკოვის იმპერიის დღეებიც დათვლილია, თუმცა თავის-უფლებას, ეროვნულ თავისუფლებას კი არ "იძლევიან", არამედ "მოიპოვება" უნდა, რომლის დროს, თუ შესაძლებელია, -სასურველია მაჰათმა განდის თუ ლეხ ვალენსას "მშვიდობიანი" გზით სვლა, რადგან, საქართველოს ფარგლებში რომ დავრჩეთ, საქართველოს, ქართველ ხალხს არ შეუძლია იარაღით გაინთავისუფლოს თავი მოსკოვისაგან.

II.

მაშ, გამოდის რომ, საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას უნდა მივაღწიოთ მოსკოვის თანხმობითაც? - უთუოდ. კი მაგრამ როგორ?.. მოსკოვი თავისი ნებით დაანგრევს მის აწ უკვე ოთხას-წლოვან იმპერიას? - პასუხი: იმპერიები "თავისი-ნებით" კი არ ინგრევიან, არამედ ისტორიული განვითარების გარდაუვალი კანონზომიერებით... რომმა დაანგრია კართაგო, მაგრამ რომი დაანგრია "ველურმა" გერმანიკელთა ხალხებმა...ესპანეთი, დიდბრიტანეთი... ეს მსოფლიო მნიშვნელობის იმპერიები ჩაბარდა ისტორიას, და მეორე მსოფლიო ომმა საბოლოოდ დაამსხვრია ჰიტლერის გერმანიისა თუ იაპონიის იმპერიული ჯაჭვები.

III.

სამწუხაროთ, ლენინ-სტალინის რუსეთი მაინც გაჰყვა ძირმომპალ მეფის რუსეთის იმპერიულ პოლიტიკას, თუმცა 4 ივლისი, 1776 წელი, ამერიკის შეერთებული შტატების საბოლოო განთავისუფლება დიდბრიტანეთის კოლონიურ უღლიდან და 14 ივლისი, 1789 წელი, საფრანგეთის დიდი რევოლუციის მონაპოვარი - "თავისუფლება" - "თანასწორობა" - "ძმობა" - საბოლოო დასამარება იყო ყოველი ჯურის იმპერიული ზრახვებისა. ვერ გაიგო, ვერ აღიქვა რა "ტექნიკური ეპოქის" აღნიშნული მონაპოვარი, მოსკოვი მაინც ჩარჩა თავისი ძირმომპალი იმპერიული პოლიტიკის ჭაობში, რომლისაგან გამოსვლა გარდაუვალი გახდა არა იმდენად მიხეილ გორბაჩოვის, რამდენადაც ისტორიული განვითარების გარდაუვალი კანონზომიერების მეშვეობით: ატომური და ელექტრონიკის ეპოქა ვერ ეგუება "თვალუწვდენელი იმპერიების" ცენტრალიზმს და ერთი ერის ბატონობას მეორე ერზე. ამის შედეგად, იმპერიები გაქრა დედამიწაზე და იგივე ბედი ეწევა "საბჭოთა იმპერიასაც", როგორც ამას არა ერთი ფუტუროლოგი ამტკიცებს.

IV.

მაშ, საჭიროა მოთმინება, მოთმინება, კიდევ მოთმინება და თავის-უფლებას მაინც მივაღწევთ?.."მოთმინება", რა თქმა უნდა, "ხელის არ განძრევას", ე.ი. უმოქმედობას კი არ ნიშნავს, არამედ "მოთმინება - ბრძოლის" ისეთ შეზავებას, რომ მოსკოვსაც მიეცეს იმის საშუალება, რომ -"თავისი ეროვნული სახის" დაკარგვის გარეშე - "მოითმინოს", ვთქვათ, საქართველოს დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოს ისევ-აღდგენა. და ამ საკითხს ეხება, სხვა მრავალთა შორის, გერმანიის დიდი გაზეთის "ფრანკფურტერ-ალგემაინეს" კომენტატორი - გეორგ რაისმიულერი, რომელიც ამ გაზეთის 12 მარტის, 1991 წლის, ნომერში, სხვათა შორის, წერს:

"გორბაჩოვმა იცის...,რომ პირველყოვლისა ბალტიის სამი ქვეყნებისათვის გზის გადაღობვა დამოუკიდებლობისაკენ უკვე შეუძლებელია; იგივე ორიენტაციაზე დგას, რუმინეთის პირისპირ, ბესარაბიისა და კავკასიის სამი ერის მიმართ. თუ ისინი კიდევ ხუთ ან ექვს წელიწადს წყნარად იქნებიან, ისინი მიიღებენ დამოუკიდებლობას მოსკოვის ხელით. მაგრამ თუ ისინი აღვირახსნილად იმოქმედებენ, მაშინ მათ მათი მიზანი უნდა დამარხონ; მაშინ გორბაჩოვი დაიმორჩილებს მათ მკაცრი ხელით. ამგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა ის, რომ გორბაჩოვმა, ხელისუფლებაში ყოფნის ექვსი წლის მანძილზე, გამოამჟღავნა გარდაუვალობის შეცნობის უნარიანობა. მაგრამ როცა საქმე ნაციონალურიმპერიული სტატუს-ქვოს შენარჩუნებას ეხება, მაშინ გონიერ პოლიტიკოსებსაც უჭირთ გონიერების გამოჩენა. თუ გორბაჩოვს განზრახული აქვს

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს,რასაც მას აწერენ, მაშინ რატომ არ ანიჭებს ამას ბალტიელებსა და ქართველებს იმის მაგივრად, რომ ესენი შიშის ქვეშ ამყოფოს, რაც სიძულვილს იწვევს?"

V.

ვითომ საჭიროა მოთმინება, მოთმინება, კიდევ მოთმინება თუ მოთმინება-მოქმედება დროისა და სიტუაციის შესაბამისად?.. "ადამიანები, რომლებმაც თავისუფლების ხილი იგემეს,....გადაწყვიტეს მოიპოვონ სუვერენობა, - არავითარ ძალას არ შეუძლია შეაჩეროს - არც სამხედრო ძალასაც კი".("დი ცაიტ", 8.3.1991 წ., უზბეკეთის პრეზიდენტი ისლამ კარიმოვი). ჭეშმარიტებაა.

VI.

მაშ, საჭიროა მოთმინებაც, განსაკუთრებით ახლა, როცა საქართველოს უზენაესმა საბჭომ გამოაცხადა 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის, ე.ი.საქართველოს დამოუკიდებლობის ისევ-აღდგენა. იმპერიების ხანა ისტორიას ჩაბარდა და კრემლის იმპერიის აღკვეთა პირისაგან მიწისა გარდაუვალია. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მდგომარეობა ქმნის შეგნებას, და"მოთმინებასაც საზღვარი გააჩნია". მაგრამ სახელმწიფო მოღვაწეს ხომ "ცივი", დინჯი აზროვნება უნდა გააჩნდეს, რომლის დროს გრძნობა გამოთიშულია?!..

კარლო ინასარიძე
პარიზი, 1991 წლის 26 მაისი

## 17 მარტისა და 31 მარტის რეფერენდუმი

I.

საბჭოთა კავშირში 1991 წლის 17 მარტს ჩატარდა რეფერენდუმი ე.წ.-ლი "სამოკავშირეო ხელშეკრულების" შესახებ ე.წ.-ლ "სუვერენულ რესპუბლიკებს" შორის , რომელშიც ექვს რესპუბლიკას - ლიტვა-ლატვია-ესტონეთს, საქართველოს, სომხეთს და მოლდავეთს მონაწილეობა არ მიუღია. მაგრამ ხმების 76,4 პროცენტი მაინც სსრკ-ს შენარჩუნებას ემხრობა; თუმცა,31 მარტს,საქართველოში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგად, ხმის მიმცემთა 99-ი პროცენტი საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას მოითხოვს.

II.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, რომელიც 1922 წლის 31 დეკემბერს შექმნა ლენინ-სტალინმა, აღმოცენდა მეფის რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე, რომლის დროს "პანსლავიზმის" იდეოლოგიური სარჩული, შეცვლილ იქნა უფრო მოქნილი "ინტერნაციონალური" სარჩულით. მაგრამ მეფის რუსეთის იმპერიის მსგავსად, ლენინ-სტალინმა ცეცხლითა და მახვილით შექმნეს და გააფართოვეს მოსკოვის ეს "წითელი იმპერია", რომელშიც თვით რუსის ერიც კი იჩაგრება, ვინაიდან მას აწევს კისერზე ამ ხელოვნურად შეკოწიწებული იმპერიის შენარჩუნების ხარჯები, რამაც უკვე გაკოტრებამდე მიიყვანა საბჭოთა კავშირში ძალით მოქცეული ყველა ერი და ქვეყანა.

III.

მაგრამ მთავარი პასუხისმგებლობა ამკარი უღლეური იმპერიის შექმნისა და გაკოტრების საქმეში მაინც რუსეთს, რუსის ერს აწევს კისერზე, რადგან რუსეთის ფედერაცია ყველაზე უფრო დიდია მოსახლეობის რაოდენობითა და ტერიტორიით, მით უმეტეს, რომ საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობაში ყოველთვის დომინირებდა და დღესაც დომინირებს რუსი ერის შვილები. უთუოდ, ამით აიხსნება საბჭოთა კავშირის გაყინვა, უმოძრაობა, რეფორმებისათვის თავის არიდება, რომ რუსის ერი - პოლიტიკურად, ეკონომიკურად, კულტურულად, სოციალურად ბატონობს საბჭოთა კავშირში მოქცეულ ყველა ერსა და ქვეყანაზე.

IV.

ეს გასაკვირი არ არის თუ გადავხედავთ საბჭოთა კავშირის ცალკეული რესპუბლიკების მოსახლეობის რაოდენობას:

1.რუსეთის ფედერაციაში ცხოვრობს 147,4 მილიონი კაცი;
2.უკრაინაში..........................51,7 " ";
3.უზბეკეთში..........................19,9 " "
4.ყაზახეთში..........................16,5 " ";
5.ბელორუსიაში........................10,2 " ";

6. აზერბაიჯანში....................7,0 " " ;
7. საქართველოში....................5,4 " "
8. ტაჯიკეთში....................5,1 " " ;
9. მოლდავეთში....................4,3 " " ;
10. ყირგიზეთში....................4,3 " " ;

11. ლიტვაში ცხოვრობს..........................3,7 მილიონი კაცი;
12. თურქმენეთში..........................3,5 " " ;
13. სომხეთში..........................3,3 " " ;
14. ლატვიაში..........................2,7 " " ;
15. ესტონეთში..........................1,6 მილიონი კაცი.

V.

თუთხმეტი მოკავშირე რესპუბლიკების აღნიშნული მოსახლეობის რაოდენობა კი, გასაგებია, ყოველი სახის არჩევნებში თუ რეფერენდუმში, იმ ერთსაც კი, როცა არჩევნები ტარდება დემოკრატიულად, - გადამწყვეტი როლი ენიჭება რუსეთს, ვინაიდან მისი მოსახლეობა საბჭოთა კავშირის მთელი მოსახლეობის -280 მილიონი - ნახევარზე მეტს წარმოადგენს, მით უმეტეს, რომ რუსი ერის შვილები მილიონობით ცხოვრობენ საბჭოთა კავშირის სხვა მოკავშირე რესპუბლიკებშიც. ასეთ პირობებში, გასაგებია, ერთადერთი გზა "ცენტრის" ბატონობისგან თავის დაღწევისა საერთო საკავშირო არჩევნები ვერ იქნება. ამიტომ სრულიად ლოგიკურია ექვსი მოკავშირე რესპუბლიკის - ესტონეთის, ლიტვის, ლატვიის, სომხეთის, საქართველოსა და მოლდავეთის გადაწყვეტილება, მონაწილეობა არ მიეღოთ 17 მარტის რეფერენდუმში.

VI.

თვით სამოკავშირეო ხელშეკრულება ე.წ.-ლი "სუვერენული რესპუბლიკებისა" კი, რომელიც გამოქვეყნებულ იქნა 1991 წლის 9 მარტის "პრავდაში", - სხვა არაფერია თუ არა საბჭოთა იმპერიის შენარჩუნების კიდევ ერთი ახალი ცდა: სხვათა შორის, 17 მარტის რეფერენდუმის შეკითხვაც ანალოგიური "ბუნდოვანებით" გამოირჩევა, როგორც კრემლის ხელმძღვანელობის პოლიტიკა საბჭოთა კავშირში ძალით მოქცეული ერების მიმართ:

"თვლით თქვენ საჭიროდ, - ამბობს რეფერენდუმის შეკითხვა,- საბჭოთა კავშირი როგორც თანასწორუფლებიანი სუვერენული რესპუბლიკების განახლებული ფედერაცია შენარჩუნებულ იქნას, რომელშიც ყველა ეროვნების ადამიანების უფლებები და თავისუფლება სრულიად უზრუნველყოფილი იქნება?"

რატომ მარტივად, როცა რთულად შეიძლება ითქვას; - მაგრამ "რთულად" არის ეს შეკითხვა ჩამოყალიბებული იმ მიზნით, რომ თითქოს რეფერენდუმში მონაწილეები საქმის ნამდვილ ვითარებას ვერ გაიგებენ და კრემლს დაუდასტურებენ, რომ შენარჩუნებულ იქნას საბჭოთა აწ უკვე სამოცდა-ცამეტ-წლოვანი წითელი იმპერია. და ამაზე მეტყველებს "სამოკავშირეო ხელშეკრულების" ყოველი დებულებაც:

VII.

"ძირითად პრინციპებში", მაგალითად,-ერთი მხრივ - ნათქვამია, რომ - "ხელშეკრულების მონაწილე ყოველი რესპუბლიკა არის სუვერენული სახელმწიფო", მაგრამ იმავე "პრინციპებშია" ნათქვამი, რომ-"სსრ კავშირი არის სუვერენული ფედერაციული დემოკრატიული სახელმწიფო..." არა მარტო ფაქტიურად, არამედ იურიდიულადაც წარმოუდგენელია, რომ ერთი სუვერენული სახელმწიფო(რესპუბლიკა) მეორე სუვერენული სახელმწიფოს(საბჭოთა კავშირი) ნაწილია, და ამავე დროს ორივე სახელმწიფო - ცალკცალკე - სუვერენული სახელმწიფოებია. ამგვარი იურიდიული "აკრობატიკა" რომ მართლაც წარმოუდგენელია. მაგრამ ესეც კრემლის მესვეურების ცდაა, "სუვერენული რესპუბლიკების" ხელმძღვანელობა და მოსახლეობა როგორმე ჩაითრიონ საბჭოთა იმპერიის ფარგლებში.

VIII.

ანალოგიურია მოქალაქეობის საკითხიც: მუხლი პირველი განსაზღვრავს, რომ "მოქალაქეები რესპუბლიკებისა, რომლებიც შედიან სსრ კავშირში, არიან ამავე დროს სსრ კავშირის მოქალაქეები". ტერიტორია? - "ტერიტორია სსრ კავშირისა შედგება ხელშეკრულების მონაწილე ყველა რესპუბლიკის ტერიტორიებისაგან", ამბობს მესამე მუხლი.

IX.

ანალოგიურია აგრეთვე სახელმწიფო ხელისუფლების საკითხიც: "ხელშეკრულების მონაწილენი სსრ კავშირს ანიჭებენ შემდეგ უფლება-მოსილებას: თავდაცვა, სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელმწიფო უშიშროება, საგარეო პოლიტიკა, ეკონომიკა, ბიუჯეტი, სახალხო მეურნეობა და სხვადასხვა; ე.ი. სახელმწიფოს ხელისუფლების ყველა მთავარი ბერკეტი "ცენტრის" ხელში რჩება, როგორც ეს იყო და არის აქამდე.

X.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო,ე.ი.საკანონმდებლო ორგანო რუსეთის ხელშია, ვინაიდან დეპუტატების უმრავლესობა რუსეთის ფედერაციიდან იქნება მოსახლეობის სიმრავლის გამო, ხოლო მმართველობის ორგანო ერთი კაცის ხელშია:"სსრ კავშირის პრეზიდენტი - საკავშირო სახელმწიფოს მეთაურია, რომელსაც გააჩნია უმაღლესი აღმასრულებელ-განმკარგულებელი ხელისუფლება".(მუხლი მეცამეტე).
და ამას თუ დავუმატებთ სრულიად ახალ მუხლს, რომელიც საბჭოთა კავშირის არც ერთ კონსტიტუციაში არ ყოფილა შეტანილი, სახელდობრ ის, რომ "სსრ კავშირის ხელშეკრულების მონაწილეები ოფიციალურ ენად აღიარებენ რუსულ ენას"(მუხლი მეოთხე), კიდევ: სსრ კავშირის დედაქალაქია მოსკოვი, - მაშინ ნათელი ხდება, რომ ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულება მართლაც ახალია იმით, რომ ის კიდევ უფრო ბოჭავს "სუვერენული რესპუბლიკების" უფლებებს, ვიდრე ეს იყო ლენინ-სტალინის დროს, ვთქვათ, თავდაცვის საკითხში, რომლის თანახმად მოკავშირე რესპუბლიკებს "სამხედრო დანაყოფების" შექმნის უფლება გააჩნდათ, რაც ზოგჯერ პრაქტიკულადა იქნა განხორციელებული მეორე მსოფლიო ომამდე, ომის დროს თუ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების პირველ წლებში.

XI.

საინტერესოა აგრეთვე ამ "სამოკავშირეო ხელშეკრულების" დადების ვადა. მიხეილ გორბაჩოვმა - მოუწოდა რა 15 მარტს,ტელეხედვით, რეფერენდუმში მონაწილეებს თანხმობა განაცხადონ ამ სამოკავშირეო ხელშეკრულების დადებაზე - საბჭოთა კავშირი "ათასწლოვან" სახელმწიფოებრივ საწყისებს დაუკავშირა, რომელშიც,ალბათ, რუსეთის("კიევსკაია რუსს") საწყისებს გულისხმობს, თუმცა რუსეთის სახელმწიფოს სუვერენობისა და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ არარუს სახელმწიფოებს(რესპუბლიკებს) რა უნდა ჰქონდეს!?.. მაგრამ საბჭოთა იმპერიის "ათასწლოვანობის" ნიშნად უნდა იქნეს მიჩნეული ის ფაქტი, რომ ამ სამოკავშირეო ხელშეკრულების ვადა განუსაზღვრელი,ე.ი.მარადიულია, თითქოს მართლაც ათასი წლის შემდეგ ისევ იარსებებს საბჭოთა კავშირი!?.. ამის იურიდიულ საფუძველს იძლევა ამ "სამოკავშირეო ხელშეკრულების" ოცდა-მეოთხე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს:"სამოკავშირეო ხელშეკრულება ან მისი ცალკეული დებულება შეიძლება გაუქმებული, შეცვლილი ან შევსებულ იქნას....მხოლოდ სსრ კავშირის ყველა წევრ-სახელმწიფოს თანხმობით". და ამ "მარადიული" სამოკავშირეო ხელშეკრულების "გამოუვალი წრეა" ის, რომ თუ რომელიმე რესპუბლიკა ხელს არ მოაწერს ამ სამოკავშირეო ხელშეკრულებას, რჩება ისეთ მდგომარეობაში - ფაქტიურად და იურიდიულად -, როგორშიც არის დღეს, ე.ი. მაშინ ძალაში რჩება 1922 წლის 31 დეკემბრის სსრ კავშირის შექმნის ხელშეკრულება. კრემლის ცინიზმი მართლაც რომ ძნელია უფრო შორის წავიდეს!.. გამოდის რომ, საქართველომ, თუ გორბაჩოვის ეს ე.წ.-ლი"სამოკავშირეო ხელშეკრულებას ხელი არ მოაწერა, - სამუდამოდ უნდა გამოემშვიდობოს ეროვნულ თავისუფლებას, რაც 26 მაისის ტიპის აქტების განხორციელებას, ე.ი. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის იდეა-აღდგენას ნიშნავს.

XII.

და 17 მარტის რეფერენდუმის შედეგებით გამხნევებულ მიხეილ გორბაჩოვს რუსეთის იმპერია უკვე შენარჩუნებულად მიაჩნია, რაც მან სიამაყით განაცხადა გერმანულ დიდი ჟურნალისადმი(-"შპიგელ",13-1991 წ., 25 მარტი)- მიცემულ ინტერვიუში, რომლის დროს, სხვათა შორის, განაცხადა:
"...პროექტი სამოკავშირეო ხელშეკრულებისა...შემუშავებულ იქნა ცხრა რესპუბლიკისაგან...ზოგიერთ რესპუბლიკებს სურთ მოგვიანებით რეფერენდუმის ჩატარება...რესპუბლიკებმა, რომლებსაც არ სურთ სამოკავშირეო ხელშეკრულების მიღება, ალამი უნდა გვაჩვენონ. ამისათვის საკმარისი არ არის ხალხის გამოკითხვა, არამედ ნამდვილი რეფერენდუმი ხალხის სურვილის გამოსამჟღავნებლად. თუ ამ რესპუბლიკებს მართლაც არ სურთ განახლებულ კავშირში შეკიდენ, მაშინ დაიწყება გაყრის პროცესი, და სახელდობრ ისე, როგორც კონსტიტუცია განსაზღვრავს. დაბოლოს დამყარებულ იქნება საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობა". როგორც ვხედავთ, მიხეილ გორბაჩოვი ცენტრის მიერ ჩატარებულ რეფერენდუმს რეფერენდუმად თვლის, ხოლო საქართველოში თუ ბალტიის რესპუბლიკებში ჩატარებულ რეფერენდუმს "გამოკითხვას" უწოდებს და არასრულფასოვნად თვლის, ე.ი. გორბაჩოვი ისევ "ჭრისა და კერავს", როგორც ეს კრემლის იმპერიის შენარჩუნებას ემსახურება.

XIII.

და მიხეილ გორბაჩოვი რომ რუსეთის იმპერიის შენარჩუნების თვალთახედვით უყურებს ამ "ახალ" სამოკავშირეო ხელშეკრულებას, ამას პირდაპირ ასე ამბობს: "ეს ხალხთა ერთობა(ლაპარაკია საბჭოთა კავშირზე.კ.ი.) საუკუნეების განმავლობაში შეიქმნა და მიღწეულია ღრმა შრომის განაწილება და კოოპერაცია". მეცხრამეტე საუკუნის პირწავარდნილი იმპერიალისტი უკეთესად ვერ იტყოდა: რუსეთმა,საუკუნეების განმავლობაში, დაიპყრო მისი მეზობელი ერები, მოაქცია ისინი კოლონიურ მდგომარეობაში, დაეპატრონა მის ყველა ეკონომიკურ სიმდიდრეს, და ამას გორბაჩოვი უწოდებს "შრომის განაწილებასა და კოოპერაციას". ცინიზმი მართლაც რომ არ შეიძლება უფრო შორს წავიდეს.

XIV.

"70 მილიონი მოქალაქე ცხოვრობს - თქვა გორბაჩოვმა - მათი რესპუბლიკების გარეთ, არსებობს 30 მილიონი შერეული ოჯახი. მრავალი საზღვარი ქვეყნებისა შიგნით სახელმწიფოს-ერების აქეთაც კი არ არის დადგენილი. როცა გორბაჩოვი მეფის რუსეთისა და ლენინ-სტალინის ამგვარი არეული იმპერიის შენარჩუნებას ქადაგებს იცის,რომ, - საბოლოო ჯამში, ხდება საბჭოთა კავშირში მოქცეული ერებისა და ეროვნებების რუსიფიკაცია, რადგან ას-მილიონზე მეტ რუსებს არავითარი გადაგვარება არ ემუქრება. უთუოდ, იგივე გორბაჩოვი სხვა პანგებზე დაიწყებდა გალობას, რომ, ვთქვათ, ჩინეთი და რუსეთი ერთ სახელმწიფოში მოექცეს.

და წარმოიდგინეთ, თვით იესო ქრისტეც კი ჩარია თავის არგუმენტაციაში გორბაჩოვმა და თქვა:"თვით ქრისტეც ვერ შეძლებდა ამ საზოგადოების გაყოფას. მე იმის წინააღმდეგი ვარ, რომ ცალკეული რესპუბლიკები გამოეყოს კავშირსო..."

XV.

როგორც ვხედავთ, მიხეილ გორბაჩოვი განაგრძობს მეფის რუსეთის, ლენინ-სტალინის იმპერიულ პოლიტიკას და სურს, რაც არ უნდა დაჯდეს, საბჭოთა კავშირის, ე.ი.რუსეთის იმპერიის შენარჩუნება. ერთადერთი იმედის მომცემია ამ მხრივ - ბორის ელცინი, რომელიც, მართალია, მოკავშირე რესპუბლიკების სრული დამოუკიდებლობის მომხრე არ არის, მაგრამ სურს საბჭოთა კავშირის გარდაქმნა კ ო ნ ფ ე დ ე რ ა ც ი ა დ, რაც, უთუოდ, ერთი დიდი ნაბიჯი იქნებოდა,ვთქვათ, საქართველოს სრული დამოუკიდებლობისა და სუვერენობის ისევ-აღდგენის გზაზე.

XVI.

მაგრამ ჩვენ ჩვენი თავის შველის მთავარი ძალა ჩვენშივე - საქართველოში, ქართველ ხალხში, ქართველ ერში - უნდა ვეძიოთ და მოვნახოთ, რომლის წინაპირობა არის ჩვენი ერთობა, სულ ერთია, 26 მაისის დიადი იდეების განხორციელების საქმეში. და ამ დროს ჩვენ ჩვენი ყურადღების ცენტრში უნდა დავაყენოთ არა ის, რაც ამა თუ იმ პარტიას და დაჯგუფებას ჰყოფს, არამედ ის , რაც ჩვენ გვაერთებს. ჩვენ კი გვაერთებს, კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა ითქვას, დიდი ისტორიული წარსული, რომლის თანამედროვე ჩირაღდანია 1918 წლის 26 მაისი; და, საბედნიეროდ, დღეს საქართველოს ყველა პარტია და ყველა პოლიტიკური დაჯგუფება 26 მაისის დიად იდეების განხორციელებისათვის იბრძვის, თვით საქართველოს კომპარტიის ჩათვლით. სხვა სიტყვებით: წინა პლანზე უნდა დავაყენოთ ის, რაც საქართველოს პარტიებსა და ბლოკებს აერთებს და არა ის, რაც ჩვენ გვყოფს. მაშინ, მხოლოდ მაშინ შესაძლებელი გახდება ხელშემშლელი ძალების ნეიტრალიზაცია იმ დროსაც კი, როცა მის უკან კრემლი დგას.

XVII.

მაგრამ კრემლი პრობლემა იყო საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევის გზაზე და რჩება დღესაც, რის საილუსტრაციოდ(კიდევ ერთხელ) მსურს მოვიყვანოთ ერთი ისტორიული ეპიზოდი: "მე დარწმუნებული ვარ, რომ ქართველ ხალხს შეუძლია შექმნას დამოუკიდებელი სახელმწიფო. თქვენი პრობლემა ეს არ არის. თქვენი პრობლემა არის შემდეგი: შეგიძლიათ თქვენ უზრუნველჰყოთ თქვენი დამოუკიდებლობა იმ უძლეველი სახელმწიფოს თანხმობის გარეშე, რომელიც თქვენი მეზობელია და რომელსაც ჰქვია რუსეთი?" - ასეთი პასუხი მისცა დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის წარმომადგენელს ირაკლი(კაკი) წერეთელს ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლორდ კერზონმა 1919 წელს, როცა მოკავშირეებიდან საქართველოს დამოუკიდებლობის დე იურე ცნობას მოითხოვდა.

XVIII.

და მართლაც, როცა 1920 წლის 7 მაისს დაიდო საზავო ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთსა და დამოუკიდებელ საქართველოს შორის, რომლითაც რუსეთმა დე ფაქტო

და დეიურე იცნო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ამის შემდეგ, უმოკლეს ხანში, საქართველო, როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო იცნო მსოფლიოს ოცზე მეტმა სახელმწიფომ, მათ შორის ინგლისმა, საფრანგეთმა, იტალიამ და იაპონიამ.

XIX.

რას ნიშნავს ეს ფაქტი? - ეს ნიშნავს იმას, რომ 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგებით ზურგგამაგრებული, ჩვენ ყველა ხერხს უნდა მივმართოთ, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დე ფაქტო და დე იურე ცნობა საბჭოთა რუსეთისაგან მოვძლოთ. 1920 წლის 7 მაისის საზავო ხელშეკრულების ისევ ძალაში შეყვანა, თვით რუსი ხალხის ინტერესებშიც შედის, ვინაიდან რუსის ხალხს, რუსეთს - ერთი მხრივ - ეყოლება კავკასიაში ერთი დიდი მეგობარი ქვეყანა საქართველო და ქართველი ხალხი, და - მეორე მხრივ - რუსეთი განთავისუფლდებოდა იმ ხარჯებისაგან, რომელსაც ის ყოველდღიურად იღებს იმისათვის, რომ როგორმე - იარაღის ძალით - შეინარჩუნოს ბატონობა საქართველოზე, ქართველ ხალხზე, რაც,თავის მხრივ, რუსი ხალხის უთავისუფლებობასაც უდრის, ვინაიდან ერი, რომელიც სხვა ერზე ბატონობს, თვითონაც არ არის თავისუფალი, რადგან ყოველთვის იმის ცდაშია, როგორც შეინარჩუნოს ეს იმპერიული ბატონობა სხვა ერზე, ამ შემთხვევაში, ქართველ ერზე, საქართველოზე.

XX.

რა თქმა უნდა, გორბაჩოვების, რუსეთის იმპერიის მომხრეებისაგან ამგვარი იდეოლოგიის მიღება ადვილი საქმე არ არის, მაგრამ სხვა გამოსავალი რომ თვით რუსეთს, რუსეთის იმპერიის მომხრეებსაც არ გააჩნიათ, ვინაიდან ერისა და პიროვნების თავისუფლების "შერიგება" რუსეთის იმპერიის საზღვრებთან ანაქრონიზმი და ამით შეუძლებელია?!.. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ლენინგრადის მოსახლეობის მხოლოდ 45- მა პროცენტმა მისცა ხმა საბჭოთა კავშირის შენარჩუნებას 1991 წლის 17 მარტის რეფერენდუმში; რუსეთის პრეზიდენტის, და ამით რუსეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას ხმა მისცა მოსახლეობის 79-მა პროცენტმა. და ამის პირისპირ თუ ავღნიშნავთ საქართველოში,1991 წლის 31-ე მარტს, ჩატარებული რეფერენდუმის შედეგებს, რომლითაც ხმისმიმცემთა 99-მა პროცენტმა კითხვაზე - "<u>თანახმა ხართ თუ არა აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე</u>" -დადებითი პასუხი გასცა,მაშინ ჩვენ კიდევ ერთი კოზირი გვაქვს ხელში, რომლის უგულებელყოფა კრემლს არ შეუძლია, რადგან კრემლის მესვეურებიც შეუძლებელია ვერ ხედავდნენ, რომ იმპერიების ხანა უკვე ისტორიას ჩაბარდა და ვერც "მესამე რომი" - მოსკოვი - ვერ ამორჩება ისტორიის ამ გარდაუვალ განკითხვას.

XXI.

მჯერა, რომ საქართველოს უზენაესი საბჭო და საქართველოს ყველა სხვა პოლიტიკური პარტია-დაჯგუფება - მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა - ერთობლივად იმოქმედებენ, ვინაიდან ჩვენ გვაერთიანებს 26 მაისის დიადი იდეები, რაც 1991 წლის 31 მარტს,კიდევ ერთხელ, მოქმედების მრწამსად აღადგინა საქართველოს მოსახლეობის დიდმა, დიდმა უმრავლესობამ.

ამდენად, სრულიად ლოგიკურია, რომ 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმს მოყვა 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს უზენაესი საბჭოს დეკლარაცია დამოუკიდებელი საქართველოს ისევ-აღდგენის შესახებ.

კარლო ინასარიძე

პარიზი, 1991 წლის მაისი

========================

"აბსურდია თავად ტერმინი 'სუვერენულ სახელმწიფოთა ფედერაცია' , იგი შეიცავს თავისთავში წინააღმდეგობას და მის შემქმნელთა პოლიტიკურ უწიგნურობაზე მიუთითებს, ვინაიდან ისტორიას არ ახსოვს ფედერაციის კომპონენტებად სუვერენული სახელმწიფოები." ("ს.რ.",19.3.1991 წ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 31 მარტის რეფერენდუმი და ევროპა

## I.

დიდი გამოხმაურება ჰქონდა ევროპა-ამერიკაში და, საერთოდ, მთელ მსოფლიოში საქართველოში 1991 წლის 31 მარტს ჩატარებულ რეფერენდუმს კითვაზე - "თანახმა ხართ თუ არა აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?"

რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო, როგორც დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იტყობინებოდა, - სამ-ნახევარ მილიონ ხმოსანთა 90-თ პროცენტმა, რომელთაგან 99-ც პროცენტმა მხარი დაუჭირა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ისევ-აღდგენას. ამგვარად, აღნიშნავენ დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის მედიუმები, ესტონეთის, ლიტვის, ლატვიის შემდეგ, საქართველო არის მეოთხე რესპუბლიკა, რომელმაც, რეფერენდუმის გზით, მოითხოვა საბჭოთა კავშირიდან გამოყოფა და საკუთარი დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნა.

## II.

დასავლეთელი კომენტატორები, არსებითად, ტოლებითად ახასიათებენ საქართველოში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგებს, მაგრამ, ზოგიერთებს, ეჭვი შეაქვთ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განხორციელების შესაძლებლობაში არსებულ პირობებში. გერმანიის დიდი გაზეთი "ზიუდ-დოიჩე-ცაიტუნგ-ის" კომენტატორი, მაგალითად, წერს:

"უდიდესი უმრავლესობით ქართველებმა ხმა მისცეს საბჭოთა კავშირიდან საქართველოს გამოყოფას; 99-ი პროცენტი თანხმობითი ხმა ადასტურებს, რომ თითქმის არც ერთი ხმოსანი ეჭვს არ გამოთქვამს ან მიმობს სუვერენობის საქმეში. ეს გასაკვირი არ არის თუ გავითვალისწინებთ წინა-ისტორიას: ბოლშევიკებმა შეიერთეს ეს ქვეყანა ძალით 1921 წელს, როცა საქართველო სამი წლის განმავლობაში დამოუკიდებელი იყო. სტალინმა მაშინ, წითელი არმიის დახმარებით, ჰქუხა წინააღმდეგობა, და, როგორც ცნობილია, იგი არ იყო საშუალებების გამოყენებაში გულჩვილი. ამგვარად, სიძულვილი მოსკოვის კომუნისტების წინააღმდეგ ჩამარხულია სამი თაობის თავებში; და ნაციონალური აღდგომა, რომელიც მოედვა საბჭოთა რესპუბლიკებს გარდაქმნის დაწყების დღიდან, ნაწილობრივ ხელი შეუწყო იმ უკომპრომისო გადაწყვეტილებას, რომლითაც ქართველები დამოუკიდებლობისაკენ მიისწრაფვიან.

საქართველოს ნაციონალისტური ხელმძღვანელი - ზვიად გამსახურდია, - არ არის ამავე დროს ტოლერანტული, დიპლომატიური პოლიტიკოსი. მან იცის, როგორ შეიძლება ხალხის მასების აღგზნება, და ის არ არის ადამიანი, რომელსაც ერთი წყვილი მოკლული უფრო მეტი თუ ნაკლები, ღამე არ დააძინებს. ამიტომ იგი რეფერენდუმის ნათელ შედეგებს დამოუკიდებლობისათვის გამოიყენებს, რომ ბრძოლა მოსკოვის ერთგული ოსების წინააღმდეგ საქართველოში კიდევ უფრო მეტი სისასტიკით განაგრძოს.... ამდენად კომენდანტის საათის შემოღება საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს მიერ ამ რაიონში, - არ არის გამოსადეგი საშუალება, რომ ბრძოლები დამთავრდეს; იგი არის უაზრო, ვინაიდან მოსკოვს უკვე დიდიხანია აღარ მიიჩნევენ შუამავლად. მაშინაც კი თუ მოსკოვი ჯარს გამოიყენებს (რასაც, როგორც ჩანს, მაინც თავს არიდებს), ბრძოლა ქართველებსა და ოსებს მორის სასტიკად და სიძულვილით გამსჭვალული გაგრძელდება", - ასე წერს "ზიუდ-დოიჩე-ცაიტუნგის" კომენტატორი.

## III.

ეს კომენტარი და ანალოგიური სხვა კომენტარები, რომლებიც არც ისე იშვიათად ვრცელდება დასავლეთ ევროპის მასობრივი საშუალებებით, ამჟღავნებენ, რომ დასავლეთი, საერთოდ, გარე-მსოფლიო - კრემლის დეზინფორმაციის წყალობით - არ იცნობენ საქართველოში არსებულ მდგომარეობას, ანდა, რაც უფრო სავარაუდოა, გაურბიან ყოველგვარი აუთენტური ცნობების გავრცელებას, რომლითაც - დასავლეთის აზრით - ხელი შეეშლებოდა გორბაჩოვისეულ საერთაშორისო განმუხტვის პოლიტიკას. ეს ფაქტი კი ნათელს ხდის თუ რა სიძნელეების წინაშე ვდგევართ ჩვენ, ქართველები, საქართველო, ქართველი ერი, რომ გავლახოთ კრემლის დეზინფორმაციის კედელი, და გარე-მსოფლიოს გავაცნოთ საქართველოში არსებული ნამდვილი მდგომარეობა.

IV.

რა თქმა უნდა, ქართველები და ამით თვით ზვიად გამსახურდია არასოდეს არ ყოფილა, არ არიან "ნაციონალისტები" იმ გაგებით, როგორც ეს ევროპას ესმის. და ევროპამ ისიც კი არ იცის, (თუ არ უნდა იცოდეს?) რომ ოს-ექსტრემისტების ზურგში კრემლი დგას; ხოლო რაც შეეხება ტოლერანტობას=შემწყნარებლობას, განა ოს-ექსტრემისტების წინააღმდეგ ბრძოლა შიდა-ქართლში იმით არ არის გართულებული, რომ ქართული მილიცია, ქართველი ერი სწორედ შემწყნარებლობას იჩენენ ოს-ექსტრემისტების მიმართაც იმ დროს, როცა ოსი-ექსტრემისტები, როგორც 19 მარტის "საქართველოს რესპუბლიკა" იტყობინება, - ახალგაზრდების ბენზინით დაწვისაგანაც კი არ იხევენ უკან?.. და განა "ნაციონალისტი", - რაც ევროპული გაგებით "შოვინისტს" და, თითქმის, "ფაშისტს" ნიშნავს, - საქვეყნოთ აღიარებს ისეთ მრწამს, როგორიც გამოთქვა ზვიად გამსახურდიამ?.. "ჩვენ, - თქვა მან, - უღმერთობის, ძრევისა და ტერორის გზას ვერ დავადგებით". და ამ სიტყვებში არ გამოსჭვივის ყოველი ქართველის დიდი ჰუმანიტარული და ტოლერანტული ათასწლოვანი ტრადიციები, მიუხედავათ მათი პოლიტიკური მრწამსისა?..

V.

1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის ასე ნათელმა შედეგმა კი, საქართველოს უზენაეს საბჭოს მისცა შესაძლებლობა 1991 წლის 9 აპრილს-საქართველოსა და მთელი მსოფლიოს წინაშე-გამოაცხადებინა საქართველოს დამოუკიდებლობის ისევ აღდგენა, 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ბაზაზე. ეს კი დიდი ისტორიული მოვლენაა, რომელიც თანდათანობით ფაქტიურ განხორციელებას მოელის.

კარლო ინასარიძე
მიუნხენი, 1991 წლის აპრილი

## პ ი რ ვ ე ლ ი   მ ა ი ს ი

### თამარობა და სა-ერთა-შორისო შრომის დღე

I.

პირველ მაისს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სრულიად საქართველოს ეკლესიამ თამარ მეფე წმინდანად შერაცხა, - საქართველო, ქართველი ხალხი ყოველწლიურად აღნიშნავს თამარობას, ხსენების დღეს "წმიდისა კეთილმორწმუნისა დიდისა მეფისა ქართველთა თამარისა".

II.

მეფეთა-მეფე თამარი არის დიდი დავით აღმაშენებლის, საქართველოს სახელმწიფოებრივი სიდიადის ღირსეული მემკვიდრე, რომელმაც, შამქორისა (1195 წ.) და ბასიანის (1203 წ.) ბრძოლებში გამარჯვებით, - დააგვირგვინა საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების "ოქროს ხანა", რის შედეგად თამარ მეფე იქცა ქართველი ხალხის სათაყვანებელ პიროვნებად. და თუ დავით აღმაშენებელი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის მეობის სიმბოლო გახდა, თამარ მეფე ქართველი ხალხის, საქართველოს მშვენიერების სიმბოლოდ იქცა, რაც იმაში გამოსჭვივის, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივ დიდ მოღვაწეებიდან, მეფეთა-მეფე თამარისადმი არის მიძღვნილი ყველაზე მეტი პოემა, ლექსი თუ ლეგენდა, რომელთა გვირგვინი დიდი შოთას "ვეფხისტყაოსანი".

III.

ამგვარად, - მიუხედავათ იმისა, რომ "ოქროს ხანიდან" უკვე თითქმის 800-სი წელიწადი გავიდა, - თამარ მეფე დღესაც გზას გვინათებს; თუმცა ამ რვა საუკუნის განმავლობაში საქართველომ, როგორც სახელმწიფომ დიდი უბედურება და ჩვენი სახელმწიფოებრივი ორგანიზმის დაუნდობელი დაჩეხვა-დანაწილება განიცადა.

IV.

საქართველოს, ქართველ ხალხს სახელმწიფოებრივი ერთობისაკენ ისევ გაეხსნა გზა, როცა სა-ერთა-შორისო მასშტაბის თავის-უფლების ზარებმა დაიწყეს რეკვა, ჯერ - ამერიკის შეერთებულ შტატებში, როცა ამერიკულმა ხალხმა თავი გაინთავისუფლა უცხო კოლონიზატორებიდან, რის შედეგად 1776 წლის 4 ივლისი ყველა დამონებული ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლის სიმბოლო გახდა.

და როცა საფრანგეთის დიდი რევოლუციის ლოზუნგი - თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა - საერთაშორისო ღირებულებად იქცა, და 1789 წლის რევოლუციის 100-ი წლისთავზე, პარიზში, 1890 წლის ივლისში, ერთდროულად, ორი სოციალისტური ინტერნაციონალის კონგრესი ჩატარდა, უკვე წამოყენებულ იქნა თავისუფლება-თანასწორობა-ძმობის კონკრეტული ლოზუნგები: მეორე ინტერნაციონალის ერთი კონგრესი მოწვეულ იქნა ბრიტანეთის არამარქსისტულ პროფკავშირებისა და ფრანგი "პოსიბილისტების" მიერ; ეს უკანასკნელი, რომლის მეთაური იყო პოლ ბრუსი, უარყოფდა რადიკალურ ცენტრალიზმს, და ემხრობოდა "შესაძლებელ" რეფორმების გზას. ხოლო კონგრესი მეორე ინტერნაციონალისა მოწვეულ იქნა არსებითად მარქსისტული მუშათა ორგანიზაციების მიერ, და ამ მეორე ინტერნაციონალის კონგრესმა დაადგინა ყოველი წლის პირველ მაისს აღნიშნულ იქნას სა-ერთა-შორისო სამაისო დღესასწაული, როგორც შრომის დღე, რომელიც პირველად აღნიშნულ იქნა 1890 წლის პირველ მაისს გერმანიაში, დანიაში, ავსტრია-უნგრეთში, ესპანეთში თუ ამერიკის შეერთებულ შტატებში. პირველი მაისი კი გახდა სა-ერთა-შორისო შრომის დღე იმიტომ, რომ ამით აღნიშნულ იქნა ჩიკაგოს მუშების გაფიცვა 1886 წლის პირველ მაისს რვა-საათიანი სამუშაო დღის მოთხოვნით, რასაც მოყვა მუშათა დემონსტრაცია, რომელიც სისხლში ჩაახშო პოლიციამ.

V.

საქართველოში პირველი მაისის დღესასწაული პირველად ჩატარდა 1898 წელს "მესამედასელების" მეთაურობით; 1899 წელს პირველმაისობა უფრო ორგანიზებულად ჩატარდა, რომლის დროს გამოშვებულ იქნა პროკლამაცია; 1900 წელს, პირველი მაისის დღესასწაული ჩატარდა ქალაქგარეთ, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ხუთასამდე კაცმა. 1901 წელს კი საპირველმაისო დემონსტრაცია გაიმართა თბილისის ცენტრში, რომლის დროს ხელჩართულ ბრძოლას ჰქონდა ადგილი მუშებსა და პოლიციას შორის, რომლის შედეგად მრავალი დაიჭრა, ბევრი დააპატიმრეს და რუსეთის შორეულ მხარეებში გადაასახლეს.

VI.

სა-ერთა-შორისო შრომის დღესასწაულის აღნიშვნა საქართველოში განაპირობა "მესამე დასის" დაარსებამ, 1893 წლის 7 თებერვალს, და მისი სამოქმედო პროგრამის მიღებამ, რომლის საყრდენი გახდა დებულება -"ნივთიერი კეთილდღეობა, როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თითოეული პიროვნებისა". აქ, ამ საყრდენი დებულებით,"მესამე დასმა", ე.ი. საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ დააკავშირა ერთმანეთთან "ნივთიერი კეთილდღეობა" და ერისა და პიროვნების თავისუფლება, რაც მაშინდელი მსოფლიოს არც ერთ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას არ ჰქონდა თავიანთ პროგრამაში.

VII.

"ნივთიერი კეთილდღეობისა" და "ერისა და პიროვნების თავისუფლების" ერთმანეთთან დაკავშირებით კი, "მესამე დასელებმა", ე.ი.საქართველოს სოციალდემოკრატიულმა პარტიამ, ერთიან ჩარჩოში ჩამოასხა "თამარობისა" და "შრომის დღესასწაულის" ერთობა: "თამარობის" იდეა, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის კრედო, დაკავშირებულ იქნა "ნივთიერ კეთილდღეობასთან",როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა და ერისა და პიროვნების თავისუფლებასთან, რაც დიდი პროგრესია წინ: სუვერენი უნდა იყოს ხალხი, უფრო ზუსტად,"ხელმწიფება ეკუთვნის მთელ ერს. პარლამენტი კონსტიტუციის ფარგლებში ახორციელებს ერის ხელმწიფებას",-განსაზღვრავს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომელიც მოქმედებაში იყო საქართველოში 1918-1921 წლებში, საქართველოს დამოუკიდებლობის დროს.

VIII.

ამდენად,პირველი მაისი ქართველი ერის, საქართველოს და,ამავე დროს, სა-ერთა-შორისო შრომის დღესასწაულია, რომელიც ერთობაა "თამარობისა"=ჩვენი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობისა და "შრომის დღისა", რაც ნივთიერ კეთილდღეობას ერისა და პიროვნების ხელმწიფებასთან აკავშირებს.

IX.

ამგვარად, "თამარობის" თითქმის რვაასწლოვანი ტრადიცია შეეზარდა "პირველმაისობის", ან უკვე ას-წლოვან ტრადიციას, რომელიც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის იდეას აპოხიერებს "ნივთიერი კეთილდღეობით", როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა,და თანამედროვე ცივილიზაციის უდიდესი მონაპოვრით - ერისა და პიროვნების თავისუფლებით.

მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოს უზენაესმა საბჭომ,-რომელიც არჩეულ იქნა 1990 წლის 28 ოქტომბრის დემოკრატიული გზით და შეუპოვრად მიისწრაფვის 26 მაისის დიადი იდეების ისევ-განხორციელებისაკენ, ე.ი. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის ისევ-აღდგენისაკენ, - რატომღაც პირველი მაისი უქმე დღედ არ გამოაცხადა, რაც, ჩვენი აზრით, დაუყოვნებლივ გამოსწორებას მოითხოვს. პირველი მაისის, როგორც საერთაშორისო შრომის დღის უქმე-დღედ გამოცხადებისათვის იბრძოდნენ საქართველოს მშრომელები ჯერ კიდევ საქართველოში მეფის რუსეთის ბატონობის დროს, რისთვისაც ჩვენმა მშრომელებმა სისხლიც კი დაღვარეს. და დამოუკიდებელი საქართველოს "პაწარა ოქროს ხანაში" - 1918-1921 წლებში -, გასაგებია, პირველი მაისი იყო ოფიციალური უქმე დღე; და, გვჯერა, რომ ახლა გადაწყვეტილებას მიიღებს ნა- -ქართველთა უზენაესი საბჭო ადრე თუ გვიან -უკეთესია ადრე -,ვინაიდან საქართველო, საქართველოს მშრომელები, მთელი ქართველი ხალხი, ქართველი ერი, ამ გზითაც უნდა დაუკავშირდეს ევროპას, ევროპის მშრომელებს, რომლებიც,უკვე ასი წელიწადზე მეტი ხანია, - აღნიშნავენ პირველ მაისს, როგორც შრომის დღეს, საერთაშორისო შრომის დღეს, და ამით პატივს სცემენ შრომას, რომელიც აკეთილშობილებს ადამიანს, და ამით ჩვენს მთელ ერს, მთელ საქართველოს.

კარლო ინასარიძე
პარიზი, 1991 წლის პირველი მაისი

## "მ ყ ვ ი რ ა ლ ა   ფ ა ქ ტ ე ბ ი?.."

### I. გამსახურდია და გორბაჩოვი

"გორბაჩოვი:-და თქვენ არ გსურთ ხელი მოაწეროთ საკავშირო ხელშეკრულებას?
გამსახურდია:-ეს არის არა ჩემი,არამედ ჩემი ხალხის პოზიცია.
გორბაჩოვი: - იცით თქვენ, რომ აფხაზებსა და ოსებს სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ხელისმოწერა და საკავშირო რეფერენდუმში მონაწილეობა სურთ?
გამსახურდია:- ესენია სულ 140000 ადამიანი, მაგრამ საქართველოში ცხოვრობს ხუთი მილიონი კაცი.
გორბაჩოვი: - (ხანგრძლივი პაუზის შემდეგ) - კარგად მოიფიქრეთ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ხელმოწერა.
გამსახურდია: -ეს საკითხი ჩვენთვის არ არსებობს.
გორბაჩოვი: - მაშინ მოელით დიდი სიძნელეები სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში".
(გერმანული ჟურნალი "შპიგელ",1991 წლის 11 მარტი, ნომერი 11).

### II. გამსახურდია და ეროვნული კონგრესი

საქართველოს ეროვნული "...კონგრესის უკან დგას კრემლის აგენტურა... განსაკუთრებით ჭანტურიას პარტია უკვე შეუზარდა "მხედრიონს", მათ შორის არავითარი განსხვავება არ არის, ესაა შეიარაღებული ტერორისტული ბანდები..." (ზ.გამსახურდიას პრესკონფერენცია, გაზეთი"ს.რ.",26.3.1991 წ.).

### III. გამსახურდია და "მხედრიონი"

"თბილისში დაკავებული იქნა უკანონო შეიარაღებული ფორმირების - საქართველოს "მხედრიონის" მეთაური, ადრე ორჯერ ნასამართლევი ქურდობისა და ყაჩაღობისათვის ჯაბა იოსელიანი..."

### IV. გამსახურდია და რადიო"სვობოდა"

"...რადიო"სვობოდას" მიკროფონთან იყო ორი ქართველი - კონსტანტინე ნადირაშვილი და ირინე კოტარია...გადაცემა მიდა ქართულ მიმდინარე მოვლენებს ეხებოდა....ცენტრალური(მოსკოვის. კ.ი.) პრესა, რადიო და ტელევიზია ყოველდღე ერთმანეთს ეჯიბრებიან ახალ-ახალი პრო-ოსური ანტიქართული დეზინფორმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციების გამრუდებაში... და ქართველები...კრემლის ბრმა იარაღის - ოსი-ექსტრემისტების ქება-დიდებაში არიან".(გაზეთი "ს.რ.",6.II.1991 წ.).

## V. გამსახურდია და რადიო"თავისუფლება"

"...რადიო "თავისუფლების" ქართული რედაქციის თანამშრომელმა - ჯანრი კაშიამ გასაუბრება ჩაწერა რამაზ კლიმიაშვილთან.....საქართველოს უზენაესი საბჭოს "დაწუნებას" და საქართველოს ეროვნული კონგრესის "მოწონებას" მოანდომა..."(გაზეთი "ს.რ.",1.II.1991 წ.).

"...რადიოხალხური "თავისუფლება" ასეთი გასარჩევი ხდება "პრავდის" ან სხვა იმპერიული გამოცემების პასკვილებისაგან...თითქოს რადიოხალხურ "თავისუფლების" ხელმძღვანელობა განზრახ და დაგეგმილად ახორციელებს ანტიქართულ კამპანიას...ამირან თარზამ წაიკითხა ეთერში ფელხში(9.II.1991 წ.)... თუ ავტორს დავუჯერებთ, ზვიად გამსახურდიას იდეები არ აღუქვამთ საზოგადოების ფართო ფენებს..."(გაზეთი "ს.რ.",21.II.1991 წ.).

"...მე რადიო"თავისუფლების" ქართულ განყოფილებას ვუცხადებ ბოიკოტს, ვინაიდან ის პოლიტიკურ საქმიანობას ეწევა, თქვენ პირადად კი გაგცემთ პასუხს, მაგრამ მოგითხოვთ, რომ ჩემი სახელით არ გადაიცეს არაფერი რადიო "თავისუფლებაში", ვინაიდან ის მოღალატეურ გზას დგას".(ზვიად გამსახურდიას პასუხი რადიო "თავისუფლების ქართული რედაქციის წევრ კიორკი ფოცხაძისადმი. გაზეთი "ს.რ.",25.II.1991 წ.).

"ჩვენ,დღეს კრემლის უზარმაზარი საინფორმაციო მანქანა ეპირისპირება, უფრო სწორად დეზინფორმაციის მანქანა...ამაში მათ გადაბირებული ქართველები უწყობენ ხელს როგორც აქ, ასევე საზღვარგარეთ...უცხოეთში მათი აგენტურა ჯანრი კაშიას, რამაზ კლიმიაშვილის და სხვა ვაჟბატონების სახით. ისინი ლანძღავენ პარლამენტს, აქებენ კონგრესს..."თავისუფლების" ქართული რედაქცია საქართველოს მტრების ხელშია..." (ზ.გამსახურდია, გაზეთი"ს.რ.", 1991 წლის 7 თებერვალი).

VI.

მხოლოდ მკვირალა, შემაძრწუნებელი ფაქტები?..

კ.ი.
პარიზი, 1991 წლის მაისი

## თურქეთის პრეზიდენტის ოზალის პოზიცია

ამერიკული გაზეთის "უოლ სტრიტ ჯორნალის" ცნობით, თურქეთის პრეზიდენტმა თურგუთ ოზალმა პრეზიდენტ გორბაჩოვს შესთავაზა გეგმა, რომლის ძალითაც შესაძლებელი გახდება საბჭოთა კავშირში მიმდინარე ეთნიკური მღელვარების შეჩერება. ამ გეგმის მიხედვით ყველა რესპუბლიკებს, რომლებისაგანაც შედგება დღევანდელი საბჭოთა კავშირი, საკუთარი დამოუკიდებლობა უნდა მიანიჭონ.

- . - . - . - . - . -.. -

# საქართველოს კონსტიტუციის 70 წლისთავი

## საქართველოს კონსტიტუცია და მისი ფესვები

I.

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომელიც მოქმედებაში იყო საქართველოში 1921 წლის 17 მარტამდე, - არის სანიმუშო კონსტიტუცია დღესაც, ატომისა და ელექტრონიკის ეპოქაში, რადგან იგი დაეყრდნო საქართველოს სამი-ათასწლოვანი სახელმწიფოებრივ ჰუმანიტარულ და საერთაშორისო დემოკრატიულ ფასეულობებს, რომლებშიც მას ღრმად აქვს გადგმული ფესვები.

II.

"დემოკრატიის ძირითადი პრინციპია, - წერს ნოე ჟორდანია, - ადამიანი და მისი სუვერენობა. ის სუვერენია ინდივიდუალურად თავის კერძო, საოჯახო საქმეებში, და სუვერენია კოლექტიურად, სხვასთან ერთად, საერთო, საზოგადო საქმეებში." "დემოკრატიის ორგანოა მოქალაქეთა უმრავლესობა. აქედან წარმომდგარი ხელისუფლება არის მომქმედი, მჭრელი, მებრძოლი",-დასძენს ნ.ჟორდანია.

II.

და დემოკრატიის ამ ძირითადი პრინციპების სარკეა დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია - ძირითადი კანონი -, რომელიც მიღებული და დამტკიცებული იქნა 1921 წლის 21 თებერვალს დამოუკიდებელი საქართველოს დამფუძნებელი კრების, ე.ი. პარლამენტის მიერ. ამიტომ ყოველი წლის 21-თ თებერვალი საქართველოს კონსტიტუციის დღე, საქართველოს მოსახლეობის, ქართველი ერის დღესასწაულია.

III.

"აქტი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა, ეროვნული საბჭოს მიერ 1918 წლის 26 მაისს, -თქვა საქართველოს მთავრობის წევრმა ნოე ცინცაძემ -, არის პროლოგი ჩვენი კონსტიტუციისა. ამ აქტით ემცნო მთელს კაცობრიობას, რომ საქართველოს სახელმწიფოს ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა".

IV.

"მე გავეცანი მის კონსტიტუციას, მის სოციალურ და ეკონომიკურ აღმშენებლობას, და რაც იქ ვნახე, ვისურვებდი ასე მოწყობილი გვენახოს ცხოვრება ჩვენს ქვეყანაში", - წერდა ინგლისის მუშათა პარტიის ლიდერი და ინგლისის პრემიერმინისტრი პირველი მსოფლიო ომის შემდეგ - რამსეი მაკდონალდი - დამოუკიდებელი საქართველოს შესახებ, რომელიც მან ინახულა 1920 წელს, და მისი შთაბეჭდილება გამოაქვეყნა 1920 წლის 20 ოქტომბრის გაზეთ -"ნეიშენ"-ში. "თუ ერთა თავისუფლება ცარიელი სიტყვა არ არის, - განაგრძობს იგი, - თუ რომელიმე ერს თავისუფლება ეკუთვნის, ესაა ქართველი ერი, რომელმაც დაუმტკიცა მთელ კაცობრიობას თავისი მაღალი კულტუროსნობა და პოლიტიკური სიმწიფე".

V.

პასუხობს თუ არა ამ მოთხოვნებს დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუცია?"- - აყენებს კითხვას ნოე ცინცაძე და საპასუხოდ მოყავს ერთი მაგალითი:

"დავიწყოთ ადამიანისაგან: ადამიანის უფლებათა დეკლარაცია ჩვენს კონსტიტუციაში ახდენს შთაბეჭდილებას, თითქოს, ის არის ქართული ვარიანტი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1948 წლის 10 დეკემბერს მიღებული ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციისა. ჩვენი კონსტიტუცია კი მიღებულია 21 თებერვალს, 1921 წელს," - ესე იგი, თითქმის ერთი-მესამედი საუკუნის წინ.

VI.

საქართველოს კონსტიტუციის ფესვები, უდავოა, ჩვენი ერის შორეულ წარსულია გადგმული: "ატიკური დემოკრატიის" ანალოგიური "ხალხის მმართველობა", თუმცა, დღესდღეობით უცნობია, ვთქვათ, მაშინდელ იბერიაში თუ კოლხეთში, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქრისტეს მოძღვრების ქადაგების დაწყებისას საქართველოში - ანდრია პირველწოდებულისა და სვიმონ კანანელის მიერ, - მოწმობს იმას, რომ საქართველო სახელმწიფოებრივად და საზოგადოებრივად ისეთ მაღალ დონეზე იდგა, რომ უკვე შეიძლებოდა ქრისტიანული "ადამიანის თანასწორობის" ქადაგება; "ხოლო ქრისტიანობის საბოლოო აღიარება და მისი სახელმწი-

ლი სარწმუნოებრივ გამოხატულება საქართველოში ნაყოფი არის მოციქულთასწორის, წმინდა ნინოს ხანგრძლივი ქადაგებისა". ქრისტიანიზმმა კი, - ანტიკური დემოკრატიის საწინააღმდეგოდ, დემოკრატიისა, რომლის დროს მხოლოდ ათენის მოქალაქეებს და არა მონებს გააჩნდათ იმდროინდელი დემოკრატიული უფლებები, მონების რაოდენობა კი ათენში,ვარაუდით, ასი-ათასს უდრიდა და ამით ათენის"მოქალაქეთა" რაოდენობას აჭარბებდა, - აღიარა ადამიანთა და ამით "მოქალაქეთა" და მონათა თანასწორობა ღვთის წინაშე, რაც დიდი პროგრესიული, შეიძლება ითქვას, რევოლუციური მოვლენა იყო სა-ერთა-შორისო მასშტაბით.

VII.

ქართული დემოკრატიის, ქართველი ერის დემოკრატიული და სახელმწიფოებრივი ტრადიციების ერთ-ერთი ნიშანსვეტია - დავით აღმაშენებელი -, თუმცა ეს უფრო მისი დიდმნიშვნელოვანი, ჰუმანური პიროვნებით უნდა აიხსნას, ვიდრე საქართველოს იმდროინდელი სახელმწიფოებრივი წყობილებით. ავიდა რა ტახტზე 1089-ს წელს, ჯერ კიდევ 16-ი წლის ჭაბუკი, მან სახელი მოიხვეჭა, სხვათა შორის, თავისი საოცარი ლმობიერი მოპყრობით უცხო ტომების, ისევე როგორც უცხო სარწმუნოებათა მიმდევრების მიმართ. და ასეთ ჰუმანურ პოლიტიკას აწარმოებდა დავით აღმაშენებელი იმ დროს, როცა დასავლეთი ევროპა ჯვაროსნულ, ე.ი.რელიგიურ ომს აწარმოებდა მაჰმადიანების წინააღმდეგ წმინდა ადგილების გასათავისუფლებლად. თვით თბილისის აღების შემდეგაც, 1122 წელს, როგორც მაჰმადიანი ისტორიკოსები წერენ, დავით აღმაშენებელმა, მართალია, პირველ დღეს, გაჯავრებულმა ყველა მოწინააღმდეგენი სასტიკად დასაჯა, მაგრამ მალე მოუწოდა და ბრძანება გასცა, რომ თბილისის მცხოვრებნი, ეროვნებისა და სარწმუნოების განურჩევლად, თანასწორ მდგომარეობაში ყოფილიყვნენ. მაჰმადიანებსა და ებრაელებს ზოგიერთი უპირატესობაც კი მიანიჭა. არაბი ისტორიკოსების - ალ-ფარიკისა და ალ-ჯაუზის ცნობით, დავით აღმაშენებელმა დააწესა "გამოსაღები ყოველწლიური, ქართველისათვის - 5 დინარი, ებრაელისათვის - 4 დინარი, ხოლო მუსულმანისათვის - 3 დინარი...მე თვით ვნახე,როცა მივედი მასთან (თბილისელ მუსულმანებთან) 1123 წელს, თუ როგორ მაღალია მუსულმანთათვის დადებული ყველა ეს პირობა აქამდე".

"დავითი ყოველ პარასკევს მედიოდა მეჩეთში, მასთან ერთად იყო ხოლმე მისი შვილი დიმიტრი, ისმენდა ხუტბას და ყურანის კითხვას და აძლევდა ხატიბსა და მკითხველებს ძვირფას ოქროს...იგი(დავითი) მეტ პატივს სცემდა მუსულმანებს, ვიდრე მათ სცემდნენ პატივს ისლამის მფლობელები".(იხ.შოთა მესხია:"მძლევარი საკვირველი",თბილისი, 1972 წ.).

VIII.

თამარ მეფის დროს კი უკვე წამოყენებულ იქნა მოთხოვნა ახალი სახელმწიფო ორგანოს -"კარავის" - დაარსების შესახებ, მეფის სასახლეში, საქართველოს უმაღლესი სახელმწიფო უწყების - "სახელმწიფო დარბაზის" - გვერდით. თუმცა "კარავის" დაარსება უარყოფილ იქნა, მაგრამ თამარ მეფემ დარბაზის "თანადგომის", ე.ი. სახელმწიფო საქმეების განხილვა-გადაწყვეტაში მონაწილეობის განსაკუთრებული უფლება აღიარა. ამ დროიდან მოყოლებული, დიდი თანამდებობის პირთა დანიშვნის შესახებ თამარის ისტორიკოსი ყოველთვის ასე ამბობს:"თანადგომითა და ერთნებობითა დიდებულთა" თამარმა დაამტკიცა ესა და ეს პირიო. ამგვარად, "საქართველოს მეფის ხელისუფლება სახელმწიფო დარბაზის "თანადგომითა და ერთნებობით" თვალსაჩინოთ იქნა შეზღუდული. საქართველოს სახელმწიფო წყობილებაში მომხდარი ეს დიდად მნიშვნელოვანი ცვლილება იმ ცვლილების წინამორბედსა და ანალოგიურ მოვლენას წარმოადგენს, რომელიც მე-13 საუკუნის დამდეგს ინგლისში მოხდა, სადაც "თავისუფლებათა დიდი ქარტიის" ("მაგნა ხარტა ლიბერტატუმ") შექმნით ინგლისის მეფის ხელისუფლება შეიზღუდა".("საქართველოს ისტორია",თბილისი, 1980 წ.).

IX.

თუ ადამიანისა და ერის უფლებების ფესვები, ჩანასახები უნდა ვეძიოთ მონათმფლობელური საზოგადოებრივი წყობილების მერყევის პერიოდში, განსაკუთრებით ქრისტიანიზმის დამკვიდრებისას, ფეოდალური საზოგადოებრივი წყობილების მერყევა დაიწყო კაპიტალიზმის დამკვიდრების პერიოდში, რამაც საქართველოში განსაკუთრებული ელფერი მიიღო მე-19 საუკუნეში. ჩვენი ქვეყანა, მთელი ქართველი ერი ამ პერიოდში განიცდიდა როგორც ეკონომიკურ, ისევე ეროვნულ ჩაგვრასაც,რადგან საქართველოში ბატონობდა უცხო, რუსეთის დიდმპყრობელ-შოვინისტური ძალა, რომელიც ქართველი ერის მოსპობასაც, გარუსებასაც კი ლამობდა. და ამ მეტად მძიმე ხანის ეროვნულ მოძრაობათა გამოსახულებაა დიდი ილიას

მოთხოვნა "ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს", ხოლო ამ ეროვნული იდეის კონკრეტიზაციად უნდა ჩაითვალოს "მესამე დასის" სამოქმედო პროგრამის, ჯერ კიდევ 1893 წელს განსაზღვრული მოთხოვნა -"ნივთიერი კეთილდღეობა, როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თვითეული პიროვნებისა".

X.

ეს თანამედროვე ცივილიზაციის უდიდესი მონაპოვარი - ერისა და პიროვნების თავისუფლება - კი, საქართველოში, ქართველ ერში განხორციელდა 1918 წლის 26 მაისს, როცა გამოცხადდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

და ამ დიდი დემოკრატიული მოვლენის იურიდიული ნუსხაა "საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი" და დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუცია - ძირითადი კანონი -, რომელიც საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო და დაამტკიცა 1921 წლის 21 თებერვალს.

XI.

მაგრამ ერისა და პიროვნების თავისუფლების ფესვები, რომლებიდანაც აღმოცენდა დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუცია უნდა ვეძიოთ აგრეთვე სხვა ქვეყანათა ანალოგიურ, ისტორიულ მოვლენებშიც: ასეთი დიდი, საერთა-შორისო მნიშვნელობის მოვლენებია ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის გამოცხადება 1776 წლის 4 ივლისს და 1789 წლის 14 ივლისის საფრანგეთის დიდი რევოლუცია.

ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია, რომელიც მიღებულ იქნა 1787 წლის 17 სექტემბერს და რატიფიცირებული, ე.ი. მიღებულ იქნა ცხრა, მაშინ სულ 13-ი შტატიდან, ძალაში შევიდა 1788 წელს, და 1971 წლამდე, ე.ი. დღემდე ძალაშია, თუმცა მასში შეტანილ იქნა ოცდა-შვიდი "შესწორება"(Amendments). 1788 წლის 25 სექტემბერს, "ათი შესწორების" ფორმით, მიღებულ იქნა ე.წ.-ი Bill of rights ე.ი. "უფლებათა ნუსხა", რომელიც პიროვნებას სახელმწიფო ძალაუფლებიდან უფრო იცავდა, და რომელიც ძალაში შევიდა 1791 წლის 15 დეკემბერს. "ეს უფლებათა ნუსხა" ან "უფლებათა კანონი" - თავის მხრივ - ეყრდნობოდა, სხვათა შორის, "ვირჯინიის შტატის 1776 წლის უფლებათა კანონს" = Virginia Bill of Rights, რომლის საფრანგეთის 1789 წლის 14 ივლისის რევოლუციის შემდეგ მიღებულ საფრანგეთის 1791 წლის კონსტიტუციასთან შედარება, პიროვნების უფლებების სფეროში, ასეთ სურათს იძლევა:

| "ვირჯინიის შტატის 1776 წლის უფლებათა კანონი":(12.6.1776 წ.): | საფრანგეთის 1791 წლის კონსტიტუცია: |
| --- | --- |
| "ყოველი ადამიანი ბუნებისაგან დაბადებულია ერთნაირად თავისუფალი და დამოუკიდებელი. | "ადამიანები არიან და რჩებიან დაბადებით თავისუფალი და უფლებით თანასწორნი. |
| ყველა უფლება სადგომლობს ხალხში და ამის შედეგად გამომდინარეობს მისგან. მოხელეები გამოხატავენ მხოლოდ მის უფლებამოსილებას და მის წინაშე ყოველთვის პასუხისმგებელი. | სუვერენობის წყარო საბოლოოდ სადგომობს ერში. არც ერთ უწყებას, არც ერთ პიროვნებას არ შეუძლია ძალაუფლების გამოყენება, რომელიც მხოლოდ მისგან არ გამომდინარეობს. |
| სახელმწიფოს კანონმდებლობისა და და აღმასრულებელი ძალაუფლება დაშორებული და გამოყოფილი უნდა იქნას მართლმსაჯულებისაგან. | საზოგადოებას, რომელშიც...ძალაუფლების დაყოფა განსაზღვრული არ არის, არ გააჩნია კონსტიტუცია. |
| პრესის თავისუფლება არის თავისუფლების ერთერთი ძლიერი საყრდენი და არასოდეს არ შეიძლება შეზღუდულ იქნას, თუ არა დესპოტური მთავრობების მიერ." | თავისუფალი მიმოცვლა აზრებისა და შეხედულებებისა არის ერთერთი უძვირფასესი უფლება ადამიანისა. ამგვარად, ყოველ ადამიანს შეუძლია თავისუფლად წეროს, ილაპარაკოს და დაბეჭდოს იმ პირობით, რომ სრულ პასუხისმგებლობა აკისრია ამ უფლების ბოროტად გამოყენებისათვის კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში". |

X.

ამგვარად, ყველა დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუციების საერთო ნიშანდობლიობაა სახელმწიფო ძალაუფლების დაყოფა კანონმდებლობით(პარლამენტი), აღმასრულებელ(მთავრობა) და მართლმსაჯულებით(სასამართლო) ორგანოებად, რაც - თავის მხრივ - სხვათა შორის, ეყრდნობა ფრანგი ფილოსოფოსის - შარლ დე მონტესკიეს(1689-1755) - აზრს, რაც მას გამოთქმული აქვს მის მთავარ შრო-

მაში -"კანონების კონი", რომელშიც, სხვათა შორის, წერია: "პოლიტიკური თავისუფლება ხორციელდება...მხოლოდ მაშინ, როცა ძალაუფლება ბოროტად არ იქნება გამოყენებული. მაგრამ მარადიული გამოცდილებაა, რომ ყოველი, რომელსაც ძალაუფლება გააჩნია, ამჟღავნებს მისი ბოროტად გამოყენების მიდრეკილებას: ის მიდის ისე შორს, რომ მის საზღვრებს აწყდება... ძალაუფლების ბოროტად გამოყენება რომ დაშვებულ არ იქნას, ...ძალაუფლებამ ძალაუფლებას უნდა დაუდვას ზღვარი".

XI.

ამგვარად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია შეჯამებაა - ერთი მხრივ - საერთაშორისო დემოკრატიული სახელმწიფოების ტრადიციებისა და - მეორე მხრივ - დამოუკიდებელ საქართველოში 1918-1921 წლებში არსებული მდგომარეობისა, რაც - თავის ხრივ - შეჯამებაა საქართველოსა და მსოფლიოს, განსაკუთრებით ამერიკა-ევროპული ჰუმანიტარული მემკვიდრეობისა. და, შეიძლება, დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუცია, მისი მიღების დროს, 1921 წლის 21 თებერვალს, - ვინ იცის! - ერთადერთი კონსტიტუცია იყო მთელ მსოფლიოში, რომელშიც ერისა და პიროვნების თავისუფლება გადაჯაჭვული ნივთიერ კეთილდღეობასთან, რაც ადამიანის დედა-ზომად არის აღიარებული.

XII.

სავალალოა მხოლოდ, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ასეთი სანიმუშო, დემოკრატიული სულისკვეთებით გაჟღენთილი კონსტიტუციის მოქმედება საქართველოში შეწყდა 1921 წლის 18 მარტს, როცა საბჭოთა რუსეთის წითელმა არმიამ დაიპყრო დამოუკიდებელი საქართველო და საქართველოს კანონიერი მთავრობა, ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით, იძულებული გახდა დაეტოვებინა საქართველო და საზღვარგარეთიდან განეგრძო ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის ისევ-აღდგენისათვის. ამგვარად, დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის მოქმედება ფაქტიურად შეწყდა საქართველოში ბოლშევიკური რეჟიმის ჩვენში გაბატონების შემდეგ, მაგრამ იურიდიულად იგი დღესაც ძალაშია, რადგან საქართველოს კანონიერ მთავრობას არასოდეს არ უცვნია ეს ძალადობის აქტი, ე.ი. დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობა. საბჭოთა რუსეთმა, ლენინის მთავრობამ კი დაუმხრიკად დაარღვია 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულება და იარაღის ძალით დაიპყრო დამოუკიდებელი საქართველო, რაც საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევაა. ამდენად, საქართველოს კონსტიტუცია ფაქტიურად შევა ძალაში საქართველოში მაშინ, როცა მოიხსნება ეს უცხო ძალადობის აქტი და რუსის ჯარი დატოვებს საქართველოს ტერიტორიას. ეს სანუკვარი დრო კი დადგება მაშინ, როცა ისევ-აღდგენილ იქნება საქართველოში 26 მაისის დიადი იდეის დებულებები, რაც ჩამოყალიბებულია "საქართველოს დამოუკიდებლობის აქტში" და საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში.

XIII.

სამწუხაროა მხოლოდ, რომ 1990 წლის 28 ოქტომბერს, დემოკრატიული გზით არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭო, დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის ისევ-ძალაში შეყვანის სამაგიეროდ, "ახალი კონსტიტუციის" შექმნას აპირებს, და, როგორც ჩანს, ამით 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული შესანიშნავი კონსტიტუციის გაუქმება სურს როგორც ფაქტიურად, ისევე იურიდიულადაც. ეს კი მართლაც სავალალოა.

XIV.

უდავოა, 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული კონსტიტუციის ზოგიერთი დებულებები უკვე აღარ შეესაბამება საქართველოს დღევანდელ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ, სოციალურ მდგომარეობას. მაგრამ ნუთუ შეუძლებელია ამგვარ დებულებათა ისეთი წესითა და რიგით შეცვლა, დამატება, გამოკლება, როგორც ეს უკვე წესადაა მიღებული ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომლის კონსტიტუცია უკვე ორასზე-მეტი წლისაა და 1971 წლამდე - ოცდაშვიდჯერ"შეასწორეს", რომ კონსტიტუციის უცვლელობა. ამით სახელმწიფოებრივი წესწყობილების "მარადიულობა" ნათელი გახადონ. ვითომ ეს გზა საქართველოსათვის მიუღებელია?..

XV.

და თუ მხედველობაში მივიღებთ - ჯერ - 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგებს და - შემდეგ - ამ რეფერენდუმის შესაბამისად, საქართველოს უზენაესი საბჭოს დეკლარაციას, გამოცხადებულს 1991 წლის 9 აპრილს, რომლის თანახმად- 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის ბაზაზე - საქართველოს დამოუკიდებლობა ისევ-აღსდგა, მაშინ საქართველოს დემოკრატიული რე-

სპუბლიკის კონსტიტუციაც ძალაში შედის, თუმცა მას, გასაგებია, დასჭირდება განსაზღვრული "შესწორება","დამატება" თუ"შეცვლა", რასაც ჩვენი უზენაესი საბჭო, ეჭვს გარეშე, ადვილად გაართმევს თავს.

კარლო ინასარიძე
მიუნხენი, 1981 წლის 21 თებერვალი
პარიზი, 1991 წლის აპრილი

## "თ ე თ რ ი   გ ი ო რ გ ი"

"ცოდვილი" ადამიანი, ადამისა(ადამიანი) და ევას ჩათვლით, თავისი ერის ისტორიულ პირებს ზე-ადამიანური,ღვთიური თვისებებით ამკობს, რომ ამგვარ იდეალურ,სრულყოფილ ადამიანში თავისი თავი, თავისი ერი დაინახოს. ადამიანის ამგვარი მისწრაფება საწყისს იღებს რეალური ცხოვრებიდან. უხსოვარი დროიდან,მაგალითად, ქართველმა ადამიანმა "დედა-მიწის"=მიწადმოქმედების სიმბოლოდ გახადა ხარი,როგორც გამწევი,შრომის შემსუბუქების ძალა. "...ქართული ანბანის 34-ე ასოს მისცა "ხარის" მოყვანილობა.იმის გარდა, რომ ასოს სახელი ხარს აღნიშნავს, მისი მოყვანილობაც ხარის რქებს გამოსახავს და მთვარის სიმბოლოდაც შეიძლება მივიჩნიოთ". "...ხეთური სახელი მთვარისა და მთვარე-ღმერთისა ყოფილა Armas..." "...შემდეგ მოგვცა საყოველთაოდ მიღებული არმაზი და აქედან კი ადგილის სახელი არმაზისციხე-არმაზციხე(არმასციხე)"."...მიწადმოქმედების კულტის საგნები სულ უფრო და უფრო ემსგავსება ახალი მთვარის გამოსახულებას,ე.ი.შინაარსითა და გარეგნულადაც კანონზომიერი ჩანს უძველესი ქართული მიწადმოქმედების კულტის გადაზრდა მამა-ღმერთის, მთვარის, შემდეგ კი - წმინდა გიორგის კულტში. ამის მიხედვით ხარის ე.წ. საწესო გამოსახულებანი მთვარის ღვთაების სიმბოლოდ უნდა მივიჩნიოთ;ე.ი.შეიძლება ვთქვათ, რომ ანტიკურ საქართველოში ასე გავრცელებული და გაბატონებული მთვარის ღვთაებას(არმა-არმაზი,შემდეგ წმინდა გიორგი) შვიდიოდე ათასი წლის ტრადიცია უნდა ჰქონოდა"."...უძველესი ღვთაებათა სხვა წინააზიური სახელები დაცულია ძველ ქართული კერპის 'აინინას' სახელში,რომელიც შემდეგ უნდა ქცეულიყო ქართველ ქალთა ეროვნულ სახელად:'ნინო', 'ნანა'." ამგვარად მოხდა"ყოველდღიური", "რეალური" ქმედების იდეალიზაცია:"მიწადმოქმედება"-"ხარი"-"ქართული ანბანის 34-ე ასო"-"ხარის რქები"-"მთვარე"-"ახალი მთვარე"-"თეთრი გიორგი"-"წმინდა გიორგი"(ს.ი.ნ., ტ.I.). (Georgios,Georgos-"მიწადმომქმედი",ბერძ.). ამიტომ ამბობს გრიგოლ რობაქიძე:"...მითიური რეალობა არის უთუოდ მეტი და უფრო აზროვანი,ვიდრე ისტორიული".

ამონაწერი: კ.ი.:"ჩასაფიქრებელი",ლექცია,1981 წ.,გვ.5-6

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს რესპუბლიკის ღერბი არის თეთრი გიორგი შვიდი მნათობით.

# საქართველოს

# კონსტიტუცია

მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ

1921 წლის თებერვლის 21.

# Constitution de la Géorgie

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავი პირველი

## ზოგადი დებულებანი

### მუხლი 1.

საქართველო არის თავისუფალი, დამოუკიდებელი და განუყოფელი სახელმწიფო.

მუდმივი და უცვლელი ფორმა პოლიტიკური წყობილებისა არის დემოკრატიული რესპუბლიკა.

### მუხლი 2.

საქართველოს დედა ქალაქი არის ტფილისი.

### მუხლი 3.

საქართველოს სახელმწიფოებრივი ენა არის ქართული ენა.

### მუხლი 4.

საქართველოს რესპუბლიკის დროშა არის — შვინდის ფერი ალამი შავი და თეთრი ზოლითა.

საქართველოს რესპუბლიკის ღერბი არის თეთრი გიორგი შვიდი მნათობით.

### მუხლი 5.

ყოველ კანონსა და სავალდებულო დადგენილებას მხოლოდ მაშინ აქვს ძალა, უკეთუ გამოცხადებულია სათანადო წესით.

### მუხლი 6.

სახელმწიფო ტერიტორიის გაცემა, დანაწილება და გაყიდვა შეუძლებელია.

სახელმწიფო ტერიტორიის გაფართოება ან სადავო საზღვრების შესწორება შეიძლება მხოლოდ კანონმდებლობითის წესით.

### მუხლი 7.

ადმინისტრატიული დაყოფა და თვითმართველ ერთეულთა საზღვრების დაწესება და შეცვლა სწარმოებს მხოლოდ კანონმდებლობითის წესით.

### მუხლი 8.

კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. არ შეიძლება გამოქვეყნებულ იქნეს კანონი, დეკრეტი, ბრძანება ან განკარგულება, რომელიც კონსტიტუციის დებულებათა და მათი დედა აზრის წინააღმდეგია.

კონსტიტუციის შესრულება და მისი პრინციპების განხორციელება კანონმდებლობასა და მართვა-გამგეობაში სახელმწიფოს ყოველი ხელისუფლების მოვალეობას შეადგენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## CHAPITRE PREMIER

### Bases générales.

#### Article premier.

La Géorgie est un État libre, indépendant et indivisible. La forme permanente et immuable de sa constitution politique est la République démocratique.

#### Article 2.

La capitale de la Géorgie est Tiflis.

#### Article 3.

La langue officielle de la République est le géorgien.

#### Article 4.

Le drapeau de la République Géorgienne est de couleur cramoisie (teinte cornouille), avec une bande noire et une bande blanche.

Le sceau de la République Géorgienne est à l'effigie de Georges-le-Blanc, à cheval, surmontée de sept astres.

#### Article 5.

Les lois et les décrets n'entrent en vigueur qu'après leur publication régulière.

#### Article 6.

Le territoire d'État ne peut être ni cédé, ni divisé, ni vendu.

L'agrandissement du territoire ou la rectification des frontières contestées n'est possible qu'en vertu d'une loi.

#### Article 7.

La division administrative et la fixation ou le changement des limites des unités autonomes ne se font que par voie législative.

#### Article 8.

La Constitution est la loi suprême de l'État. Aucune loi, aucun décret, aucune ordonnance ou décision, qui serait en contradiction avec les principes et l'esprit de la Constitution ne peut être promulgué.

Tous les pouvoirs de l'État sont tenus d'exécuter la Constitution et d'appliquer ses principes, tant dans le domaine législatif que dans celui de l'administration.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 9.

კონსტიტუციის მიღებამდე გამოცემული და გამოქვეყნებული კანონი და დეკრეტი ძალაში რჩება, უკეთუ კონსტიტუციასა და მის პრინციპებს არ ეწინააღმდეგება.

მუხლი 10.

ეს კონსტიტუცია ძალაშია მუდმივ და შეუწყვეტლივ. იმ შემთხვევის გარდა, რომელიც ამავე კონსტიტუციას აქვს გათვალისწინებული.

მუხლი 11.

დამტკიცებისა და მიღების შემდეგ კონსტიტუციას აქვეყნებს დამფუძნებელი კრება თავის წევრთა ხელმოწერით.

## თავი მეორე

## მოქალაქეობა

მუხლი 12.

საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვება წარმოშობით, ქორწინებით და ნატურალიზაციით.

მუხლი 13.

საქართველოს მოქალაქეს არ შეუძლია იყოს იმავე დროს სხვა სახელმწიფოს მოქალაქედ.

მუხლი 14.

საქართველოს მოქალაქეს შეუძლია უარი განაცხადოს საქართველოს მოქალაქეობაზე მხოლოდ თავის სახელმწიფოებრივ მოვალეობის შესრულების შემდეგ.

მუხლი 15.

მოქალაქეობის მოპოვებისა და დაკარგვის პირობებს დაწვრილებით კანონი განსაზღვრავს.

## თავი მესამე

## მოქალაქის უფლებანი

მუხლი 16.

მოქალაქენი კანონის წინაშე ყველანი თანასწორნი არიან.

მუხლი 17.

წოდებრივი განსხვავება არ არსებობს.

მუხლი 18.

ხარისხის მინიჭება გარდა აკადემიურისა აკრძალულია. ორდენი გაუქმებულია.

საომარ მოქმედების დროს თავის გამოჩენისათვის შეიძლება მიეცეს წარჩინების ნიშანი.

მუხლი 19.

სიკვდილით დასჯა გაუქმებულია.

მუხლი 20.

არ შეიძლება დასჯილ იქნეს ვინმე სხვაფრივ, თუ არ სასამართლოს წესით; გამონაკლისია კანონით განსაზღვრული დისციპლინარული წესი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ARTICLE 9.

Les lois et décrets antérieurs à la Constitution demeurent en vigueur, s'ils ne sont pas en contradiction avec la Constitution et ses principes.

ARTICLE 10.

La présente Constitution reste en vigueur d'une manière permanente et ininterrompue, sauf le cas prévu dans la Constitution elle-même.

ARTICLE 11.

Après l'adoption de la Constitution, l'Assemblée constituante la publie avec les signatures de ses membres.

## CHAPITRE II

### De l'indigénat.

ARTICLE 12.

La nationalité géorgienne s'acquiert par voie de naissance, de mariage et de naturalisation.

ARTICLE 13.

Un citoyen géorgien ne peut être en même temps citoyen d'un autre État.

ARTICLE 14.

Un citoyen géorgien ne peut renoncer à la nationalité géorgienne qu'après avoir satisfait à toutes ses obligations envers l'État.

ARTICLE 15.

Les conditions détaillées de l'acquisition et de la perte de l'indigénat sont déterminées par la loi.

## CHAPITRE III

### Droits du citoyen.

ARTICLE 16.

Tous les citoyens sont égaux devant la loi.

ARTICLE 17.

Il n'existe pas de distinction d'ordres.

ARTICLE 18.

Aucun titre, sauf les grades universitaires, ne peut être conféré.

Les décorations sont abolies, des signes distinctifs peuvent être accordés pour faits de guerre.

ARTICLE 19.

La peine capitale est abolie.

ARTICLE 20.

Nul ne peut être condamné que par la voie judiciaire, sauf l'exception des peines disciplinaires prévues par la loi.

## მუხლი 21.

ყოველი მოქალაქე გასამართლებულ უნდა იქნეს საერთო წესით.

## მუხლი 22.

პიროვნება ხელშეუხებელია: არ შეიძლება შეპყრობილ ან სხვაფრივ თავისუფლებას მოკლებულ და პირადად გაჩხრეკილ იქნეს ვინმე, თუ არ სასამართლოს ან საგამომძიებლო ორგანოს დასაბუთებული ბრძანების ძალით.

## მუხლი 23.

ადმინისტრაციას შეუძლია თვისი უფლებით შეიპყროს ვინმე შემდეგ შემთხვევაში:

ა) როცა ბოროტმოქმედს ზედ დანაშაულის ადგილას მიასწრებს;

ბ) როცა დანაშაულის ადგილას დაზარალებული, ან დამსწრე ვინმე ბოროტმომქმედს ხელს დაადებს;

გ) როცა მას, ვიზედაც ეჭვია მიტანილი, რაიმე გასამტყუნებელი ნივთი აღმოაჩნდება, ან როცა მის ტანზე, ან მის ბინაზე დანაშაულის აშკარა ნიშანი და კვალი აღმოჩნდება.

## მუხლი 24.

დამნაშავის დაკავება შეუძლია კერძო პირსაც, თუ დანაშაულის ადგილას მიასწრებს და ამასთანავე ადმინისტრაციის მოსვლამდის მისი მიმალვა მოსალოდნელია.

## მუხლი 25.

როგორც სასამართლოს ორგანოთა, ისე ადმინისტრაციის ბრძანებით შეპყრობილი, 24 საათის განმავლობაში უახლოეს სასამართლოში უნდა იქნეს წარდგენილი; თუ სასამართლო ისეა დაშორებული, რომ 24 საათში დამნაშავის წარდგენა შეუძლებელია, ეს ვადა განგრძობილ უნდა იქნეს ადგილობრივ გარემოების მიხედვით, მხოლოდ არა უმეტეს 48 საათისა.

## მუხლი 26.

სასამართლო ვალდებულია წარდგენილ პირს დაუყოვნებლივ, ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს 24 საათისა, დაჰკითხოს; ხოლო შემდეგ წერილობითი ბრძანება გასცეს ან მისი შეპყრობის განგრძობისა, ან დაუყოვნებლივ განთავისუფლებისათვის.

## მუხლი 27.

სასამართლოს სათანადო ორგანოები ვალდებულნი არიან, უკეთუ რაიმე გზითა და საშუალებით ემცნოთ, რომ ვინმე ზემოაღნიშნულ წესთა დარღვევითაა შეპყრობილი, დაუყოვნებლივ გამოიძიონ საქმე და წერილობითი ბრძანება გასცენ ან მისი განთავისუფლებისა ან შეპყრობის განგრძობისა.

## მუხლი 28.

ყოველი მოქალაქის ბინა შეუვალია; მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით შეიძლება მისი გაჩხრეკა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

## მუხლი 29.

კერძო მიწერ-მოწერა ხელშეუხებელია; მისი ამოხმა და გადასინჯვა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით.

ARTICLE 21.

Tous les citoyens sont jugés d'après la même procédure.

ARTICLE 22.

Toute personne jouit de l'inviolabilité individuelle. Nul ne peut être arrêté, ni privé d'autre façon de sa liberté, ni soumis à une perquisition, que sur mandat motivé du tribunal ou de l'organe d'instruction.

ARTICLE 23.

L'administration ne peut procéder, de son propre chef, à une arrestation que dans les cas suivants :

*a*) Lorsque le coupable est surpris en flagrant délit ;

*b*) Lorsque le coupable est désigné sur le lieu du forfait, par la victime ou par un témoin ;

*c*) Lorsque quelque objet, établissant la culpabilité de l'inculpé, est trouvé sur l'inculpé ou lorsque des signes ou traces incontestables du forfait sont découverts sur sa personne ou à son domicile.

ARTICLE 24.

L'arrestation des coupables par des particuliers est licite, si ces derniers les surprennent en flagrant délit et qu'il y ait lieu d'appréhender leur évasion avant l'arrivée des agents de la force publique.

ARTICLE 25.

Toute personne arrêtée sur l'ordre d'organes judiciaires ou administratifs doit être traduite devant le tribunal le plus proche, dans les 24 heures ; si le tribunal est trop éloigné pour qu'il soit possible d'y traduire le prévenu dans ce laps de temps, ce délai peut être prolongé suivant les circonstances, sans toutefois dépasser 48 heures.

ARTICLE 26.

Le tribunal est tenu de procéder immédiatement, et en tout cas pas plus tard que dans les 24 heures, à l'interrogatoire du prévenu ; après quoi il doit statuer par un ordre écrit, soit sur sa détention ultérieure, soit sur son élargissement immédiat.

ARTICLE 27.

Les autorités judiciaires sont tenues, au cas où il leur revient que quelqu'un a été arrêté en violation des règles ci-dessus mentionnées, de procéder sans délai à l'instruction du cas et de donner l'ordre, soit de libérer immédiatement le détenu, soit de le maintenir en état d'arrestation.

ARTICLE 28.

Le domicile de tout citoyen est inviolable et les perquisitions n'y sont autorisées que dans les cas prévus par la loi.

ARTICLE 29.

La correspondance privée est inviolable ; elle ne peut être saisie et examinée qu'en vertu d'un arrêt du tribunal.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### მუხლი 30.

ყოველი მოქალაქე მიმოსვლასა და ბინადრობის არჩევაში სრულიად თავისუფალია; ამ უფლების შეზღუდვა მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება.

### მუხლი 31.

ყოველი მოქალაქე სინდისის სრული თავისუფლებით სარგებლობს. მოქალაქის დევნა და მის პოლიტიკურ თუ სამოქალაქო უფლებათა შეზღუდვა სარწმუნოების ან რწმენის გამო არ შეიძლება. ყველას შეუძლია აღიაროს ის სარწმუნოება, რომელიც სურს, ან სარწმუნოება გამოიცვალოს, ან და არც ერთ კულტს არ ეკუთვნოდეს.

სარწმუნოებისა და რწმენის მომიზეზებით მოქალაქობრივი და პოლიტიკური მოვალეობის ასრულებაზე უარის თქმა არავის შეუძლია, გარდა იმ შემთხვევისა, რომელიც ცალკე კანონით იქნება განსაზღვრული.

სარწმუნოებრივი ხასიათის აქტებს არავითარი გავლენა არა აქვს მოქალაქობრივ უფლებასა და მდგომარეობაზე.

### მუხლი 32.

ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს სიტყვით, ბეჭვდით ან სხვა რამ ღონისძიებით თავისი აზრები გამოსთქვას და გაავრცელოს მთავრობის წინასწარ ნებადაურთველად. ყოველი დანაშაულისათვის, რომელსაც იგი ასეთ შემთხვევაში ჩაიდენს, პასუხს აგებს მხოლოდ სასამართლოს წინაშე.

### მუხლი 33.

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთ უფლება აქვთ მთავრობის ნებადაურთველად შეიკრიბნენ საჯაროთ და უიარაღოთ, როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ.

### მუხლი 34.

თუ კრებამ დანაშაულის ხასიათი მიიღო, ადმინისტრაციას შეუძლია დახუროს იგი.

### მუხლი 35.

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს უფლება აქვთ მთავრობის წინასწარ ნებადაურთველად დააარსონ საპროფესიო და სხვა ყოველგვარი კავშირი, თუ მისი მიზანი კანონით არ არის აკრძალული; კავშირის გაუქმება მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით შეიძლება.

### მუხლი 36.

გონებრივი, სავაჭრო და სამეურნეო-სამრეწველო პროფესიის თავისუფალი განვითარება უზრუნველყოფილია რესპუბლიკის კანონებით.

### მუხლი 37.

პირადი და კოლექტიური პეტიციის უფლება უზრუნველყოფილია.

### მუხლი 38.

მუშათა გაფიცვა თავისუფალია.

### მუხლი 39.

ორივე სქესის მოქალაქე თანასწორია, როგორც პოლიტიკურ ისე სამოქალაქო, ეკონომიურ და საოჯახო უფლებით.

### მუხლი 40.

ქორწინება ემყარება უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას; ქორწინების ფორმასა და წესებს კანონი განსაზღვრავს.

ქორწინების გარეშე და ქორწინებაში შობილი უფლებითა და მოვალეობით თანასწორნი არიან. დედას უფლება აქვს იძიოს და დაამტკიცოს, ვინ არის მამა მის მიერ ქორწინების გარეშე შობილისა; აგრეთვე ქორწინების გარეშე შობილს უფლება აქვს ეძიოს თავისი მამა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ARTICLE 30.

Tout citoyen jouit de la liberté de circulation et d'élection de domicile ; aucune restriction à cette liberté ne peut être apportée que par arrêt d'un tribunal.

### ARTICLE 31.

Tout citoyen jouit d'une pleine liberté de conscience. Il ne peut être persécuté, ni voir de restrictions apportées à ses droits politiques ou civils, du fait de sa religion ou de ses convictions. Chacun a le droit de professer la religion de son choix, de changer de religion ou de n'en professer aucune.

Nul n'a le droit de se soustraire à ses obligations civiles et politiques en invoquant sa religion ou ses convictions, sauf les cas prévus par la loi.

Les actes de caractère religieux ne modifient en rien les droits civils ni la situation de personne.

### ARTICLE 32.

Tout citoyen a le droit d'exprimer son opinion et de la propager par la parole, par la presse ou par d'autres moyens sans l'autorisation préalable du Gouvernement. Il n'est responsable, pour tout délit commis dans ces cas, que devant la Justice.

### ARTICLE 33.

Les citoyens de la République Géorgienne ont le droit, sans la permission des autorités, de tenir des réunions publiques, sans armes, dans un local aussi bien qu'en plein air.

### ARTICLE 34.

L'administration a le droit de fermer une réunion si celle-ci devient délictueuse.

### ARTICLE 35.

Les citoyens de la République Géorgienne ont le droit de fonder des associations professionnelles et de toute autre nature sans l'autorisation préalable du Gouvernement, à condition que leur but ne soit pas interdit par la loi ; la dissolution d'une association n'est possible qu'en vertu de la décision d'un tribunal.

### ARTICLE 36.

Le développement libre des professions intellectuelles, commerciales, industrielles et agricoles est assuré suivant les lois de la République.

### ARTICLE 37.

Le droit de pétition, individuelle ou collective, est assuré.

### ARTICLE 38.

Les ouvriers jouissent du droit de grève.

### ARTICLE 39.

Les citoyens des deux sexes jouissent de l'égalité des droits politiques, civils, économiques et de famille.

### ARTICLE 40.

Le mariage est basé sur l'égalité des droits et sur le consentement mutuel des époux. La forme et les règles du mariage sont déteminées par la loi.

Les enfants nés du mariage ou hors du mariage ont des droits et des devoirs égaux. La mère a le droit de rechercher et de trouver la paternité de son enfant naturel par la voie judiciaire ; et l'enfant a également le droit de recherche de paternité.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### მუხლი 41.

პოლიტიკური დევნილი რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემოხიზნული, სხვა სახელმწიფოს არ გადაეცემა.

### მუხლი 42.

მოქალაქის უფლებათა დარღვევისათვის, როგორც თანამდებობის, ისე კერძო პირი მიეცემა პასუხისგებაში, სისხლის სამართლის კანონების თანახმად.

### მუხლი 43.

ამბოხებისა ან ომის დროს, პარლამენტს უფლება აქვს დროებით შეაჩეროს მთელს რესპუბლიკაში, ან რომელსამე მის ნაწილში იმ უფლებათა გარანტია, რომელიც აღნიშნულია შემდეგ მუხლებში: 19, 22, 25, 26, 27, 28, 29, 30, 32, 33 და 38, ომის დროს-კი 21 მუხლში აღნიშნული გარანტიაც იმ პირობით, რომ სამხედრო სამართალში მიცემა შესაძლებელია მხოლოდ მომქმედი ჯარის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე.

თუ პარლამენტი შეკრებილი არ არის, მთავრობას შეუძლია თავის პასუხისმგებლობით შეაჩეროს ზემოაღნიშნულ გარანტიათა მოქმედება. მხოლოდ დაუყოვნებლივ უნდა მოიწვიოს პარლამენტი და თავის დადგენილება წარუდგინოს.

### მუხლი 44.

დიდი ეპიდემიის დროს მთავრობას უფლება აქვს შეაჩეროს დროებით მე-22, 25, 26 და 30 მუხლში აღნიშნულ უფლებათა გარანტია, რამდენადაც ამას ეპიდემიასთან ბრძოლა მოითხოვს.

### მუხლი 45.

კონსტიტუციაში ჩამოთვლილი გარანტია და უფლება არ უარყოფს სხვა გარანტიასა და უფლებას, რომელიც იქ არ არის მოხსენებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობს კონსტიტუციის მიერ აღიარებული პრინციპებისაგან.

## თავი მეოთხე

## პარლამენტი

### მუხლი 46.

საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანო არის „საქართველოს პარლამენტი", რომელიც შესდგება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარული და პროპორციული წესისაებრ არჩეულ დეპუტატებისაგან. არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს სქესის განურჩევლად ყოველ სრულუფლებიან მოქალაქეს, რომელსაც ოცი წელი შესრულებია.

პარლამენტი აირჩევა სამი წლის ვადით.

### მუხლი 47.

პარლამენტის არჩევნების წესს განსაზღვრავს ცალკე კანონი.

### მუხლი 48.

პარლამენტის წევრი პასუხისგებაში არ მიეცემა იმ აზრისა და შეხედულებისათვის, რომელსაც გამოსთქვამს თავის მოვალეობის ასრულების დროს.

პარლამენტის წევრის პიროვნება ხელშეუხებელია; არ შეიძლება შეპყრობილ ან სამართალში მიცემულ იქნეს იგი, ვიდრე პარლამენტის წევრად ითვლება, თუ თვით პარლამენტმა ამის ნება არ დართო. გამონაკლისია ისეთი შემთხვევა, როცა დანაშაულის ჩადენაზე მიასწრებენ. ეს შემთხვევა დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს;

ARTICLE 41.

Nul fugitif politique, réfugié sur le territoire de la République, ne peut être extradé.

ARTICLE 42.

Tous fonctionnaires et particuliers coupables d'infraction aux dispositions des lois ci-dessus, visant les droits des citoyens, seront poursuivis judiciairement, conformément au code pénal.

ARTICLE 43.

En cas de sédition à l'intérieur du pays, ou en cas de guerre, le Parlement a le droit de suspendre temporairement, dans toute la République ou sur certaines parties du territoire, les garanties constitutionnelles contenues dans les articles: 19, 22, 25, 26, 27, 28, 29, 30, 32, 33 et 38 ; en cas de guerre, peut être également suspendue la garantie prévue à l'article 21, à condition que l'accusé ne soit justiciable d'un conseil de guerre que dans la zone des armées.

Hors des sessions du Parlement, le Gouvernement a le droit, sous sa propre responsabilité, de suspendre les garanties constitutionnelles ci-dessus mentionnées, mais il est tenu, dans ce cas, de convoquer immédiatement le Parlement et de lui soumettre sa décision.

ARTICLE 44.

En cas d'épidémie grave, le Gouvernement a le droit de suspendre temporairement les garanties constitutionnelles établies dans les articles 22, 25, 26 et 30, en tant que cette mesure est rendue nécessaire par la lutte contre l'épidémie.

ARTICLE 45.

Les droits et garanties énumérés dans la Constitution ne sont pas exclusifs d'autres droits et garanties qui, tout en n'y étant pas formulés, découlent néanmoins naturellement des principes établis par la Constitution.

## CHAPITRE IV

### Parlement.

ARTICLE 46.

L'organe représentatif de la République Géorgienne est le Parlement de Géorgie, composé des députés élus au suffrage universel, égal, direct, secret et proportionnel. Tout citoyen, sans distinction de sexe, jouissant de tous ses droits et ayant 20 ans révolus, a le droit de participer aux élections.

Le Parlement est élu pour trois ans.

ARTICLE 47.

Les règles des élections législatives sont fixées par une loi spéciale.

ARTICLE 48.

Les membres du Parlement ne sont pas responsables pour les opinions émises par eux durant l'accomplissement de leur mandat.

La personne d'un membre du Parlement est inviolable, il ne peut être arrêté, ni traduit en justice sans l'assentiment du Parlement. Exception est faite pour le cas de flagrant délit ; elle doit immédiatement être portée à la connaissance du Parlement.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეპყრობილი ან სამართალში მიცემული პარლამენტის წევრი განთავისუფლებულ უნდა იქნეს, თუ პარლამენტი ამას მოითხოვს.

### მუხლი 49.

პარლამენტის წევრს უფლება აქვს ჩვენება არ მისცეს იმ ფაქტების გამო, რომელიც მას გაანდვეს, როგორც დეპუტატს. ეს უფლება არ ეკარგება მაშინაც, როცა დეპუტატად აღარ ითვლება.

### მუხლი 50.

პარლამენტის წევრებს მიეცემათ კანონით განსაზღვრული გასამრჯელო.

### მუხლი 51.

პარლამენტის წევრობისა, მოხელეობისა და პროფესიის შეუთავსებლობის საკითხს განსაზღვრავს კანონი.

### მუხლი 52.

ხელმწიფება ეკუთვნის მთელს ერს. პარლამენტი ამ კონსტიტუციის ფარგლებში ახორციელებს ერის ხელმწიფებას.

### მუხლი 53.

პარლამენტი გამოსცემს კანონსა, დეკრეტსა და დადგენილებას; მათი გამოქვეყნების წესი ცალკე კანონით იქნება განსაზღვრული.

### მუხლი 54.

პარლამენტის უფლებაა:

ა) კანონმდებლობა;

ბ) უმაღლესი გამგებლობა რესპუბლიკის ჯარისა და საზოგადოდ ყოველი შეიარაღებული ძალისა;

გ) ომის გამოცხადება;

დ) დამტკიცება საზავო, სავაჭრო და ამგვარ ხელშეკრულობისა უცხო სახელმწიფოებთან;

ე) ამნისტია;

ვ) ბიუჯეტის დამტკიცება;

ზ) საშინაო და საგარეო სესხის აღება;

ი) თანამდებობის პირთა არჩევა, კონსტიტუციით ან კანონით მისდა მიკუთვნებული; და

თ) საერთო კონტროლი აღმასრულებელი ხელისუფლებისა.

### მუხლი 55.

პარლამენტის სხდომა საჯაროა; მაგრამ პარლამენტს შეუძლია განსაკუთრებული დადგენილებით თავის სხდომა ან ნაწილი სხდომისა ფარულად გამოაცხადოს.

### მუხლი 56.

პარლამენტი თვითონ გაარჩევს თავის წევრთა არჩევნების კანონიერებას და გადასწყვეტს ყოველსავე დავას ამ საგანზე.

### მუხლი 57.

პარლამენტი ყოველ საკითხს სწყვეტს ხმის მარტივი უმრავლესობით, თუ რეგლამენტით ან კანონით სხვა წესი არ არის მიღებული.

### მუხლი 58.

პარლამენტის გახსნა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ დეპუტატთა საერთო რიცხვის ნახევარზე მეტი გამოცხადდა.

### მუხლი 59.

პარლამენტის წევრთ უფლება აქვთ მთავრობის მიმართ შეკითხვის შეტანისა და კითხვის მიცემისა. წესი შეკითხვის შეტანისა და კითხვის მიცემისა განისაზღვრება კანონით ან რეგლამენტით.

Le membre du Parlement arrêté ou traduit en justice doit être mis en liberté si le Parlement l'exige.

---

ARTICLE 49.

Les membres du Parlement peuvent se refuser à témoigner sur les faits qu'on leur a confiés en leur qualité de députés.

Ce droit peut être invoqué même après l'expiration de leur mandat.

ARTICLE 50.

Les membres du Parlement reçoivent une indemnité déterminée par la loi.

ARTICLE 51.

Les cas d'incompatibilité entre le mandat de député et l'exercice d'une fonction ou d'une profession quelconque seront déterminés par la loi.

ARTICLE 52.

La souveraineté appartient à la nation entière. Le Parlement exerce cette souveraineté dans les limites fixées par la Constitution.

ARTICLE 53.

Le Parlement vote les lois, décrets et décisions ; le mode de leur publication sera déterminé par une loi spéciale.

ARTICLE 54.

Les attributions du Parlement sont les suivantes :

*a*) Législation ;
*b*) Direction suprême de l'armée de la République et en général de toutes les forces armées ;
c) Déclaration de la guerre ;
*d*) Ratification des traités de paix, de commerce ou autres avec les Puissances étrangères ;
*e*) Droit d'amnistie ;
*f*) Établissement du budget ;
*g*) Droit d'émission des emprunts intérieurs et extérieurs ;
*h*) Nomination des fonctionnaires, prévue par la Constitution ou par la loi ;
*i*) Contrôle général du pouvoir exécutif.

ARTICLE 55.

Les séances du Parlement sont publiques, mais le Parlement a le droit de tenir à huis-clos, par décision spéciale, des séances entières ou partielles.

ARTICLE 56.

Le Parlement discute lui-même la validité de l'élection de ses membres et tranche toutes les questions litigieuses y relatives.

ARTICLE 57.

Toutes les décisions du Parlement sont prises à la majorité simple des voix, à moins qu'un autre mode n'ait été adopté en conformité de la loi ou du règlement.

ARTICLE 58.

L'ouverture des séances parlementaires exige la présence de plus de la moitié du nombre total des députés.

ARTICLE 59.

Le Parlement a le droit d'interpeller le Gouvernement et de lui poser des questions. Les interpellations et questions sont soumises à des règles déterminées par la loi ou par le règlement.

პარლამენტს უფლება აქვს დანიშნოს საგამომძიებლო საანკეტო კომისია.

## მუხლი 60.

პარლამენტი თვითონ განსაზღვრავს რეგლამენტით თავის მოქმედების წესს.

## მუხლი 61.

პარლამენტი იკრიბება ყოველწლივ ნოემბრის პირველ კვირა დღეს. ახალი პარლამენტის არჩევნები ინიშნება შემოდგომაზე, ერთსა და იმავე დროს მთელს რესპუბლიკაში. იმ ვარაუდით, რომ ახლად არჩეული დეპუტატები დაესწრნენ პარლამენტის გახსნას.

## მუხლი 62.

პარლამენტის მუშაობის დროებით შეწყვეტა შეიძლება მოხდეს მხოლოდ პარლამენტის გადაწყვეტილებით.

როცა პარლამენტის მუშაობა შეწყვეტილია, მისი შოწვევის უფლება განსაკუთრებულ შემთხვევისათვის აქვს მთავრობას, ან პარლამენტის პრეზიდიუმს.

პარლამენტის შეკრება სავალდებულოა, თუ ამას დეპუტატთა ერთი მეოთხედი მოითხოვს.

## მუხლი 63.

ინიციატივის უფლება ეკუთვნის:
ა) პარლამენტის ყოველ წევრს, და
ბ) 5,000 ამომრჩეველს.

## მუხლი 64.

თუ ოცდაათი ათასმა ამომრჩეველმა წერილობით მოითხოვა, პარლამენტი ვალდებულია ახლად მიღებული კანონი სარეფერენდუმოთ ხალხს წარუდგინოს.

რეფერენდუმის წესს განსაზღვრავს კანონი.

## მუხლი 65.

პარლამენტი ყოველწლივ ირჩევს პრეზიდიუმს.

# თავი მეხუთე

## აღმასრულებელი ხელისუფლება

## მუხლი 66.

უმაღლესი მართველობის აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის რესპუბლიკის მთავრობას.

## მუხლი 67.

მთავრობას ჰყავს თავმჯდომარე, რომელსაც ირჩევს პარლამენტი ერთი წლის ვადით. ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედი ზედ მხოლოდ ორჯერ.

## მუხლი 68.

მთავრობის დანარჩენ წევრებს — მინისტრებს იწვევს მთავრობის თავმჯდომარე რესპუბლიკის იმ მოქალაქეთაგან, რომელთაც პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ.

## მუხლი 69.

მთავრობის წევრს არ შეუძლია იმავე დროს რაიმე სხვა თანამდებობა ეჭიროს, ან რომელსამე პროფესიას მისდევდეს; შეუძლია იყოს მხოლოდ პარლამენტის წევრი და ადგილობრივი თვითმართველობის ხმოსანი.

## მუხლი 70.

მთავრობის თავმჯდომარეს ენიჭება რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობა; იგი ნიშნავს ელჩებს სხვა სა-

Le Parlement a le droit de nommer des commissions d'enquête.

ARTICLE 60.

Le Parlement fixe lui-même, par un règlement, la procédure de ses délibérations.

ARTICLE 61.

Les sessions annuelles du Parlement commencent le premier dimanche du mois de novembre. Les élections pour le renouvellement du Parlement s'effectuent en automne, simultanément dans toute la République, et en temps utile pour permettre aux nouveaux élus d'assister à l'ouverture du Parlement.

ARTICLE 62.

Les travaux du Parlement ne peuvent être suspendus que par lui-même.

Durant les interruptions de travaux du Parlement, le droit de convoquer ce dernier, dans des cas extraordinaires, appartient au Gouvernement ou au Bureau du Parlement.

La réunion du Parlement est obligatoire si le quart du nombre des députés l'exige.

ARTICLE 63.

Le droit d'initiative appartient :

*a*) A tout membre du Parlement ;

*b*) A tout groupe de 5.000 électeurs.

ARTICLE 64.

Le Parlement est tenu de soumettre toute loi nouvellement votée au referendum populaire, si 30.000 électeurs l'exigent par écrit.

Les règles du referendum sont déterminées par la loi.

ARTICLE 65.

Le Parlement élit annuellement son Bureau.

## CHAPITRE V

### Pouvoir exécutif.

ARTICLE 66.

Le pouvoir exécutif appartient au Gouvernement de la République.

ARTICLE 67.

Le Président du Gouvernement est élu par le Parlement pour une durée d'un an. Le même Président ne peut être réélu plus d'une fois de suite.

ARTICLE 68.

Les autres ministres, membres du Gouvernement, sont appelés au pouvoir par le Président, qui les choisit parmi les citoyens ayant le droit de participer aux élections parlementaires.

ARTICLE 69.

Les membres du Gouvernement n'ont le droit d'exercer aucune autre fonction ni profession. Ils ne peuvent être que membres du Parlement, ou des Conseils de Self-Government.

ARTICLE 70.

Le Président du Gouvernement est le représentant suprême de la République. Il nomme les représentants de la Géorgie

ხელმწიფოებში და უცხოეთის ელჩები წარმოიგზავნებიან მასთან.

განსაკუთრებულ გარემოებაში, უკეთუ მთავრობის დადგენილების გამოტანა დაბრკოლებულია, თავმჯდომარეს უფლია გამოიწვიოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალა, რაც დაუყოვნებლივ უნდა მოხსენდეს პარლამენტს.

თავმჯდომარე გამოსცემს ბრძანებასა და განკარგულებას კანონის აღსრულებისათვის, მაგრამ უფლება არა აქვს კანონის მოქმედება შეაჩეროს, ან მისი შესრულება დააბრკოლოს.

მთავრობის თავმჯდომარეს უფლება აქვს თავის განკარგულებით დანიშნოს რევიზია მართველობის ამა თუ იმ დარგისა, ადგილის ან მოვლენისა კანონში აღნიშნულ წესისაებრ.

თავმჯდომარეს არა აქვს არავითარი განსაკუთრებული უფლება, იმის გარდა, რაც ამ კონსტიტუციით არის მისდა მიკუთვნებული.

## მუხლი 71.

მთავრობის თავმჯდომარეს ჰყავს მოადგილე, რომელიც ასრულებს მის მოვალეობას მთავრობაში.

## მუხლი 72.

მთავრობის საერთო უფლება და მოვალეობა:

ა) რესპუბლიკის საქმეთა უმაღლესი მართვა-გამგეობა, თანახმად კანონისა;

ბ) თვალ-ყურის დევნა და აღსრულება კონსტიტუციისა და კანონებისა;

გ) წარდგენა პარლამენტის წინაშე თავის კანონპროექტისა, აგრეთვე დასკვნისა იმ კანონპროექტის შესახებ, რომელიც პარლამენტისა ან ხალხის ინიციატივით არის შემოსული;

დ) დაცვა რესპუბლიკის საგარეო ინტერესებისა;

ე) უზრუნველყოფა რესპუბლიკისა გარეშე განსაცდელისაგან და დაცვა მისი დამოუკიდებლობისა;

ვ) ზრუნვა შინაური წესიერებისა და უშიშროების დაცვისათვის;

მოულოდნელ შემთხვევაში, თუ საჭიროებამ მოითხოვა, მთავრობას უფლება აქვს თავის დადგენილებით გამოიყენოს შეიარაღებული ძალა, ვადით არა უმეტეს 21 დღისა. უკეთუ მეტის ვადით დასჭირდა, პარლამენტისაგან უნდა მიიღოს ნებართვა;

ზ) განაგოს ფინანსები, სჭრას ფული თანახმად კანონისა და ყოველ წლივ წარუდგინოს პარლამენტს შემოსავალ-გასავლის სავარაუდო აღრიცხვა ბიუჯეტი;

ჱ) ანგარიში აძლიოს პარლამენტს თავის მოქმედებისა და წელიწადში ერთხელ მაინც წარუდგინოს მოხსენება საქართველოს შინაგან და საგარეო მდგომარეობის შესახებ; წარუდგინოს აგრეთვე განსაკუთრებული მოხსენება, უკეთუ პარლამენტმა მოითხოვა, და

თ) შეასრულოს ყოველივე, რაც კანონს ან პარლამენტს მისთვის დაუვალებია.

## მუხლი 73.

რესპუბლიკის დანარჩენ საქმეთა მართვა-გამგეობა განაწილებულია მთავრობის წევრთა შორის. თვითეული მათგანი დამოუკიდებლად და პარლამენტის წინაშე საკუთარი პასუხისმგებლობით განაგებს მისთვის მინდობილ უწყებას და უნდა გადადგეს, როცა პარლამენტის პირდაპირი დადგენილებით დაჰკარგავს მის ნდობას.

მინისტრს უფლება აქვს პარლამენტში ხმის მიცემისა მხოლოდ მაშინ, როცა დეპუტატად ირიცხება.

მთავრობის თავმჯდომარე პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე საერთო პოლიტიკისათვის. ვალდებულია დაემორჩილოს პარლამენტის დადგენილებას და ასრულოს იგი და ამის მიხედვით, თუ საჭიროა გამოსცვალოს ცალკე მინისტრი ან გარდაქმნას მთელი კაბინეტი.

auprès des Puissances étrangères et c'est auprès de lui que sont accrédités les représentants de ces Puissances.

En l'absence d'une décision du Gouvernement, qui se trouverait empêché, le Président peut, à titre exceptionnel, recourir à la force armée de la République, mais il en informe immédiatement le Parlement.

Les ordonnances d'exécution des lois et les règlements y relatifs émanent du Président du Gouvernement, lequel n'a toutefois pas le droit d'arrêter l'action de la loi ou d'en entraver l'exécution.

Le Président du Gouvernement a le droit d'ordonner le contrôle à l'extraordinaire soit des différents départements d'administration publique, soit d'administrations locales, ou la révision d'affaires particulières, suivant les règles déterminées par la loi.

Le Président n'est investi d'aucun droit autre que ceux qui lui sont conférés par la Constitution.

### Article 71.

Le Président du Gouvernement a un lieutenant. En cas d'absence du Président, ses attributions passent à son lieutenant.

### Article 72.

Les droits et devoirs généraux du Gouvernement sont :

*a*) D'assurer la direction suprême des affaires de la République, conformément aux lois ;

*b*) De veiller à l'application de la Constitution et à l'exécution des lois ;

*c*) De déposer devant le Parlement ses projets de lois, de même que ses conclusions sur les projets de lois émanant de l'initiative du Parlement ou du peuple ;

*d*) De défendre les intérêts extérieurs de la République ;

*e*) De sauvegarder la République contre les dangers extérieurs et de défendre son indépendance ;

*f*) D'assurer la sécurité et l'ordre à l'intérieur du pays. Si des circonstances imprévues l'exigent, le Gouvernement a le droit de mobiliser des forces armées pour un service qui ne doit pas dépasser 21 jours. Ce délai ne peut être prolongé qu'avec l'autorisation du Parlement ;

*g*) De gérer les finances, d'émettre la monnaie, conformément à la loi, et de soumettre annuellement au Parlement le budget des revenus et des dépenses de l'État ;

*h*) De rendre compte de ses travaux au Parlement et de lui présenter, au moins une fois l'an, un rapport sur la situation extérieure et intérieure de la Géorgie ; de lui présenter aussi des rapports spéciaux si le Parlement l'exige ;

*i*) De s'acquitter de toutes les obligations qui lui sont imposées par la loi ou le Parlement.

### Article 73.

Les membres du Gouvernement se partagent la direction des affaires de la République qui ne dépendent pas directement du Président.

Chaque membre du Gouvernement dirige, d'une manière indépendante, et sous sa seule responsabilité personnelle devant le Parlement, le ministère qui lui est confié ; il doit se retirer dès qu'il perd la confiance du Parlement.

Un ministre n'a le droit de voter au Parlement que s'il en est membre.

Le Président du Gouvernement est responsable devant le Parlement de la politique générale. Il est tenu de se soumettre aux décisions du Parlement et de les exécuter, en changeant, s'il y a lieu, de ministres ou même en remaniant le cabinet entier.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### მუხლი 74.

მთავრობის ყოველ წევრს უფლება აქვს პარლამენტისა და მისი კომისიის სხდომას დაესწროს. თუ მინისტრმა მოითხოვა, პარლამენტი და მისი კომისია ვალდებულია მოუსმინოს. თავის მხრით პარლამენტისა და კომისიის მოთხოვნით მინისტრიც ვალდებულია სხდომაზე გამოცხადდეს და ახსნა-განმარტება მისცეს.

### მუხლი 75.

კონსტიტუციის დარღვევისათვის მთავრობის თავმჯდომარე და მთავრობის წევრები პასუხისმგებელი არიან სასამართლოს წინაშე. მათი პასუხისგებაში მიცემა შეუძლია მხოლოდ პარლამენტს. მათი გასამართლება საერთო წესით სწარმოებს.

## თავი მეექვსე

## სასამართლო

### მუხლი 76.

საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე არსებობს ერთი უმაღლესი სასამართლო — სენატი, რომელსაც ირჩევს პარლამენტი. სენატი მოვალეა:

ა) თვალყური ადევნოს კანონის დაცვასა, და

ბ) განაგოს სასამართლო ნაწილი, როგორც საკასაციო სასამართლომ.

### მუხლი 77.

სამოქალაქო, სისხლისა და ადმინისტრატიული სამართლის საქმეთა საწარმოებლად არსებობს მუდმივი სასამართლოები.

სასამართლოს ორგანიზაცია, იურისდიქცია და კომპეტენცია განისაზღვრება კანონით.

### მუხლი 78.

სასამართლო დამოუკიდებელია და მხოლოდ კანონს ემორჩილება.

მართლმსაჯულება სწარმოებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით.

### მუხლი 79.

სასამართლოს არც ერთი განაჩენი არ შეიძლება გაუქმებულ, შეცვლილ, ან შეჩერებულ იქნეს კანონმდებელი, აღმასრულებელი ან ადმინისტრატიული ორგანოს მიერ.

### მუხლი 80.

სასამართლოს სხდომა საჯაროა; მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც ამას მოითხოვს ზნეობისა და საზოგადო მშვიდობიანობის დაცვის ინტერესი, სხდომა შეიძლება კარდახურულ იქნეს თვით სასამართლოს დადგენილებით.

### მუხლი 81.

მძიმე სისხლის სამართლის და აგრეთვე პოლიტიკურის და ბეჭვდითი დანაშაულისათვის არსებობს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი.

### მუხლი 82.

მოსამართლე აირჩევა ვადით. არჩევის წესი და პირობა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს მსაჯული, კანონით განისაზღვრება.

### Article 74.

Tout membre du Gouvernement a le droit d'assister aux séances du Parlement et aux réunions des commissions parlementaires. Le Parlement et ses commissions sont tenus d'entendre le ministre, si celui-ci l'exige; de son côté, le ministre est également tenu de se présenter, sur la demande du Parlement ou de ses commissions, et de fournir des explications.

### Article 75.

Le Président et les membres du Gouvernement sont responsables pénalement pour toute violation de la Constitution, mais seul le Parlement peut les traduire devant la Justice. Les membres du Gouvernement sont jugés suivant les règles du droit commun.

## CHAPITRE VI

## Justice.

### Article 76.

La Cour Suprême de la Géorgie est le Sénat, élu par le Parlement. Il appartient au Sénat :

*a)* De veiller à la stricte application de la loi ;
*b)* D'orienter la justice en qualité de Cour de cassation.

### Article 77.

Les affaires civiles, criminelles, et le contentieux administratif sont du ressort des tribunaux permanents. L'organisation, la juridiction et la compétence de ces tribunaux sont déterminées par la loi.

### Article 78.

Le pouvoir judiciaire est indépendant et n'obéit qu'à la loi. La justice est rendue au nom de la République Démocratique Géorgienne.

### Article 79.

Les verdicts prononcés par les tribunaux ne peuvent en aucun cas être annulés, modifiés ou suspendus par un organe législatif, exécutif ou administratif.

### Article 80.

Les audiences des tribunaux sont publiques; dans certains cas, si l'intérêt de la morale ou celui de la sécurité publique l'exige, le tribunal peut prononcer le huis-clos.

### Article 81.

Toutes affaires graves ressortissant de la juridiction pénale, de même que les affaires politiques et les délits de presse, sont soumises à l'institution du Jury.

### Article 82.

Les juges sont élus pour un terme déterminé. Les règles de ces élections, de même que les conditions auxquelles les juges doivent satisfaire, sont définies par la loi.

### მუხლი 83.

არ შეიძლება სასამართლოს წევრის ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანა მისი სურვილის წინააღმდეგ, გარეშე სასამართლოს დადგენილებისა.

თანამდებობიდან მისი დროებით გადაყენება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა სამართალში ან გამოძიებაში არის მიცემული.

სრულიად დათხოვნა-კი შეიძლება სასამართლოს განაჩენის ძალით.

## თავი მეშვიდე

## სახელმწიფო ფინანსები

### მუხლი 84.

არცერთი სახელმწიფო გადასახადი არ შეიძლება დანესებულ ან აკრეფილ იქნეს, თუ წინასწარ პარლამენტის მიერ არ იქნა დადასტურებული.

შენიშვნა: ადგილობრივი თვითმართველობის გადასახადთა დანესების უფლებას ცალკე კანონი განსაზღვრავს.

### მუხლი 85.

სახელმწიფო გადასახადისაგან ვერავინ განთავისუფლდება, თუ არ კანონის ძალით.

### მუხლი 86.

თუ არ კანონის ძალით არავითარი პენსია, ჯილდო და საზოგადოთ ხარჯი არ შეიძლება გაღებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან.

### მუხლი 87.

პარლამენტის ნებადაურთველად არ შეიძლება აღებულ იქნეს სახელმწიფო სესხი და ან რაიმე ფინანსური ვალდებულება.

### მუხლი 88.

სახელმწიფოს ყოველი შემოსავალ-გასავალი ბიუჯეტში უნდა იქნეს აღნიშნული. ბიუჯეტი ყოველწლივ უნდა წარედგინოს პარლამენტს დასამტკიცებლად.

### მუხლი 89.

თუ ბიუჯეტის დამტკიცება პარლამენტმა ვერ მოასწრო საანგარიშო წლის დამდეგამდე, მთავრობას უფლება ეძლევა სახელმწიფო ხარჯები ახალი ბიუჯეტის დამტკიცებამდე წინა წლის ბიუჯეტის მიხედვით დაჰფაროს პარლამენტის ნებართვით.

### მუხლი 90.

ხარჯის გადატანა ბიუჯეტის ერთი პარაგრაფიდან მეორეში არ შეიძლება პარლამენტის ნებადაურთველად.

## თავი მერვე

## სახელმწიფო კონტროლი

### მუხლი 91.

სახელმწიფო კონტროლს ექვემდებარება:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტის სისწორით ასრულება;

ბ) სახელმწიფოს ყოველნაირი შემოსავალი და გასავალი;

გ) მთავრობის და სხვა და სხვა უწყების ხარჯთაღრიცხვა და ანგარიში, და

დ) ადგილობრივი თვითმართველობის ფინანსები კანონის თანახმად.

### მუხლი 92.

სახელმწიფო კონტროლიორს ირჩევს პარლამენტი. იგი არ ითვლება მინისტრთა კაბინეტის წევრად, მაგრამ ალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ARTICLE 83.

Sauf décision du tribunal, les juges ne peuvent être l'objet d'aucune mutation contraire à leur désir.

Ils ne peuvent être révoqués temporairement qu'au cas où ils sont traduits en justice ou que leur affaire est en cours d'instruction.

Leur révocation définitive ne peut intervenir que sur arrêt du tribunal.

## CHAPITRE VII

## Finances de l'Etat.

### ARTICLE 84.

Nul impôt ne peut être institué ni levé, s'il n'a été préalablement consenti par le Parlement.

*Remarque.* — Le droit des organes du Self-Government local de lever des taxes est déterminé par une loi spéciale.

### ARTICLE 85.

Nul ne peut être exempté de l'impôt de l'État, sinon en vertu de la loi.

### ARTICLE 86.

Aucune somme pour paiement de retraite, récompense, ou dépense quelconque, ne peut être prélevée du Trésor de l'État que conformément à la loi.

### ARTICLE 87.

Aucun emprunt d'État, ni aucune autre obligation financière ne peuvent être contractés sans l'autorisation du Parlement.

### ARTICLE 88.

Tous les revenus et toutes les dépenses de l'État doivent figurer dans le budget. Le budget doit être présenté chaque année à l'approbation du Parlement.

### ARTICLE 89.

commencement de l'année budgétaire, le Gouvernement peut être autorisé par lui, jusqu'à l'approbation du nouveau budget, à couvrir les dépenses de l'État sur la base du budget de l'année précédente.

### ARTICLE 90.

Aucun transfert de dépenses d'un chapitre du budget dans un autre ne peut être effectué sans l'autorisation du Parlement.

## CHAPITRE VIII

## Contrôle d'État.

### ARTICLE 91.

Le Contrôle d'État s'exerce sur :

*a*) l'exécution rigoureuse du budget de l'État ;

*b*) tous revenus et toutes dépenses de l'État ;

*c*) les comptes et bilans du gouvernement et des différents départements ministériels ;

*d*) les finances des organes du Self-Government local.

### ARTICLE 92.

Le Contrôleur d'État est élu par le Parlement. Il n'est pas membre du Cabinet, mais possède tous les droits d'un ministre

ჭურვილია მინისტრის უფლებით და პასუხის მგებელია მხოლოდ პარლამენტის წინაშე. იგი ყოველწლიურად ანგარიშს უდგენს პარლამენტს.

### მუხლი 93.

კონტროლის ორგანიზაცია და მოქმედების წესი განსაზღვრულია კანონით.

## თავი მეცხრე

## სახელმწიფო თავდაცვა

### მუხლი 94.

ყოველი მოქალაქე რესპუბლიკისა ვალდებულია პირადად მოიხადოს სამხედრო ბეგარა კანონის თანახმად.

### მუხლი 95.

სამხედრო ძალთა დანიშნულება არის დაცვა რესპუბლიკისა და მისი ტერიტორიისა.

### მუხლი 96.

სამხედრო ბეგარის ვადა და სამხედრო ძალთა ყოველი მოწყობის წესი განისაზღვრება კანონით.

### მუხლი 97.

სამხედრო ბეგრის მოსახდელად გასაწვევ ახალგაზრდათა რაოდენობას ყოველწლივ პარლამენტი ამტკიცებს.

## თავი მეათე

## ადგილობრივი თვითმართველობა

### მუხლი 98.

ადგილობრივი თვითმართველობა არის იმავე დროს ორგანო ადგილობრივი მართველობისა და განაგებს ადგილობრივ გამგეობის კულტურულ განმანათლებელ და სამეურნეო საქმეებს თავის ტერიტორიის ფარგლებში.

### მუხლი 99.

ადგილობრივი თვითმართველობის ორგანიზაცია, უფლება-მოვალეობა და მართვა-გამგეობის წესი განისაზღვრება კანონით.

### მუხლი 100.

ადგილობრივ თვითმართველობას უფლება აქვს გამოსცეს სავალდებულო დადგენილება თანახმად კანონისა.

### მუხლი 101.

ადგილობრივი თვითმართველობა ირჩევა საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი, ფარული და პროპორციული საარჩევნო წესით.

### მუხლი 102.

ადგილობრივ თვითმართველობის დადგენილება და განკარგულება შეიძლება გაუქმებულ იქნეს მხოლოდ სასამართლოს წესით.

et n'est responsable que devant le Parlement. Il rend compte de son mandat au Parlement chaque année.

### Article 93.

L'organisation du contrôle et les règles de son application sont déterminées par la loi.

## CHAPITRE IX

### Défense nationale.

### Article 94.

Tout citoyen de la République est astreint au service militaire personnel suivant la loi.

### Article 95.

Le but de l'organisation militaire est d'assurer la défense de la République et de son territoire.

### Article 96.

La durée du service militaire et l'organisation des forces [illegible]

---

### Article 97.

L'effectif du contingent des recrues est fixé chaque année par le Parlement.

## CHAPITRE X

### Self-Government.

### Article 98.

Les institutions de Self-Government étant en même temps des organes d'administration locale, sont chargées de la direction des affaires économiques et culturelles dans les limites de leur territoire.

### Article 99.

L'organisation du Self-Government, les droits et devoirs de ses institutions, ainsi que le mode de leur administration, sont déterminés par la loi.

### Article 100.

Les institutions de Self-Government ont le droit de faire des règlements d'administration publique conformément à la loi.

### Article 101.

Le Self-Government est élu au suffrage universel direct égal, secret et proportionnel.

### Article 102.

Les règlements ou arrêtés du Self-Government ne peuvent être annulés que par la voie judiciaire.

### მუხლი 103.

მთავრობის ცენტრალ ორგანოებს უფლება აქვთ შეაჩერონ ადგილობრივი თვითმართველობის დადგენილება და განკარგულება, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს, ხოლო ვალდებულნი არიან საქმე დაუყოვნებლივ სასამართლოს გადასცენ. წესი და პირობა შეჩერებისა განისაზღვრება კანონით.

### მუხლი 104.

ადგილობრივი თვითმართველობა მართვა-გამგეობის საქმეში ემორჩილება მთავრობის ცენტრალ ორგანოებს.

### მუხლი 105.

იმ საგნებს, რომლის შესახებაც ადგილობრივი თვითმართველობის დადგენილება დამტკიცებულ უნდა იქნეს ცენტრალ ხელისუფლების მიერ, განსაზღვრავს კანონი.

### მუხლი 106.

ადგილობრივ თვითმართველობას ენიჭება საბიუჯეტო უფლება, ცალკე კანონით განსაზღვრული.

## თავი მეთერთმეტე

## ავტონომიური მმართველობა

### მუხლი 107.

საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილებს — აფხაზეთს (სოხუმის ოლქი), სამუსლიმანო საქართველოს (ბათომის მხარე) და ზაქათალას (ზაქათალის ოლქი) ენიჭებათ ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობა.

### მუხლი 108.

წინა მუხლში მოხსენებულ ავტონომიურ მმართველობათა დებულებანი შემუშავებულ იქნება ცალკე კანონით.

## თავი მეთორმეტე

## სწავლა-განათლება და სკოლა

### მუხლი 109.

ხელოვნება, მეცნიერება და მათი სწავლება თავისუფალია; სახელმწიფოს მოვალეობაა მფარველობა გაუწიოს და ხელი შეუწყოს მათ განვითარებას.

### მუხლი 110.

პირველდაწყებითი სწავლა საყოველთაო, უსასყიდლო და სავალდებულოა. საზოგადო სკოლების სისტემა ერთს ორგანიულ მთლიანობას წარმოადგენს, სადაც პირველდაწყებითი სკოლა საფუძველია საშუალო და უმაღლესი სკოლისა.

სწავლა-განათლება ყველა საფეხურის სკოლებში საეროა.

### მუხლი 111.

სახელმწიფო მიზნად ისახავს: პირველდაწყებით სკოლაში ულარიბეს ბავშვებს საზრდო, ჩასაცმელ-დასახური და სასწავლო ნივთები უფასოდ მიეცეს. ამ მიზნის განსახორციელებლად სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმართველობანი თავის შემოსავლის ერთ ნაწილს გადასდებენ ყოველ წლიურად.

პარლამენტის ბიბლიოთეკა

### Article 103.

Les organes centraux du Gouvernement ont le droit de suspendre les règlements et les décisions du Self-Government autant qu'ils se trouvent en contradiction avec la loi, mais l'affaire doit être immédiatement portée devant le pouvoir judiciaire. Le mode et les conditions de la suspension sont déterminés par la loi.

### Article 104.

Le Self-Government relève des organes centraux du Gouvernement pour la direction des affaires d'administration générale.

---

### Article 105.

Le cas où les arrêtés du Self-Government doivent être approuvés par le pouvoir central sont déterminés par la loi.

### Article 106.

Les institutions de Self-Government ont leur propre budget conformément à une loi spéciale.

## CHAPITRE XI

## Administrations autonomes.

### Article 107.

L'Abkhasie (région de Soukhoum), la Géorgie Musulmane (région de Batoum), et le Zakhathala (district de Zakhatala), qui sont parties intégrantes de la République Géorgienne, jouissent de l'autonomie dans l'administration de leurs affaires locales.

### Article 108.

Le statut concernant l'autonomie des régions mentionnées dans l'article précédent fera l'objet d'une loi spéciale.

## CHAPITRE XII

## Instruction publique et écoles.

### Article 109.

Les arts, les sciences et leur enseignement sont libres; le devoir de l'État est de les protéger et de contribuer à leur développement.

### Article 110.

L'instruction primaire est générale, gratuite et obligatoire.

Le système scolaire est un tout organique où l'enseignement primaire sert de base à l'enseignement secondaire et à l'enseignement supérieur.

L'enseignement est laïque à tous les degrés.

### Article 111.

L'État doit avoir en vue d'assurer aux enfants indigents la gratuité des écoles primaires, de la nourriture, des vêtements et du matériel scolaire.

---

Le Gouvernement et les organes du Self-Government prélèvent annuellement, sur leurs ressources, une certaine somme destinée à faire face à ces dépenses.

## მუხლი 112.

კერძო თაოსნობით დაარსებული სკოლა ემორჩილება საერთო სასკოლო კანონს.

# თავი მეცამეტე

## სოციალ-ეკონომიური უფლებანი

## მუხლი 113.

რესპუბლიკა ზრუნავს თავის მოქალაქეთა ღირსეული არსებობისათვის.

## მუხლი 114.

საკუთრების იძულებითი ჩამორთმევა ან კერძო ინიციატივის შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი და კულტურული საჭიროებისათვის ცალკე კანონში განსაზღვრული წესით. ჩამორთმეულ ქონებაში მიეცემა სათანადო საფასური თუ კანონში სხვა გვარად არ არის განსაზღვრული.

## მუხლი 115.

რესპუბლიკას აქვს საკუთარი საალებ-მიმცემო და სამრეწველო მეურნეობა, რომლის გაფართოვება და ერთი მთლიანი საზოგადოებრივი მეურნეობის შექმნა მისი მთავარი მიზანია.

რესპუბლიკა ხელს უწყობს ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოთა ასეთსავე მეურნეობის გაფართოვებას და გაძლიერებას.

რესპუბლიკას შეუძლია კანონმდებლობის გზით გაასაზოგადოოს ის სავაჭრო-სამრეწველო და სასოფლო სამეურნეო დარგი და წარმოება, რომელიც ამისთვის გამოსადეგია.

## მუხლი 116.

წვრილი მწარმოებლის — სოფლის მეურნის, ხელოსანის, შინამრეწველის — შრომის ნაყოფის დაცვა კერძო პირთა ექსპლოატაციისაგან სახელმწიფოს განსაკუთრებული საზრუნავი საგანია.

რესპუბლიკის განსაკუთრებული საზრუნავია აგრეთვე სოფლის მეურნეობის აყვავება; მიწის დამუშავება და გამოყენება შეადგენს მიწის მფლობელის მოვალეობას საზოგადოების წინაშე.

## მუხლი 117.

შრომა საფუძველია რესპუბლიკის არსებობისა და მისი უზრუნველყოფა რესპუბლიკის განსაკუთრებული მოვალეობაა.

## მუხლი 118.

რესპუბლიკის კანონმდებლობით ადგილობრივ თვითმართველობას ევალება დააარსოს შრომის ბირჟა, საშუამავლო კანტორა და სხვა ამგვარი დაწესებულება, რომელიც აღნუსხავს უმუშევართ და შუამავლობას გაუწევს სამუშაოს შოვნაში.

ასეთ დაწესებულების ხელმძღვანელ ორგანოში მუშათა კავშირის წარმომადგენელთა რიცხვი ნახევარზე ნაკლები არ უნდა იყოს.

## მუხლი 119.

უმუშევრად დარჩენილ მოქალაქეს მიეცემა დახმარება სამუშაოს აღმოჩენით ან დაზღვევის სახით.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ARTICLE 112.

Les écoles privées sont soumises à la loi scolaire générale.

## CHAPITRE XIII

### Droits sociaux et économiques.

ARTICLE 113.

La République veille à ce que tous ses citoyens aient une existence digne.

ARTICLE 114.

L'expropriation forcée ou la restriction de l'initiative privée ne peut intervenir qu'en vertu d'une loi spéciale qui en détermine le mode, et seulement pour les besoins de l'État, pour cause d'utilité publique.

Les propriétaires des biens expropriés seront indemnisés, sauf dispositions contraires de la loi.

ARTICLE 115.

La République a sa propre organisation commerciale et industrielle. Son but principal est de développer cette organisation et de créer un seul système complet d'économie sociale.

La République aide les organes du Self-Government dans le développement et le renforcement d'organismes économiques analogues.

La République a le droit de socialiser par voie législative les entreprises commerciales, industrielles et agricoles qui s'y prêtent.

ARTICLE 116.

L'État veille tout particulièrement à la défense contre l'exploitation privée du travail des petits producteurs, du cultivateur, de l'artisan et de l'industriel à domicile.

La République consacrera également une attention spéciale à la prospérité de l'agriculture. C'est un devoir envers la Société, du propriétaire de la terre, de la cultiver et d'en assurer le meilleur rendement.

ARTICLE 117.

L'existence de l'État est basée sur le travail et il est du devoir particulier de la République de le protéger.

ARTICLE 118.

Les lois de la République confient aux organes du Self-Government le soin de créer des Bourses du travail, des bureaux de placement et d'autres institutions analogues, qui dresseront des statistiques des chômeurs et serviront à ces derniers d'intermédiaires pour obtenir du travail.

Les représentants des syndicats ouvriers entreront, pour moitié au moins, dans la composition de la direction centrale de ces institutions.

ARTICLE 119.

Aux citoyens en chômage assistance est prêtée par voie d'assurance ou en leur procurant du travail.

## მუხლი 120.

მოხუცებულობით, დაავადებით თუ სხვა მიზეზით შრომის უნარს მოკლებული მოქალაქე, რომლისთვისაც ზრუნვა კანონით ან ჩვეულებით დავალებული არა აქვს მემკვიდრეს, მზრუნველს, მწარმოებელს ან სხვა კერძოსა თუ საზოგადოებრივ დაწესებულებას, და რომელსაც არსებობის სახსარი არ მოეპოვება, მიიღებს დახმარებას სახელმწიფო ხაზინიდან დაზღვევით ან სხვა სახით. ასევე დაეხმარება ხაზინა, უკეთუ მემკვიდრეს ან მზრუნველს შრომის უნარდაკარგულის რჩენა არ შეუძლია.

## მუხლი 121.

დაქირავებული მუშა, რომელიც მოხუცებულობით, დაშავებით ან სხვა მიზეზით დაჰკარგავს სავსებით ან ნაწილობრივ შრომის უნარს, მიიღებს დახმარებას დაზღვევის სახით თავის ხელფასის კვალობაზე. დასაზღვევი თანხა უნდა შესდგეს დამქირავებელზე შეწერილ საგანგებო გადასახადისაგან.

## მუხლი 122.

გარდა საგანგებო ან ამ მიზნით შეწერილი გადასახადისა ზემოაღნიშნულ მოვალეობათა ასასრულებლათ რესპუბლიკის შემოსავლიდან უნდა გადაიდოს ყოველ წლიურათ განსაზღვრული ნაწილი.

## მუხლი 123.

ნორმალი სამუშაო დრო დაქირავებულთათვის არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 48 საათს; ამასთანავე კვირაში ერთხელ მუშა უნდა ისვენებდეს განუწყვეტლივ 42 საათს. გამონაკლისს სამუშაო დროის შესახებ განსაზღვრავს კანონი.

სასოფლო მეურნეობასა და სხვა სასეზონო წარმოებაში სამუშაო დროის შეფარდება განსაკუთრებულ პირობებთან განისაზღვრება კანონით.

## მუხლი 124.

წარმოებაში 16 წლამდის ყნაწვილის შრომა აკრძალულია; 16-18 წლის მოზარდთათვის სამუშაო დრო განისაზღვრება 6 საათით დღეში; მოზარდთა და საზოგადოთ ქალთათვის ღამით მუშაობა აკრძალულია.

## მუხლი 125.

რესპუბლიკის საზრუნავი საგანია განსაზღვროს მინიმუმი ხელფასი და შრომის ნორმალი პირობანი წარმოებაში.

არსდება შრომის ინსპექცია და სანიტარული ზედამხედველობა, რომელიც დამოუკიდებელი უნდა იყოს დამქირავებელთაგან.

## მუხლი 126.

განსაკუთრებული კანონი დაიცავს ქალთა შრომას წარმოებაში. აკრძალულია ქალის მუშაობა დედობისათვის მავნე წარმოებაში; მუშა ქალი მშობიარობის დროს არა ნაკლებ ორი თვისა თავისუფალია მუშაობისაგან ჯამაგირის მოუსპობლად; დამქირავებელს ევალება ძუძუმწოვარ ბავშვთა მოსავლელად შესაფერ გარემოებაში ამყოფოს მუშა ქალები.

## მუხლი 127.

შრომის დამცველ კანონების დარღვევისათვის დამნაშავენი პასუხს აგებენ სისხლის სამართლის წესით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### Article 120.

Tout citoyen ayant perdu la capacité de travailler par suite de vieillesse, de maladie ou d'autres causes, n'ayant droit de par la loi ou la coutume à aucun secours de ses héritiers, de son curateur, ou d'un établissement privé ou public et ne possédant pas de moyens d'existence, a droit à l'assistance de l'État sous forme d'assurance ou autrement.

Cette assistance est également prêtée par l'État dans le cas où les héritiers ou le curateur ne sont pas en mesure de soutenir l'invalide.

### Article 121.

Tout ouvrier salarié ayant perdu entièrement ou partiellement la capacité de travailler, par suite de vieillesse, de mutilation ou d'autres causes, recevra, par voie d'assurance, une assistance proportionnée à son salaire. Le capital de l'assurance sera constitué au moyen d'un impôt prélevé sur l'employeur.

### Article 122.

En dehors de l'impôt prévu à l'article précédent, il sera prélevé, pour le même objet, une certaine partie des recettes annuelles de la République.

### Article 123.

La durée normale du travail des salariés ne doit pas dépasser 48 heures par semaine ; l'ouvrier devra également bénéficier d'un repos ininterrompu de 42 heures par semaine ; les exceptions à la durée normale du travail sont déterminées par la loi.

La fixation de la durée normale du travail, pour les ouvriers agricoles et pour les travaux de saison, nécessitant des conditions spéciales de travail, est déterminée par la loi.

### Article 124.

Le travail, dans les entreprises, de mineurs au-dessous de 16 ans, est interdit : la durée du travail pour les mineurs de 16 à 18 ans est fixée à 6 heures par jour ; le travail de nuit des mineurs au-dessous de 18 ans et des femmes est interdit.

### Article 125.

Il appartient à la République de fixer le montant minimum du salaire et d'établir les conditions normales du travail. Il est créé une inspection du travail et un contrôle sanitaire, indépendants des employeurs.

### Article 126.

La protection du travail des femmes fera l'objet d'une loi spéciale. Le travail des femmes est interdit dans les entreprises nuisibles à la maternité; pendant la durée des couches, l'ouvrière est dispensée de son travail, pendant au moins deux mois, sans suspension de salaire. Il est du devoir de l'employeur de permettre aux ouvrières mères de donner à leurs nourrissons les soins qu'ils exigent.

### Article 127.

**Toute infraction aux lois assurant la protection du travail est passible du Code pénal.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

### მუხლი 128.

რესპუბლიკას და ადგილობრივ მმართველობას ევალება დედობის და ბავშვების დაცვისათვის მზრუნველობა.

## თავი მეთოთხმეტე

## ეროვნულ უმცირესობათა უფლებანი

### მუხლი 129.

არ შეიძლება შეიზღუდოს საქართველოს რესპუბლიკის რომელიმე ეროვნული უმცირესობის თავისუფალი სოციალ-ეკონომიური და კულტურული განვითარება, განსაკუთრებით მისი დედა-ენით სწავლა-აღზრდა და ეროვნულ-კულტურულ საქმეთა შინაური მართვა-გამგეობა.

ყველას აქვს უფლება სწეროს, ჰბეჭდოს და ილაპარაკოს დედა-ენაზე.

### მუხლი 130.

ეროვნულ უმცირესობისაგან შემდგარი ადგილობრივ თვითმართველობის ერთეულებს (თემი, ერობა, ქალაქი) უფლება აქვთ შეერთდნენ და დააარსონ ეროვნული კავშირი თავის კულტურულ-განმანათლებელი საქმეების უკეთ მოსაწყობად და გასაძღოლად კონსტიტუციისა და კანონის ფარგალში.

ეროვნულ უმცირესობას, რომელსაც ასეთი თვითმართველობის ორგანოები არ მოეპოვება, შეუძლია ამის გარეშეც შეადგინოს ეროვნული კავშირი ამ მუხლში აღნიშნული უფლებითა და კომპეტენციით.

ეროვნულ კავშირში შესვლა ხდება სალაპარაკო ენის მიხედვით.

ეროვნულ უმცირესობათა კულტურულ-განმანათლებელ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად სახელმწიფო და თვითმართველობათა ბიუჯეტიდან გადაიდება ფინანსიური საშვალებები პროპორციულად მცხოვრებთა რაოდენობისა.

### მუხლი 131.

არ შეიძლება შეიზღუდოს ვისიმე პოლიტიკური და მოქალაქეობრივი უფლება ეროვნულ კავშირში მონაწილეობისათვის.

### მუხლი 132.

ყოველ ეროვნულ კავშირს შეუძლია აღძრას და დაიცვას სასამართლოს წინაშე ის საქმე, რომელიც ეხება კონსტიტუციითა და კანონით მინიჭებულ ეროვნულ უმცირესობის უფლების დარღვევას.

### მუხლი 133.

საქართველოს რესპუბლიკის ყოველ მოქალაქეს თანასწორი უფლება აქვს მიიღოს სახელმწიფო, სამოქალაქო, სამხედრო და საქალაქო თუ საერობო სამსახური.

### მუხლი 134.

ეროვნულად ნარევი ადგილობრივი მმართველობა ვალდებულია სწავლა-განათლებისათვის გადადებული თანხით დააარსოს საკმაო რიცხვი სკოლების და კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებისა მოქალაქეთა ეროვნულ შედგენილობის პროპორციის მიხედვით.

### მუხლი 135.

ეროვნულ უმცირესობის სკოლაში სწავლება სწარმოებს ბავშვის სალაპარაკო ენაზე.

### მუხლი 136.

ადგილობრივ მმართველობის ფარგლებში, სადაც ერთი რომელიმე ეროვნული უმცირესობა აღემატება ყველა მოქალაქეთა 20%-ს, ამ ეროვნულ უმცირესობის მოთხოვნით მსჯელობა და საქმის წარმოება, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებაში შემოღებულ უნდა იქნეს სახელმწიფო ენასთან ერთად მის დედა-ენაზედაც.

ARTICLE 128.

Il incombe au Gouvernement de la République et aux organes du Self-Government d'assurer la protection des mères et des enfants.

## CHAPITRE XIV

### Droits des minorités ethniques.

ARTICLE 129.

Il est interdit d'apporter aucune entrave au libre développement social, économique et culturel des minorités ethniques de la Géorgie, notamment à l'enseignement dans leur langue maternelle et à la gestion intérieure des affaires qui concernent leur culture propre.

Le droit d'écrire, d'imprimer et de parler sa langue maternelle appartient à tous.

ARTICLE 130.

Les minorités ethniques locales, formées en unités administratives, jouissent du droit de se grouper et de se constituer en union de nationalité pour l'organisation et la direction de leurs affaires culturelles, dans les limites de la Constitution et de la loi.

Les minorités ethniques qui ne forment pas des unités administratives peuvent se constituer, indépendamment de tout autre cadre, en une union ethnique jouissant des droits et de la compétence mentionnés dans cet article.

On ressortit à une union de nationalité à raison de la langue que l'on parle.

Il est fait face aux besoins culturels des minorités ethniques à l'aide de sommes prélevées sur le budget de l'État et des organes du Self-Government, en proportion du nombre des intéressés.

ARTICLE 131.

Nul ne peut voir restreints ses droits civils et politiques, du fait de sa participation à une union ethnique.

ARTICLE 132.

Toute union ethnique peut porter devant la Justice tout recours ayant trait à la violation des droits conférés aux minorités par la Constitution et la loi.

ARTICLE 133.

Tout citoyen de la République Géorgienne jouit de droits égaux en ce qui concerne l'admission au service civil ou militaire de l'État, ainsi qu'au service des villes et des communes.

ARTICLE 134.

Dans les localités de population mixte, les organes du Self-Government sont tenus, avec les fonds dont ils disposent pour l'instruction publique, de créer un nombre suffisant d'écoles et d'établissements d'instruction et de culture générale, proportionnellement à la composition ethnique de la population.

ARTICLE 135.

L'enseignement est donné, dans toute école appartenant à une minorité ethnique, dans la langue parlée par les élèves de cette école.

ARTICLE 136.

Dans une circonscription soumise à un organe de Self-Government, où la proportion d'une minorité ethnique quelconque dépasse 20 % de l'ensemble des citoyens, sont employées concurremment dans l'administration des affaires communales et de l'État, si cette minorité l'exige, la langue officielle et la langue de ladite minorité.

## მუხლი 137.

არა ქართველ დეპუტატს, რომელმაც სახელმწიფო ენა საკმაოდ არ იცის, შეუძლია პარლამენტში სიტყვა წარმოსთქვას დედა-ენით, რომლის სწორ თარგმანს წინასწარ წარუდგენს პარლამენტის პრეზიდიუმს.

დაწვრილებით წესს განსაზღვრავს კანონი.

# თავი მეთხუთმეტე

## სახელმწიფო მოხელენი

## მუხლი 138.

საქართველოს მოქალაქე შეიძლება მიღებულ იქნეს ყოველ თანამდებობაზე, თუ კანონის მოთხოვნილებას აკმაყოფილებს.

## მუხლი 139.

მოხელე ან თანამდებობის პირი შეიძლება გადაყენებულ ან დისციპლინარულ წესით დასჯილ იქნეს იმ დაწესებულების ან უფროსის განკარგულებით, ვისგანაც იყო მიღებული; ხოლო სამსახურიდან სრულიად დათხოვნის წესს განსაზღვრავს კანონი.

## მუხლი 140.

თვითეულ მოხელეს აქვს უფლება პენსიის მიღებისა. მოხელისა და მისი ოჯახის წევრთა მიერ პენსიის მიღების პირობას განსაზღვრავს კანონი.

## მუხლი 141.

თვითეული მოხელე პასუხისმგებელია სასამართლოს წინაშე საერთო წესისაებრ.

მოქალაქეს უფლება აქვს პასუხისგებაში მისცეს ყოველი მოხელე საზოგადო წესით მისი დანაშაულისათვის.

მოქალაქეს უფლება აქვს მოსთხოვოს მოხელის უკანონო მოქმედებით მიყენებული ზარალის ანაზღაურება სახელმწიფოს.

ანაზღაურების წესი და პირობა განისაზღვრება კანონით.

# თავი მეთექვსმეტე

## სახელმწიფო და ეკლესია

## მუხლი 142.

სახელმწიფო და ეკლესია განცალკევებულნი და დამოუკიდებელნი არიან.

## მუხლი 143.

არც ერთ სარწმუნოებას არა აქვს უპირატესობა.

## მუხლი 144.

ხარჯის გაღება სახელმწიფოს ხაზინიდან და ადგილობრივ თვითმართველობათა თანხიდან სარწმუნოებრივ საქმეთა საჭიროებისათვის აკრძალულია.

# თავი მეჩვიდმეტე

## კონსტიტუციის გადასინჯვა

## მუხლი 145.

კონსტიტუციის საზოგადო ან ნაწილობრივი გადასინჯვის ინიციატივის უფლება აქვს:

ა) პარლამენტის წევრთა ნახევრის არა ნაკლებსა, და

ბ) 50.000 ამომრჩეველსა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Article 137.

Tout député d'origine non géorgienne, ne connaissant pas suffisamment la langue officielle, peut s'exprimer au Parlement dans sa langue maternelle, à condition de remettre au préalable, au bureau du Parlement, la traduction exacte de son discours. L'application de cet article sera réglée par la loi.

## CHAPITRE XV

### Fonctionnaires de l'État.

Article 138.

Tout citoyen géorgien a accès à toutes les fonctions, s'il satisfait aux exigences de la loi.

Article 139.

Le fonctionnaire peut être relevé de ses fonctions ou encourir une peine disciplinaire, sur l'ordre de l'institution ou du chef dont il relève. Les règles de sa révocation définitive seront fixées par la loi.

Article 140.

Tout fonctionnaire a droit à la retraite. Les conditions auxquelles le fonctionnaire et sa famille jouiront du bénéfice de la retraite seront déterminées par la loi.

Article 141.

Tout fonctionnaire est responsable en justice, conformément aux principes du droit commun. Tout citoyen a le droit de citer devant les tribunaux tout fonctionnaire coupable. Tout citoyen est en droit de réclamer à l'État le remboursement des dommages à lui causés par un fonctionnaire dans l'exercice de ses fonctions.

La procédure et les conditions du dédommagement sont fixés par la loi.

## CHAPITRE XVI

### Rapports de l'État et de l'Église.

Article 142

L'État et l'Église sont séparés et indépendants l'un de l'autre.

Article 143.

Aucune confession ne jouit d'une situation privilégiée.

Article 144.

Il est interdit d'effectuer aucun prélèvement sur les ressources de l'État ou des organes du Self-Government pour des besoins d'ordre religieux.

## CHAPITRE XVII

### Révision de la Constitution.

Article 145.

La révision totale ou partielle de la Constitution peut être demandée :

*a*) Par la moitié au moins des membres du Parlement ;

*b*) Par un groupe de 50.000 électeurs.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მუხლი 146.

წინადადება კონსტიტუციის საზოგადო ან ნაწილობრი-ვი გადასინჯვისა პარლამენტის დღიურ წესრიგში დაისმის განსახილველად არა უადრეს ექვსი თვისა შეტანის დღი-დან.

## მუხლი 147.

კონსტიტუციის საზოგადო ან ნაწილობრივი გადასინ-ჯვის პროექტი მიღებულ უნდა იქნეს პარლამენტის ყველა წევრთა ორი მესამედის უმრავლესობით. იგი ძალაში შედის მხოლოდ ხალხის უმრავლესობის მიერ დადასტურების შემდეგ.

## მუხლი 148.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მართვა-გამგეობის ფორმის გაუქმება არ შეიძლება გახდეს კონ-სტიტუციის გადასინჯვის წინადადების საგნად.

## მუხლი 149.

პირველ პარლამენტის შეკრებამდე მის მაგიერობას გას-წევს დამფუძნებელი კრება.




## ჩვენი კონსტიტუცია

1919 წლის 12 მარტს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ, მას შემდეგ, რაც დაადასტურა 1918 წლის 26 მაისს გამოცხადებული საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, გამოჰყო საკონსტიტუციო კომისია, რომელსაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის შედგენა დაევალა. საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს დამფუძნებელი კრების წევრი პავლე საყვარელიძე.

საკონსტიტუციო კომისიის მუშაობის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის ამ კომისიის წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი რაჟდენ არსენიძე:

„დავიწყეთ რა კონსტიტუციის პროექტის შექმნა, ჩვენ ხელთ გვქონდა მსოფლიოს ყოველი უფლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია. ვმუშაობდით თითქმის განუწყვეტლივ მთელი დღე-ღამე. ყოველი მუხლი, ყოველი დებულება, ყოველი აზრი იწვევდა ბევრ დავასა და შეჯახებასაც კი, მაგრამ საბოლოო ჯამში ხდებოდა შეთანხმება, ვინაიდან საკონსტიტუციო კომისიის ყოველი წევრი მთელი თავისი შეგნებით და სერიოზულობით ეპყრობოდა ამ მეტად საპასუხისმგებლო საქმეს. უნდა ითქვას, რომ ბევრი ძირითადი იდეა გადავიღეთ შვეიცარიის კონსტიტუციიდან და შევუთავსეთ საქართველოს სინამდვილეს; მაგრამ სხვა უფლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუციებიდანაც გამოვიყენეთ ესა თუ ის პრინციპი".

საკონსტიტუციო კომისიის მიერ შემუშავებული პროექტი ცალკე ბროშურად გამოქვეყნდა 1920 წლის ივნისში და იმავე ხანებში იგი დამფუძნებელ კრებას გადაეცა განსახილველად.

საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ საქართველოს კონსტიტუცია მხოლოდ 1921 წლის 21 თებერვალს დაამტკიცა, საბჭოთა რუსეთის ჯარის მიერ თბილისის აღებამდე და საქართველოს გასაბჭოებამდე 4 დღით ადრე. (კონსტიტუციის დავით თაბორიძისეულ გამოცემაში, რომელსაც ეყრდნობა ჩვენი პუბლიკაცია, დამფუძნებელი კრების მიერ საქართველოს კონსტიტუციის დამტკიცების თარიღად 21 თებერვალთან ერთად, ალბათ შესაბამის დოკუმენტებზე დაყრდნობით, დასახელებულია 22 თებერვალიც. ეს საკითხი დაზუსტებას მოითხოვს, აღნიშნავს გამომცემელი. ვფიქრობთ, თუ ეს ასეა, სხდომა 21-22 თებერვლის მიჯნაზე უნდა შემდგარიყო. ისე კი, საქართველოს კონსტიტუციის დღედ ქართული პოლიტიკური ემიგრაცია 21 თებერვალს აღნიშნავს.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

### Article 146.

Une proposition de révision totale ou partielle de la Constitution ne peut figurer à l'ordre du jour du Parlement que six mois après le dépôt de cette proposition.

### Article 147.

Un projet de révision totale ou partielle de la Constitution ne peut être adopté qu'à la majorité des deux tiers des membres du Parlement. Ce projet n'entre en vigueur qu'après son approbation par le peuple.

### Article 148.

Le changement de la forme du gouvernement de la République Démocratique Géorgienne ne peut être l'objet d'aucune proposition de révision de la Constitution.

### Article 149.

Jusqu'à la réunion du Parlement, l'Assemblée Constituante en tiendra lieu.




კონსტიტუციის დამტკიცებული ტექსტი მნიშვნელოვნად განსხვავდება პროექტისაგან და ამ ორი ვარიანტის შედარება, ჩვენი აზრით, ფრიად საინტერესო უნდა იყოს სახელმწიფო სამართლის სპეციალისტებისათვის და ალბათ არა მარტო მათთვის. საერთოდ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, მისი შექმნის ისტორია სერიოზულ შესწავლას საჭიროებს, მაგრამ რომელ შესწავლაზეა ლაპარაკი, როდესაც საქართველოში კონსტიტუციის ტექსტი დღეს იმდენად ძნელი მოსაპოვებელია, რომ ბატონ ლევან სანიკიძესაც კი თავის წიგნში „მესამე დასის საქართველო“ (ნაკვეთი პირველი, თბილისი, 1989). კონსტიტუციის საბოლოო ტექსტის ნაცვლად მისი პროექტის ტექსტი მოჰყავს. თუ კონსტიტუციის პროექტი სადღეისოდ მეტ-ნაკლებად ცნობილი და ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის, კონსტიტუციის საბოლოო ტექსტი, რომელიც 1921 წლის გაზაფხულზე დაიბეჭდა ბათუმში, ნ. ი. ხეინგიას სტამბაში, ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს. სწორედ ამ გამოცემის ასლია დ. თაბორიძის ორენოვანი საიუბილეო გამოცემის ქართული ტექსტი.

ჩვენთვის დღემდე უცნობია კონსტიტუციის რა და რამდენი გამოცემა არსებობს უცხოეთში. ეს საკითხიც — კონსტიტუციის გამოცემათა ისტორია — საგანგებო კვლევას მოითხოვს და ჩვენს პატარა შესავალს ამის პრეტენზია, რა თქმა უნდა, არა აქვს. ჩვენი მიზანი იყო, კონსტიტუციის ტექსტი მიგვეწოდებინა ფართო მკითხველისათვის. ამ პუბლიკაციის მომზადებისას, ზემოთ უკვე ითქვა, რედაქციას ხელთ ჰქონდა დავით თაბორიძისეული ქართულ-ფრანგული გამოცემა (მიუნხენი-ლევილი, 1981), რომლის ქსეროასლი მოგვაწოდა ისტორიკოსმა უშანგი სიდამონიძემ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ მას.

ტექსტი იბეჭდება უცვლელად. კონსტიტუციის პროექტის გათვალისწინებით გასწორდა მხოლოდ რამდენიმე კორექტურული შეცდომა. როგორც კონსტიტუციის პროექტის, ასევე საბოლოო ტექსტის გამოცემას ერთვის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, რომელიც ჩვენს გაზეთში შარშან, 26 მაისის ნომერში დაიბეჭდა და ამიტომ მისი გამოქვეყნება ამჯერად აუცილებლად არ ჩავთვალეთ.

„სამშობლოს“. ეს პუბლიკაცია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის პირველი გამოცემაა საქართველოში 1921 წლის შემდეგ.

პაატა ნაცვლიშვილი,
გაზეთ „სამშობლოს“ რედაქტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

21 თებერვალი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის დღეა

# საქართველოს კონსტიტუციის ზოგიერთი ასპექტის ინტერპრეტაციის ცდა

## ნაწილი პირველი

21 თებერვალი — საქართველოს კონსტიტუციის დღეა. ამ კონსტიტუციით, ე. ი. ძირითადი კანონით, რომელიც დამფუძნებელმა კრებამ მიიღო და დაამტკიცა 1921 წელს. — საქართველო — თავისი სამიათასწლოვანი სახელმწიფოებრივი ისტორიის მანძილზე, მონარქიულ პრინციპებზე აგებულ სახელმწიფოდან პირველად გახდა რესპუბლიკურ სახელმწიფოდ და საქართველოს „პირველი მმართველი“ ანუ „ხელმწიფე“გახდა არა მეფე ბაგრატიონთა გვარეულობიდან, არამედ საქართველოს რიგითი მოქალაქე — ნოე ჟორდანია, რომელიც, როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი, შევიდა საქართველოს ისტორიაში. და აი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეს ძირითადი კანონი — კონსტიტუცია მიიღო და დაამტკიცა ქართველი ერის მიერ დემოკრატიული წესით არჩეულმა დამფუძნებელმა კრებამ 1921 წლის 21 თებერვალს მეტად რთულ პირობებში. „რთულ პირობებში“ ვამბობთ იმიტომ, რომ იმ დროს, 1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთის წითელი არმია ომის გამოუცხადებლად თავს დაესხა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას და მწვავე ბრძოლები წარმოებდა წითელ არმიასა და ახალგაზრდა ქართულ არმიას შორის. ამ აგრესიული აქტით, ლენინის მთავრობამ დაარღვია საბჭოთა რუსეთ-საქართველოს 1920 წლისს 7 მაისის ხელშეკრულება, რომლითაც საბჭოთა რუსეთის მთავრობამ იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა; და სწორედ იმ დროს მიიღო და დაამტკიცა საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ საქართველოს კონსტიტუცია, როცა ჩვენი არმია ჩაბმული იყო უთანასწორო ბრძოლებში წითელ არმიასთან.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ საბჭოთა რუსეთ-საქართველოს ეს ომი იყო ბრძოლა ორ იდეას შორის: საქართველოს ჯარები იცავდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას, საქართველოს ეროვნულ თავისუფლებასა და სუვერენობას, ე. ი. იმ პრინციპებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაში: ეს პრინციპებია ერისა და პიროვნების თავისუფლება. ეს კონსტიტუცია შესდგება ჩვიდმეტი თავისაგან, რომლებიც ერთად შეიცავს 149 მუხლს. ამ კონსტიტუციის ძირითადი პრინციპები ჩამოყალიბებულ იქნა ჯერ კიდევ „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტში“, რომელიც ნოე ჟორდანიამ 1918 წლის 26 მაისს ამცნო ქართველ ერსა და მთელს მსოფლიოს. დამოუკიდებლობის აქტის პირველ მუხლში, მაგალითად, ნათქვამია შემდეგი:

„ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველოს სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა“.

ამიტომაა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია განსაზღვრავს არა მარტო საქართველოს ხალხის, ქართველი ერის სუვერენულ უფლებებს, არამედ ამავე დროს ზუსტად აყალიბებს საქართველოს მოქალაქეთა უფლებებსა და მოვალეობებს, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ ერისა და პიროვნების თავისუფლება პრაქტიკულად განხორციელდეს ჩვენი სამშობლოს ცხოვრებაში.

რა მოსამზადებელი მუშაობა იქნა გაწეული ამ კონსტიტუციის შესაქმნელად? — „დავიწყეთ რა კონსტიტუციის პროექტის შექმნა, — ამბობს თავის მოგონებაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი რაჟდენ არსენიძე, რომელიც საკონსტიტუციო კომისიის წევრი იყო, — ჩვენ ხელთ გვქონდა მსოფლიოს ყოველი უფლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია. ვმუშაობდით თითქმის განუწყვეტლივ მთელი დღე-ღამე. ყოველი მუხლი, ყოველი დებულება, ყოველი აზრი იწვევდა ბევრ დავასა და შეჯახებასაც კი; მაგრამ საბოლოო ჯამში ხდებოდა შეთანხმება, ვინაიდან საკონსტიტუციო კომისიის ყოველი წევრი მთელი თავისი შეგნებითა და სერიოზულობით ეპყრობოდა ამ მეტად საპასუხისმგებლო საქმეს. უნდა ითქვას, რომ — დასძენს შემდეგ რაჟდენ არსენიძე — ბევრი ძირითადი იდეა გადავიღეთ შვეიცარიის კონსტიტუციიდან და შევუთავსეთ საქართველოს სინამდვილეს; მაგრამ სხვა უფლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუციებიდანაც გამოვიყენეთ ესა თუ ის პრინციპი“.

აი, ამგვარი გულდასმითი და შეგნებით მუშაობის შედეგია ის, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია შეიძლება დღესაც, 50 წლის შემდეგ, ჩაითვალოს უფლებრივ-დემოკრატიული სახელმწიფოს სანიმუშო კონსტიტუციად. მაგალითისათვის ავიღოთ, თუ გნებავთ, ამ კონსტიტუციის ზოგიერთი დებულებანი, რომლებიც განსაზღვრავენ მოქალაქის უფლებებს. „მოქალაქის უფლებები“ ჩამოყალიბებულია მესამე თავში, რომელიც შეიცავს 29 მუხლს, რომელთაგან ოცდამეცამეტე მუხლი, მაგალითად, ამბობს შემდეგს:

„ყოველ მოქალაქეს აქვს სიტყვით, ბეჭდვით ან სხვა რამ ღონისძიებით თავისი აზრები გამოთქვას და გაავრცელოს მთავრობის წინასწარ ნებადაურთველად“.

კონსტიტუციის ეს მუხლი მართლაც ასახავდა საქართველოს მაშინდელ მდგომარეობას. საქართველოს დამოუკიდებლობის დროს, 1918-21 წლებში, საქართველოში არსებობდა ხუთი პარტია და მრავალი პოლიტიკური დაჯგუფება, რომელთაც გააჩნდათ თავიანთი პოლიტიკური ჟურნალ-გაზეთები. აი, ასეთი სახელმწიფო, აი, ასეთი კონსტიტუცია მოსპო წითელმა არმიამ იარაღის ძალით და დაამყარა უცხო ერთპარტიული რეჟიმი.

აღვნიშნავთ რა დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის საიუბილეო თარიღს, ვიმედოვნებთ, რომ საქართველო, ქართველი ერი ისევ შესძლებს განახორციელოს ჩვენი ერის ცხოვრებაში უფლებრივი სახელმწიფოს დიადი იდეა, რომლის დედაბოძია ერისა და პიროვნების თავისუფლება, რომლის საფუძველზე შეიქმნა ეს პირველი დემოკრატიული კონსტიტუცია საქართველოს ისტორიაში.

დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციაში ჩამოყალიბებულია სახელმწიფო ძალაუფლების სამ დასაყრდენ ბოძად დანაწილება, რაც საფუძველია უფლებრივი დემოკრატიული სახელმწი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვოსი. სახელმწიფო ძალაუფლების სამად დაყოფა ეყრდნობა უფლებრივი სახელმწიფოს იმ მიზანდასახულობას, რომ სახელმწიფოში აღკვეთილი უნდა იყოს სახელმწიფო ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა; და ამის ყველაზე უფრო ეფექტური გარანტიაა ის, თუ კანონმდებლობის, მმართველობისა და მართლმსაჯულების ორგანოები, — სახელმწიფო ძალაუფლების ეს სამი დედაბოძი — ერთმანეთისაგან გამოყოფილია და ამავე დროს ერთმანეთისა და საზოგადოებრივი, მთელი ხალხის კონტროლის ქვეშაა. შევჩერდეთ დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის იმ მუხლებზე, რომლებიც განსაზღვრავენ — სახელმწიფო ძალაუფლების — სამიდან ერთი დედაბოძის — კანონმდებლობის საკითხს:

„საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანო არის — ნათქვამია დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციაში — საქართველოს პარლამენტი, რომელიც შესდგება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარული და პროპორციული წესისამებრ არჩეული დეპუტატებისაგან... პარლამენტი აირჩევა სამი წლის ვადით". ასეა ნათქვამი დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის 46-ე მუხლში, რომელიც პირველი მუხლია ამ კონსტიტუციის მეოთხე თავისა, რომელიც განსაზღვრავს პარლამენტის, ე. ი. კანონმდებლობის ორგანოს დებულებებს. 53-ე მუხლში კი ნათქვამია: „პარლამენტი გამოსცემს კანონსა, დეკრეტსა და დადგენილებას"; ხოლო 54-ე მუხლში ჩამოთვლილია „პარლამენტის უფლებანი": ა) კანონმდებლობა, ბ) უმაღლესი გამგებლობა რესპუბლიკის ჯარისა და საზოგადოდ ყოველი შეიარაღებული ძალისა, გ) ომის გამოცხადება, დ) დამტკიცება საზავო, სავაჭრო და ამგვარი ხელშეკრულებისა უცხო სახელმწიფოებთან, ე) ამნისტია, ვ) ბიუჯეტის დამტკიცება, ზ) საგარეო საშინაო სესხის აღება, თ) თანამდებობის პირთა არჩევა კონსტიტუციის ან კანონით მისდა მიკუთვნებული, და საერთო კონტროლი აღმასრულებელი ხელისუფლებისა.

ამგვარად, სახელმწიფო ძალაუფლების სამიდან ერთ ამ დედაბოძს — საქართველოს პარლამენტს კონსტიტუციით მინიჭებული აქვს კანონმდებლობითი უფლება და ამავე დროს აღმასრულებელი ორგანოს, ე. ი. მთავრობის საერთო კონტროლი. მაგრამ პარლამენტი არის ხალხის ნება-სურვილის გამომსახველი და ეს რომ ასეა, ამას განსაზღვრავს დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლი, სადაც თქმულია შემდეგი:

„ხელმწიფება ეკუთვნის მთელს ერს. პარლამენტი ამ კონსტიტუციის ფარგლებში ახორციელებს ერის ხელმწიფებას".

მაგრამ ეს „ერის ხელმწიფება" და მის მიერ პარლამენტის კონტროლი არ არის ფიქცია; ამას განსაზღვრავს 64-ე მუხლი, სადაც განსაზღვრულია შემდეგი:

„თუ 30 ათასმა ამომრჩეველმა წერილობით მოითხოვა, პარლამენტი ვალდებულია ახლად მიღებული კანონი სარეფერენდუმოდ ხალხს წარმოუდგინოსო".

ესე იგი, დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუცია უფლებას აძლევდა საქართველოს მოქალაქეებს, თუ ისინი თანახმა არ იყვნენ პარლამენტის მიერ მიღებულ კანონზე, მოეთხოვათ ამ კანონის სარეფერენდუმოდ წარდგენა და ამის უფლება მინიჭებული ჰქონდა 30-ათას კაცს, ამომრჩეველთა ასე სრულიად მცირე ჯგუფს. ამდენი ამომრჩევლის ხელმოწერა კი სრულიად ადვილი საქმე იყო დამოუკიდებელ საქართველოში, ვინაიდან არსებობდა პოლიტიკურ პარტიათა და დაჯგუფებათა სრული თავისუფლება, რის შედეგი იყო ის, რომ საქართველოს პარლამენტში — 1919 წლის ივნისის დემოკრატიული არჩევნების შედეგად — საქართველოს ხალხმა წარადგინა ოთხი პოლიტიკური პარტია—სოციალ-დემოკრატიული, ეროვნულ-დემოკრატიული, სოციალისტ-ფედერალისტური და სოციალურ-რევოლუციური პარტიები. ასეთ პირობებში ყოველ პარტიას სრულიად ადვილად შეეძლო 30-ათასი მოქალაქის ხელმოწერის შეგროვება, თუ ეს პარტია და მოქალაქეთა ჯგუფი მიზანშეწონილად ჩათვლიდა პარლამენტის რომელიმე კანონს. ამგვარად კანონმდებლობის ორგანო — პარლამენტი — საქართველოს მოქალაქეების უშუალო კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა; ხოლო პარლამენტი — თავის მხრივ საერთო კონტროლს უწევდა აღმასრულებელ ორგანოს, ესე იგი მთავრობას.

პარლამენტის წევრები, ე. ი. დეპუტატები კი ითვლებოდა ამომრჩევლების ნება-სურვილის გამომთქმელებად კანონმდებლობის ორგანოში. ამ საკითხს ეხება დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლი, სადაც ნათქვამია:

„პარლამენტის წევრი პასუხისგებაში არ მიეცემა იმ აზრისა და შეხედულებისათვის, რომელსაც ის გამოთქვამს თავის მოვალეობის ასრულების დროს. პარლამენტის წევრის პიროვნება ხელშეუხებელია. არ შეიძლება შეპყრობილი ან სასამართლოში მიცემული იქნეს იგი, ვიდრე პარლამენტის წევრად ითვლება თუ თეით პარლამენტმა ამის ნება არ დართო. გამონაკლისია ისეთის შემთხვევა, როცა დანაშაულის ჩადენაზე მიასწრებენ. ეს შემთხვევა დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს. შეპყრობილი ან სასამართლოში მიცემული პარლამენტის წევრი განთავისუფლებული უნდა იქნას თუ პარლამენტი ამას მოითხოვს".

ასე განსაზღვრავს დეპუტატის ხელშეუხებლობას დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლი. ეს ნიშნავს იმას, რომ დამოუკიდებელ საქართველოს პარლამენტის დეპუტატს სრული უფლება ჰქონდა ყოველი პირისა და ყოველი ორგანოს, თეით მთავრობის თავმჯდომარის ჩათვლით, — კრიტიკისა, — და ამისათვის მას კი არ სჯიან, პირიქით, ეს იყო დეპუტატის მოვალეობა. და ამის შედეგი იყო, რომ საქართველოს პარლამენტში აზრთა სხვადასხვაობა ნორმალურად ითვლებოდა.

ამგვარად, დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის ძალით, საქართველო იყო უფლებრივი სახელმწიფო, სახელმწიფო ძალაუფლება იყო სამ დედაბოძზე დაყრდნობილი: კანონმდებლობა იყო პარლამენტის ხელში, მმართველობა მთავრობის ხელში და მართლმსაჯულება სასამართლოს ხელში. როგორც დავინახეთ, კანონმდებლობის ორგანო — პარლამენტი შესდგებოდა დემოკრატიული გზით არჩეული სხვადასხვა პარტიების დეპუტატებისაგან, რომლებსაც სრული უფლება ჰქონდათ თავისი აზრი ღიად გამოეთქვათ ყველა საკითხზე; ხოლო პარლამენტი იყო საქართველოს მოქალაქეების კონტროლის ქვეშ, ვინაიდან — როგორც 52-ე მუხლშია ნათქვამი — „ხელმწიფება ეკუთვნის მთელ ერს. პარლამენტი, ამ კონსტიტუციის ფარგლებში ახორციელებს ერის ხელმწიფებას".

აი, ასე გამოიყურებოდა დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტი, რომლის უფლებები განსაზღვრული იყო საქართველოს კონსტიტუციაში. მომდევნო ნაწილში გესაუბრებით დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო ძალაუფლების მეორე ორგანოს — აღმასრულებელი ხელისუფლების, ესე იგი მთავრობის უფლებებსა და მოვალეობებზე.

კარლო ინასარიძე

# ნაწილი მეორე:

დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუცია, კანონით განსაზღვრავდა მთავრობის თავმჯდომარის უფლებებსა და მოვალეობას და მის დანიშვნა-გადაყენების წესს. სახელმწიფოს დანარჩენ საქმეთა მართვა-გამგეობა, ამ კონსტიტუციის 73-ე მუხლის ძალით, განაწილებული იყო მთავრობის წევრებს შორის. მთავრობის თითოეული წევრი, ესე იგი მინისტრი, პასუხისმგებელი იყო პარლამენტის წინაშე და უნდა გადამდგარიყო, თუ ესა თუ ის მინისტრი დაკარგავდა პარლამენტის ნდობას.

73-ე მუხლით, მთავრობის თავმჯდომარე პასუხისმგებელია საერთო პოლიტიკისათვის და ვალდებულია დაემორჩილოს პარლამენტის დადგენილებას, აასრულოს იგი და პარლამენტის დადგენილების მიხედვით თუ საჭიროა გამოიცვალოს ცალკე მინისტრი ან გარდაქმნას მთელი კაბინეტი. როგორც ვხედავთ, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა, პარლამენტის სრული კონტროლის ქვეშ, და ამით საქართველოს მოქალაქეების სრული კონტროლის ქვეშ იყო.

მთავრობის უფლება და მოვალეობა კი განსაზღვრულია 72-ე მუხლით: ესაა რესპუბლიკის საქმეთა უმაღლესი მართვა-გამგეობა თანახმად კანონისა, თვალყურის დევნება და აღსრულება კონსტიტუციისა და კანონებისა, დაცვა რესპუბლიკის საგარეო ინტერესებისა, რესპუბლიკის დაცვის უზრუნველყოფა, ფინანსების განაგება, ფულის მოჭრა, ბიუჯეტის აღრიცხვა და სხვა. ყოველწლიურად, ერთხელ მაინც უნდა წარედგინოს პარლამენტს მოხსენება საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობის შესახებ.

დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის 70-ე მუხლი კი, განსაზღვრავს იმ დებულებებს, რომელთა ძალით მთავრობის თავმჯდომარეს ეძლევა უფლება უმაღლესი წარმომადგენლობისა, ე.ი. მთავრობის თავმჯდომარეობისა ამავე დროს არის რესპუბლიკის პრეზიდენტი, როგორც ეს იყო ნოე ჟორდანია დამოუკიდებლობის დროს. მთავრობის თავმჯდომარე ნიშნავს ელჩებს სხვა სახელმწიფოებში და ღებულობს უცხოეთის სახელმწიფოების ელჩებს, განსაკუთრებულ შემთხვევაში შეუძლია მას გამოიწვიოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალა — რაც დაუყოვნებლივ უნდა მოხსენდეს პარლამენტს, მთავრობის თავმჯდომარე გამოსცემს ბრძანებებსა და განკარგულებებს კანონის აღსრულებისათვის, მაგრამ უფლება არა აქვს კანონის მოქმედება შეაჩეროს ან მისი მოქმედება დააბრკოლოს.

დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის ძალით, მთავრობის თავმჯდომარეს უფლება აქვს მოიწვიოს მინისტრებად საქართველოს მოქალაქეები, რომელთაც პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ და მთავრობის წევრებს, ე.ი. მინისტრებს არ შეუძლიათ იმავე დროს, რაიმე სხვა თანამდებობა ეჭიროს ან რომელსამე პროფესიას მისდევდეს — შეეძლო მხოლოდ ყოფილიყო პარლამენტის წევრი და ადგილობრივი თვითმართველობის ხმოსანი.

როგორც ვხედავთ, დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის ძალით, საქართველოს მთავრობა — ეს სახელმწიფო ძალაუფლების სამიდან ერთი ორგანო პარლამენტისა და მართლმსაჯულების გვერდით, იყო კანონმდებლობის ორგანოს, ე.ი. პარლამენტის უშუალო კონტროლის ქვეშ, ხოლო პარლამენტი, თავის მხრივ, იყო საქართველოს მოქალაქეების, ე.ი. ამომრჩევლების უშუალო კონტროლის ქვეშ. თვით პარლამენტი კი შესდგებოდა სხვადასხვა პარტიების დეპუტატებისაგან, რომლებიც დემოკრატიული გზით არჩეულ იყვნენ საქართველოს მოქალაქეების მიერ. ასეთი დემოკრატიული არჩევნები კი საქართველოში ჩატარდა 1919 წლის ივნისში, რის შედეგად საქართველოს პარლამენტში თავიანთი დეპუტატები გაიყვანა ოთხმა დემოკრატიულმა პარტიამ — სოციალ-დემოკრატიულმა, ეროვნულ-დემოკრატიულმა, სოციალ-ფედერალისტურმა და სოციალ-რევოლუციურმა. მაგრამ, პარლამენტსა და მთავრობის ურთიერთ დამოკიდებულებაში ჩარეულია მართლმსაჯულების — სახელმწიფო ძალაუფლების ეს ერთი ორგანოც, რომელსაც განსსაზღვრავს დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის 75-ე მუხლი: „კონსტიტუციის დარღვევისათვის, — ნათქვამია ამ მუხლში — მთავრობის თავმჯდომარე და მთავრობის წევრები პასუხისმგებელნი არიან სასამართლოს წინაშე. მათი პასუხისგებაში მიცემა შეუძლია პარლამენტს, მათი გასამართლება ხდება საერთო წესით“.

აქ კი შეკრულია წრე, რომლის სამი ნაწილია კანონმდებლობის, აღმასრულებელი და მართლმსაჯულების ორგანოები, რაც, როგორც აღვნიშნეთ, დედაბოძებია უფლებრივი სახელმწიფოს ძალაუფლებისა. დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის მეხუთე თავში, ჩამოყალიბებულია დებულებანი სახელმწიფო ძალაუფლების სამიდან ერთი ორგანოს — აღმასრულებელი ორგანოს, ე.ი. მთავრობის უფლებებისა და მოვალეობების შესახებ. დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა იყო რესპუბლიკის პარლამენტის, ე.ი. საკანონმდებლო ორგანოს უშუალო კონტროლის ქვეშ. თვით პარლამენტი კი შესდგებოდა დემოკრატიული გზით არჩეული სხვადასხვა პარტიების დეპუტატებისაგან, რომლებიც — კონსტიტუციის 48-ე მუხლის თანახმად, — პასუხისგებაში არ შეიძლებოდა მიეცათ იმ აზრისა და შეხედულებებისათვის, რომელსაც ის გამოთქვამდა. ესე იგი პარლამენტის წევრებს, სრული თავისუფლება გააჩნდათ გაეკრიტიკებინათ თუ დაეგმოთ ამა თუ იმ პირის თუ სახელმწიფო ორგანოს მოქმედება თვით მთავრობის თავმჯდომარის ჩათვლით. უმაღლესი ხელმწიფება კი ამ კონსტიტუციის ძალით ეკუთვნის მთელ ერს, პარლამენტი, მხოლოდ ამ კონსტიტუციის ფარგლებში ახორციელებს ერის ხელმწიფებას. ამგვარად, დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტი იყო მთელი ერის უშუალო კონტროლის ქვეშ, პარლამენტი კი, თავის მხრივ, კონტროლს უწევდა მთავრობის მოქმედებას. და თუ სახელმწიფო ძალაუფლების ამ ორ ორგანოს, პარლამენტსა და მთავრობას შორის წამოიჭრებოდა სადავო საკითხი, მაშინ წინა პლანზე იწევდა სახელმწიფო ძალაუფლების მესამე ორგანო — სასამართლო, რომლის უფლებებს განსაზღვრავს დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის მეექვსე თავი, რომლის 78-ე მუხლი ამბობს შემდეგს:

„სასამართლო დამოუკიდებელია და მხოლოდ კანონს ემორჩილება“. და რომ ეს დებულება კიდევ უფრო განმტკიცებული იქნას, 79-ე მუხლში ნათქვამია შემდეგი: „სასამართლოს არც ერთი განაჩენი არ შეიძლება გაუქმებული, შეცვლილი ან შეჩერებული იქნეს კანონმდებელი, აღმასრულებელი ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ“.

აქ კი, ზუსტადაა განსაზღვრული სახელმწიფო ძალაუფლების სამი დედაბოძის — კანონმდებლობის, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოების ფუნქციები: არც კანონმდებლობის ორგანოს — პარლამენტს და არც აღმასრულებელ ორგანოს — მთავრობას არ შეუძლია გააუქმოს, შეცვალოს ან შეაჩეროს სასამართლოს განაჩენი. მაგრამ სასამართლოს უფლება კიდევ უფრო ფართოა: 76-ე მუხლის თანახმად, დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორიაზე არსებობს ერთი უმაღლესი სასამართლო — სენატი, რომელსაც ირჩევს პარლამენტი. სენატი მოვალეა; ა) თვალყური ადევნოს კანონის დაცვას, ბ) განაგოს სასამართლო ნაწილი, როგორც საკასაციო სასამართლომ. აქ კი იკვრება სახელმწიფო ძალაუფლების ორგანოების — პარლამენტის, მთავრობისა და სასამართლოს ურთიერთდამოკიდებულებითი წრე, რომლის ფუნდამენტია ის, რომ პარლამენტი აწარმოებს კანონმდებლობას და კონტროლს უწევს მთავრობის მუშაობას, მთავრობა უძღვება ქვეყნის საშინაო და საგარეო საქმეებს, ხოლო სასამართლო, თავის მხრივ, „თვალყურს ადევნებს კანონის დაცვას“ და თუ კანონის დარღვევას ექნება ადგილი, ის ერევა საქმეში, გამოაქვს განაჩენი და სასამართლოს განაჩენის გაუქმების, შეცვლის ან შეჩერების უფლება არა აქვს, არც კანონმდებელ, არც აღმასრულებელ და არც ადმინისტრაციულ ორგანოებს, და ბოლოს, თუ ისევ მოვიგონებთ, რომ პარლამენტი დემოკრატიული გზით არჩეული სხვადასხვა პარტიების დეპუტატებისაგან შესდგება და უშუალოდ ერის კონტროლის ქვეშაა, ვინაიდან უმაღლესი ხელმწიფება მთელ ერს ეკუთვნის 52-ე მუხლის თანახმად, მაშინ ნათელი ხდება, რომ სახელმწიფო ძალაუფლების სამი დედაბოძის — კანონმდებლობის, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოების ურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთდამოკიდებულება ძალა დაწესებული, და მათი უფლებები და მოვალეობანი ძალა ერთმანეთში განაწილებული, რომ არც ერთ ორგანოს არ გააჩნია შესაძლებლობა დაეპატრონოს სახელმწიფოს მთელ ძალაუფლებას, არც იმის გარანტიას იძლევა, რომ უფლებრივ დემოკრატიულ სახელმწიფოში, შეუძლებელია ძალაუფლების ბოროტად გამოყენება. ამის შესაძლებლობას სპობს ძალაუფლების სამად დანაწილება პარლამენტს, მთავრობასა და სასამართლოს შორის.

მაგრამ იმისათვის, რომ სასამართლო, როგორც სახელმწიფო ძალაუფლების სამიდან ერთი ორგანო მთლიანად მართლმსაჯულების სამსახურში ჩადგეს, ამისათვის აუცილებელია მოსამართლეთა უფლებებისა და მოვალეობების ზუსტად განსაზღვრა. დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის თანახმად „მოსამართლე აირჩევა ვადით" და ვინაიდან, 78-ე მუხლით „სასამართლო დამოუკიდებელია და მხოლოდ კანონს ემორჩილება", მოსამართლეც, ნათელია, დამოუკიდებელია და მხოლოდ კანონს ემორჩილება, ამ დებულებებით კი, მოსამართლე სრულიად დამოუკიდებელი პიროვნებაა, რომელიც მხოლოდ-დამხოლოდ კანონს ემორჩილება. კანონს ქმნის პარლამენტი, პარლამენტი კი ერის უშუალო კონტროლის ქვეშაა. მოსამართლის პიროვნებასა და მოღვაწეობას განსაზღვრავს 83-ე მუხლი, სადაც თქმულია: „არ შეიძლება სასამართლოს წევრის ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანა მისი სურვილის წინააღმდეგ, გარეშე სასამართლოს დადგენილებისა. თანამდებობიდან მისი დროებით გადაყენება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა სასამართლოში ან გამოძიებაში არის მიცემული. სრულიად დათხოვა კი შეიძლება სასამართლოს განაჩენის ძალით".

დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის ამ მუხლის ძალით, მოსამართლის, სასამართლოს წევრის პიროვნება დაცულია ისე, რომ ის ხელშეუხებელია და სასამართლოს დადგენილებით ან განაჩენით შეიძლება გადაყენებულ იქნეს დროებით ან დათხოვილ იქნას. ამგვარად, მოსამართლე სახელმწიფო ძალაუფლების სამიდან ერთი ორგანოს სასამართლოს გამგებელია, რომელიც თავისუფლად ადევნებს კანონის დაცვას და განაგებს მართლმსაჯულებას.

ახლა მსურს შევეხო დამოუკიდებელ საქართველოს კონსტიტუციის იმ დებულებებს, რომლებიც განსაზღვრავენ მოქალაქის უფლებებს. მოქალაქის უფლებანი ჩამოყალიბებულია ამ კონსტიტუციის მესამე თავში, რომელიც შესდგება 30 მუხლისაგან. ამ დებულებებიდან გავარჩიოთ ის მუხლები, რომლებიც განსაზღვრავენ სიტყვის, ბეჭდვის ან სხვა საშუალებით აზრის გამოთქმის საშუალებას. მოქალაქის უფლებებიდან, პირველყოვლისა ჩვენ იმიტომ გვსურს ამ საკითხებს შევეხოთ, რომ სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლება, ან სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პრესის თავისუფლება და ამით პრესა საერთოდ დემოკრატიულ სახელმწიფოებში, როგორც მას უწოდებენ, სახელმწიფო ძალაუფლების "მეოთხე ორგანოა" კანონმდებლობის, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოების გვერდით. და მართლაც, პრესა, თუ ის თავისუფალია, ხალხის, საზოგადოების, ერის და ცალკეული პიროვნების ტრიბუნაა, რომლითაც ხალხი, ერი, საზოგადოება, ცალკეული მოქალაქე არა მარტო გავლენას ახდენს სახელმწიფო ძალაუფლების სამი დედაბოძის კანონმდებლობის, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოებზე, არამედ ამ ორგანოების გვერდით, ხელს უწყობს უფლებრივი სახელმწიფოს პრაქტიკულ განხორციელებას სახელმწიფოს ცხოვრებაში. და რა გასაკვირია, რომ დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუცია, ზუსტად განსაზღვრავს და აყალიბებს სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლების ძირითად პრინციპებს.

„ყოველ მოქალაქეს — ნათქვამია ამ კონსტიტუციის 32-ე მუხლში — აქვს უფლება სიტყვის, ბეჭდვის ან სხვა რაიმე ღონისძიებით თავისი აზრები გამოთქვას და გაავრცელოს მთავრობის წინაშე ხელშეუხებლად. ყოველი დანაშაულისათვის, რომელსაც იგი ასეთ შემთხვევაში ჩაიდენს, პასუხს აგებს სასამართლოს წინაშე".

31-ე მუხლი კი, უფრო განმარტავს ამ უფლებას, სადაც სხვათა შორის, თქმულია შემდეგი:

„ყოველი მოქალაქე სინდისის სრული თავისუფლებით სარგებლობს. მოქალაქის დევნა და მისი პოლიტიკური თუ სამოქალაქო უფლებათა შეზღუდვა სარწმუნოების ან რწმენის გამო არ შეიძლება".

აქ, მართლაც ჩამოყალიბებულია დებულებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლებას. მაგრამ, თქვენ, პატივცემულო მსმენელებო, შეიძლება მაინც შეგვეპაროთ ეჭვი დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის ამ დებულებების ქმედითობაში, ვინაიდან საბჭოთა საქართველოსა და საბჭოთა კავშირის კონსტიტუციებშიც აღიარებულია—მაგალითად, საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციის 138-ე მუხლით — სიტყვის თავისუფლება, ბეჭდვის თავისუფლება როგორც ამ სტატიაში წერია — „სოციალისტური წესწყობილების განმტკიცების მიზნით". და აქ არის სწორედ ფუნდამენტალური განსხვავება: საბჭოთა საქართველოს კონსტიტუცია ყველაფერს კრძალავს, რაც ე.წ. „სოციალისტური წეს-წყობილების განმტკიცების მიზნებს" არ ემსახურება. და თუ რა არის, რას წარმოადგენს ეს „სოციალისტური წეს-წყობილების მიზნები", ამას განსაზღვრავს „ცენტრის" პარტხელმძღვანელობის სათავეში მდგომი პირი. ხოლო საბჭოთა საქართველოს მოქალაქეების სიტყვისა და ბეჭდვის უფლება გამოიხატება იმაში, ხოტბა შეასხას დღეს, ვთქვათ, ლეონიდ ბრეჟნევის ყოველ აზრს, ისე როგორც წარსულში ხდებოდა ლენინის, სტალინის თუ ხრუშჩოვის ყოველი ბანალური გამოთქმის ხოტბის შესხმა. და ასეთ შემთხვევაში, რომ საერთოდ არ შეიძლება ლაპარაკი სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლებაზე, ეს თქვენ კარგად იცით, პატივცემულო მსმენელებო, და ყოველდღიურად ხედავთ გაზეთ „კომუნისტის" თუ სხვა პრესის ორგანოებში. დიამეტრალურად სხვაა დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის 32-ე მუხლის დებულება სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლების შესახებ. დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუცია არ ყოფილა ჰაერში აგებული ძირითადი დებულებანი, არამედ გამოსახავდა დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს რაობას, რომელიც არსებობდა 1918-21 წლებში. და გარანტია საქართველოს მოქალაქის სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლებისა იყო მაშინდელი რეალური მდგომარეობის აღნუსხვა.

**კარლო ინასარიძე**

# წერილი მესამე:

მაგალითად, დამოუკიდებელ საქართველოში 1918-21 წლებში არსებობდა ნამდვილი დემოკრატიული პრესა, რომელიც გამოხატავდა მაშინდელი საქართველოს პლურალისტური საზოგადოების ყოველი კლასის, ყოველი ფენის, ყოველი პროფესიის აზრებს. მაშინ საქართველოში არსებობდა 12 პოლიტიკური პარტია და დაჯგუფება, ყოველ მათგანს ჰქონდა თავისი საკუთარი გაზეთები, ჟურნალები და ღიად გამოთქვამდნენ თავიანთ აზრს ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სოციალურ მდგომარეობაზე. საქართველოს პარლამენტში საქართველოს ამომრჩევლებმა წარადგინეს ოთხი პარტიის — სოციალ-დემოკრატების, სოციალისტ-ფედერალისტების, ეროვნული დემოკრატებისა და სოციალისტ-რევოლუციონერების დეპუტატები, რომლებიც ხშირად სხვადასხვა აზრის იყვნენ ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხზე; და რა გასაკვირია, რომ ეს აზრები, შესაფერი კომენტარებით და დოკუმენტაციით ქვეყნდებოდა ამა თუ იმ პარტიის პრესაში, რითაც ყოველი საკითხი ღიად, საჯაროდ იხილებოდა მთელი ერის,

მთელი მოსახლეობის წინაშე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციაში აღბეჭდილი იყო მოქალაქის სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლების დებულება, რაც

იყო მაშინდელი საქართველოს რეალური მდგომარეობის სარკე. ასეთ შემთხვევაში კი მოქალაქის სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლება ფიქცია კი არ არის, როგორც ამას აქვს ადგილი საბჭოთა საქართველოს ერთპარტიულ სისტემაში, არამედ მოქალაქის სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლება ქმედობაშია, ესე იგი პრაქტიკაში, ყოველდღიურ ცხოვრებაშია განხორციელებული. ეს კი არის სიტყვისა და ბეჭდვის ნამდვილი თავისუფლება; და ასეთ თავისუფალ პრესას მართლაც რომ შეიძლება ეწოდოს უფლებრივ, დემოკრატიულ სახელმწიფოში სახელმწიფო ძალაუფლების „მეოთხე ძალა“, „მეოთხე ორგანო“, — როგორც ამას ამბობენ ხოლმე დემოკრატიულ სახელმწიფოებში. ახლა შევეხებით იმ მუხლებს, რომლებიც ეხება მოქალაქეთა მიმოსვლის თავისუფლებას.

დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის მესამე თავში ჩამოყალიბებულია მოქალაქეთა უფლებანი, რომელთა შორის მუხლი 30-ე ეხება მიმოსვლის თავისუფლებას.

„ყოველი მოქალაქე, — ნათქვამია ამ სტატიაში, — მიმოსვლისა და ბინადრობის არჩევაში სრულიად თავისუფალია; ამ უფლების შეზღუდვა მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება“.

ასეა ნათქვამი დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლში, რაც საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლებას აძლევდა საქართველოს დამოუკიდებლობის დროს — 1918-21 წლებში — თავისი სურვილისამებრ ემოგზაურა საქართველოს ტერიტორიაზე თუ საზღვარგარეთ და თავისი სურვილით აერჩია თავისი საცხოვრებელი ბინა-ადგილი. ეს მუხლი მართლაც რომ მეტად დიდი მნიშვნელობის იყო არა მარტო იმ დროს, ე. ი. 1918-21 წლებში, ანუ 50 წლის წინათ, არამედ ეს დებულება მეტად აქტუალურია დღესაც — 50 წლის შემდეგ, (ნაშრომი დაწერილია 1971 წელს, გ. შ) ვინაიდან დღეს საბჭოთა საქართველოს მოქალაქეებს, ისე როგორც საბჭოთა კავშირის სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მოქალაქეებს—სწორედ მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის თავისუფლება არ გააჩნიათ. დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციისა და 30-ე მუხლის უდიდეს მნიშვნელობას ღაღადებს აგრეთვე ისიც, რომ „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში, — რომელიც 1948 წლის 10 დეკემბერს მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ და რომელსაც სხვათა შორის საბჭოთა კავშირის მთავრობამაც მოაწერა ხელი, — დემოკრატიული საქართველოს კონსტიტუციის მიღებიდან 27 წლის შემდეგ ჩამოყალიბებულია მიმოსვლის თავისუფლების დებულებანი:

„ყოველ ადამიანს, — ნათქვამია „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ მე-13 მუხლში, — აქვს უფლება თავისუფალი მიმოსვლისა და თავისი საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევისა ყოველ სახელმწიფოში.

ყოველ ადამიანს უფლება აქვს დატოვოს ყოველი სახელმწიფო, თავისი საკუთარი სახელმწიფოს ჩათვლით. და დაბრუნდეს თავის ქვეყანაში“.

ასეა ნათქვამი „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში“, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიამ მიიღო 1948 წლის 10 დეკემბერს, ე. ი. დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის მიღებისა და დამტკიცების დღიდან 27 წლის შემდეგ. აქედან კი ნათლად ჩანს, თუ როგორი შორსმჭვრეტელობით, როგორი ჰუმანურობით იყვნენ გამსჭვალული დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის შემქმნელები, როცა იმუშავებდნენ და როცა მიიღეს და დაამტკიცეს ეს კონსტიტუცია.

გავარკვიეთ რა მოქალაქის უფლებები დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე. წინა საუბრებში ჩვენ შევეხეთ პრესის თავისუფლებასა და მიმოსვლის თავისუფლებას. ახლა მსურს გესაუბროთ დემონსტრაციის უფლებებზე ამ კონსტიტუციის. ესე იგი დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის ძალით, რომელიც მოქმედებდა საქართველოში 1918-21 წლებში, საქართველოს დამოუკიდებლობის დროს.

დემონსტრაციის თავისუფლებას განსაზღვრავს დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის 33-ე მუხლი, სადაც ნათქვამია შემდეგი:

„საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთ უფლება აქვთ მთავრობის ნებადაურთველად შეიკრიბონ საჯაროდ და უიარაღოდ როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ..

37-ე მუხლი კი განსაზღვრავს:

„პირადი და კოლექტიური პეტიციის უფლება უზრუნველყოფილებას“.

აქ, ამ ორ მუხლში განსაზღვრულია მოქალაქეთა უფლებანი, რომელთა ძალით დამოუკიდებელი საქართველოს მოქალაქეებს უფლება ჰქონდათ მთავრობის ნებადაურთველად თავი შეეყარათ ქუჩებში. მოედნებზე თუ სხვაგან ისე, როგორც ჭერქვეშ და თავიანთი აზრი გამოეთქვათ ერის, სახელმწიფოს, საქართველოს ყოველ საჭირბოროტო საკითხზე. მოქალაქეებს ენიჭებოდათ პირადი და კოლექტიური პეტიციის უფლება, ესე იგი მათ შეეძლოთ პეტიციის სახით თავიანთი აზრი ეცნობებინათ მთავრობის ორგანოებისათვის და მოეთხოვათ ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხზე პასუხი.

ერთადერთი შეზღუდვა გამოიხატებოდა იმით, რომ საჯარო შეკრება გარეთ თუ ჭერქვეშ უნდა ჩატარებულიყო უიარაღოდ, რაც სრულიად შეესაბამება დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის ძირითად დებულებებს, ვინაიდან საქართველოს მოქალაქეთა უზენაესობა, როგორც ეს აღვნიშნეთ საქართველოს პარლამენტის, ე. ი. კანონმდებლობის ორგანოს გარჩევისას, — ერის უზენაესობა, ერის ხელმწიფება უზრუნველყოფილია 52-ე მუხლის ძალით და პარლამენტი ამ კონსტიტუციის ფარგლებში ახორციელებს ერის ხელმწიფებას. და თუ პარლამენტი მიიღებს ისეთ კანონს, რომელიც არ შეესაბამება ერის ინტერესებს, საქართველოს მოქალაქეების ინტერესებს, მაშინ — ამ კონსტიტუციის 64-ე მუხლის ძალით — 30 ათას ამომრჩეველს შეუძლია წერილობით მოსთხოვოს პარლამენტს, რომ ეს კანონი სარეფერენდუმოდ წარუდგინოს ხალხს. ამგვარად, მოქალაქეებს სრულიად ლეგალური საშუალება გააჩნიათ უშუალო მონაწილეობა მიიღონ კანონის შექმნაში და ამის შედეგად სრულიადაც არ არის საჭირო გარეთ თუ ჭერქვეშ მოქალაქეთა იარაღით შეკრება, მით უმეტეს, რომ ამ კონსტიტუციის 37-ე მუხლის ძალით უზრუნველყოფილია პირადი და კოლექტიური პეტიციის უფლება.

ამიტომ დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ „თუ კრებამ დანაშაულის ხასიათი მიიღო, ადმინისტრაციას შეუძლია დაშალოს იგი“. ტერმინ „დანაშაულში“ აქ იგულისხმება, რა თქმა უნდა, სისხლის სამართლის დანაშაული და არავითარ შემთხვევაში სიტყვის, ბეჭდვის თავისუფლების შეკვეცა. აკი დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის 32-ე მუხლი ამბობს, რომ ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს სიტყვით, ბეჭდვით ან სხვა რაიმე ღონისძიებით თავისი აზრები გამოთქვას და გაავრცელოს მთავრობის წინასწარი ნებართვის გარეშე. და აქ ნათლად არის ნათქვამი, რომ მოქალაქეთა სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლება, ე. ი. თავისი აზრების გამოთქმის უფლება ყოველი საშუალებით უზრუნველყოფილია თავშეყრის დროს გარეთ თუ ჭერქვეშ. პრაქტიკულად ეს ნიშნავს იმას, რომ დამოუკიდებელ საქართველოში მოქალაქეებს უფლება ჰქონდათ თავი შეეყარათ ქუჩებში და ჭერქვეშ და გაეკრიტიკებიათ თუ დაეგმოთ მთავრობის ან რომელიმე ორგანიზაციის თუ რომელიმე პირის მოქმედება და ამისათვის მათ არავითარი შევიწროება თუ სასჯელი არ ელოდათ. ეს უფლებები გარანტირებულია კონსტიტუციით. აქ კი ნათელი ხდება, თუ რა დიდი განსხვავებაა დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციასა, დამოუკიდებელი საქართველოს რეალურ მდგომარეობასა და საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციასა და საბჭოთა საქართველოს რეალურ მდგომარეობას შორის.

საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციის 139-ე მუხლშიც გარანტირებულია „კრებებისა და მიტინგების თავისუფლება“ და „ქუჩებში სვლისა და დემონსტრაციის თავისუფლება“, მაგრამ ყველაფერი ეს ნებადართულია მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როცა ეს კრებები და მიტინგები, სვლა თუ დემონსტრაციები „შეესაბამება მშრომელების ინტერესებს“; ხოლო თუ რა შეესაბამება მშრომელთა ინტერესებს, ამას

განსაზღვრავს „ცენტრის", კომპარტიის ცეკას სათავეში მდგომი პირის დიქტატორული წესით. და საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციის ეს ფიქტიური უფლება ჩვენ, ქართველებს მეტად ძვირად დაგვიჯდა, მეტადრე 1956 წელს, როცა საქართველოს სტუდენტობისა და მუშა ახალგაზრდების მშვიდობიანი დემონსტრაციები სისხლში ჩაახშო პარტხელმძღვანელობამ და იარაღით გაუმასპინძლდა ახალგაზრდებს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი ახალგაზრდები არ დაეთანხმა „ცენტრის", პარტხელმძღვანელობის პოლიტიკას და გამოთქვა თავისი საკუთარი აზრი, რომელიც ჩვენი ერის უფლებების დაცვასაც შეიცავდა. და ვინაიდან „ცენტრისა" და საქართველოს პარტხელმძღვანელობა ვერ იტანს, არ უშვებს სხვა აზრს, თუ არა მხოლოდ და მხოლოდ „ცენტრის" მმართველისას, სისხლში ჩაახშო სტუდენტთა და ახალგაზრდა მუშათა მშვიდობიანი დემონსტრაცია თბილისის ქუჩებში. აი ასე ესმის პარტხელმძღვანელობას კრებისა და მიტინგების, ქუჩებში სვლისა და დემონსტრაციების თავისუფლება. პარტხელმძღვანელობისათვის კრებისა და მიტინგების თავისუფლება, ქუჩებში სვლისა და დემონსტრაციების თავისუფლება მხოლოდ და მხოლოდ მაშინაა უზრუნველყოფილი, თუ კრების, მიტინგების თუ დემონსტრაციების მონაწილენი ხოტბას შეასხამენ პარტხელმძღვანელობის მიხვეულ-მოხვეულ და ხშირად სრულიად ულოგიკო აზროთა აკრობატიკას. და ეს რომ კრებისა და დემონსტრაციის თავისუფლება არ არის და არც შეიძლება ეწოდოს — ეს თქვენ კარგად იცით, პატივცემულო თანამემამულენო.

დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციით კი საქართველოს მოქალაქეებს ჰქონდათ თავშეყრის სრული თავისუფლება როგორც გარეთ, ისე ჭერქვეშ მთავრობის ნებადაურთველად; და ამგვარი შეკრების დედააზრი სწორედ ის იყო, რომ მოქალაქეებს ამ გზითაც გამოეთქვათ თავიანთი აზრი ერის, ქვეყნის ყოველ საჭირბოროტო საკითხზე და კრიტიკის ქარცეცხლში გაეტარებინათ თვით მთავრობაც, მთავრობის ორგანოებიც, საზოგადოებრივი ორგანიზაციებიც, პარტიები თუ ცალკეული პასუხისმგებელი პირებიც. და მოქალაქეთა ეს უფლება ხორციელდებოდა პრაქტიკულად, ესე იგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, „დემოკრატია იყო მოქმედებაში". აი ასეთი კონსტიტუცია გაუქმდა ჩვენი ერის ცხოვრებაში, მაშინ, როცა წითელმა არმიამ 1921 წლის თებერვალ-მარტში დაიპყრო და რუსეთის პროვინციად აქცია დამოუკიდებელი საქართველო.

კარლო ინასარიძე

# საქართველოს კონსტიტუციის ზოგიერთი ასპექტის ინტერპრეტაციის ცდა





# პ უ ბ ლ ი ც ი ს ტ ი კ ა

## ორჯონიკიძე-მახარაძეთა მემკვიდრეები?..

### მიმოხილვა

I.

ჯერ ფაქტები, ფაქტები, მხოლოდ ფაქტები?..

1. "ჩვენ, დღეს კრემლის უზარმაზარი საინფორმაციო მანქანა გვიპირისპირდება... სამწუხაროდ, ამაში მას პირველ რიგში ხელს ჩვენივე გადაგვარებული ქართველები უწყობენ როგორც აქ, ასევე საზღვარგარეთ. აქ ვისაც ვგულისხმობ, თქვენ კარგად იცით..., ხოლო უცხოეთში მათი აგენტურა ჯანრი კაშიას, რამაზ კლიმიაშვილის და სხვა ვაჟბატონების სახით. ისინი ლანძღავენ პარლამენტს, აქებენ კონგრესს... პარლამენტში თითქოს ფალსიფიკაციის გზით შევიდა ხალხი, არ ყოფილა არავითარი არჩევნები, რომ საარჩევნო კანონი არასრულყოფილია და სხვა. ყოველივე ამას რომ რუსი ამბობს 'კრასნაია ზვეზდაში', არ გეწყინება, რადგან ეს ბუნებრივია. მაგრამ ქართველი როგორ უნდა დაკნინდეს იმდენად, რომ მის ქვეყანაში პირველად ჩატარებული დემოკრატიული, თავისუფალი არჩევნების შედეგები უცხოეთიდან ლანძღოს და მოთხაროს. ამას, არც ერთი ერი არ აკეთებს. მაგალითად, სომხეთში ასეთი მოღვაწეები რომ გამოჩნდნენ, სახალხოდ ჩამოახრჩობენ. ამგვარი მოღვაწე არც ერთ ერს არა ჰყავს. ამით სარგებლობენ კრემლი და მისი პროპაგანდა. "თავისუფლების" ქართული რედაქცია საქართველოს მტრების ხელშია, და რატომღა გიკვირთ, რომ გამოდის უცხოელი და ამდაგვარს წერს. რომ შეეკამათოთ, იმ წუთში ქართველებზე მიგვითითებენ - ამათ თქვესო. როგორც ამბობენ, ციხე შიგნიდან ტყდება. მართალია, კრემლის დეზინფორმაციის მანქანა ძლიერია, მაგრამ მას ჩვენივე მოღვაწეები უწყობენ ხელს."
(ზვიად გამსახურდიას განცხადებიდან პრესკონფერენციაზე, თბილისში, 1991 წლის 2 თებერვალს. "საქართველოს რესპუბლიკა", ნომერი 24-44, 5.2.1991 წ.).

II.

2. "...საზღვარგარეთ ძალიან ძლიერია მოსკოვი - საბჭოთა საელჩოები, მათი აგენტურა, ტერორის გზითაც კი გვებრძვის. მაგალითად, ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრი ძალიან საეჭვო გარემოებაში მოიწამლა იტალიაში. იმავე დილას მანქანაც დაუმტვრიეს. ჩვენ არ ვამტკიცებთ, რომ ეს მაინცდამაინც მოსკოვის გაკეთებულია, მაგრამ ძალიან საეჭვო მდგომარეობაში მოხდა. არა მგონია, რომ პროდუქტების საქმე იტალიაში ისევე იყოს, როგორც ჩვენში, რომ გაფუჭებული პროდუქტები მიიტანონ სამთავრობო სუფრაზე. ჩვენი იქაური მომხრეები, ტერორიზებული არიან, შევიწროებულნი არიან - მათ არავითარი მხარდაჭერა არა აქვთ. ეს აგენტურა კი ყოველგვარი მხარდაჭერით სარგებლობს. ეს დასავლეთის დახუხტების შედეგია". (ზვიად გამსახურდია; იქვე).

III.

3. "ე.წ. სამხრეთ ოსეთში სიტუაცია დაძაბულია, რადგან ჩვენ გვებრძვიან არა მხოლოდ ოსი ექსტრემისტები, არამედ საბჭოთა ჯარიც. იქ არის სამხედრო სარაკეტო ბაზა, საიდანაც ოსი ექსტრემისტები სისტემატურად მარაგდებიან საბრძოლო რაკეტებით. აქ, კადრის ოფიცრები რატომღაც ძირითადად ოსები არიან. ასევე სერჟანტებიც და ჯარისკაცებიც. რატომ მოხდა ეროვნული ნიშნის მიხედვით მათი თავმოყრა, ალბათ, ძნელი გასაგები არ არის. ისიც აღსანიშნავია, რომ მათი ლიდერები ხშირად ამ ბაზაში იმალებოდნენ. უფრო მეტიც, ბაზა, თავის ოფიციალურ რეზიდენციად გახადეს. იქ ღებულობდნენ ჟურნალისტებს, ე.ი. როდესაც ვინმეს უნდოდა კულუმბეკოვის ან ჩოჩიევის ნახვა, მიდიოდა ამ ბაზაში და იქ ხვდებოდა. აქედან განსაჯეთ, თუ ვის ვებრძვით. მივმართეთ ამიერკავკასიის ჯარების სარდალს პატრიკეევს. ის თითქოს დამპირდა საქმის მოწესრიგებას, მაგრამ ჩემი წერილის შემდეგ ორი ჯავშანტრანსპორტიორი შეიჭრა სოფელ ერედვში და ქართველ მოსახლეობას სანადირო თოფები ჩამოართვა. ე.ი. ნამდვილი ომია. საბჭოთა ჯარისათვის ოსი ექსტრემისტები დაქირავებული აგენტები არიან. ამიტომ საბოლოო გამარჯვებას ვერ მივაღწიეთ."(ზ.გ., იქვე).

IV.

4."ჩრდილოეთში ალაგირთან დაბანაკებულია გენერალი ცოკოლოვი, რომელიც დივერ-სანტებს გზავნის ჩვენს ტერიტორიაზე. ისინი შეიარაღებული არიან არაჩვეულე-ბრივად, თანამედროვე ტექნიკით. ამის დამტკიცება კი ჩვენთვის ძალიან ძნე-ლია. ხელმძღვანელობა ამბობს, თითქოს ეს მომდინარეობს ცალკეული ჯარისკაცე-ბისა და ოფიცრებისაგან. ვითომ ეს მოსკოვიდან არ მოდის - სინამდვილეში კი ყველაფერი სწორედ იქიდან მომდინარეობს, რაც კრემლმა ლიტვაში გააკეთა ერო-ვნული ხსნის კომიტეტის სახელით, აქ იმას აკეთებს ოსი ექსტრემისტების ხე-ლით. სცენარი იგივეა. ამის შესახებ ტელეგრამა გავუგზავნე გორბაჩოვს, თუ არ შეწყდება ასეთი მოქმედება, მე ვამხელ მათ მთელი მსოფლიოს წინაშე. ჯერ-ჯერობით პასუხი არ არის." (ზ.გ.,იქვე).

V.

5."არაფრის დათმობას არ ვაპირებთ. პირიქით, უფრო გავამკაცრებთ ზომებს ოსი ექსტრემისტების მიმართ. გავაძლიერებთ მხილების კამპანიას - ყველას დავა-ნახვებთ, რომ ეს არის პირდაპირი ალიანსი მოსკოვთან. ამან შეიძლება დიდე-ბითი ნაყოფი გამოიღოს. თუ იმას მივაღწიეთ, რომ ჯარი ჩამოვაშორეთ, ექსტ-რემისტებს იოლად მოვერევით." (ზ.გ.,იქვე).

VI.

6."ქალაქ ცხინვალის ტერიტორიაზე განლაგებულია სსრ კავშირის თავდაცვის სა-მინისტროს საინჟინრო საჯარისო ნაწილი ნომერი 47913. ჩვენი ცნობებით, ამ ნაწილის ოსი ეროვნების სამხედრო მოსამსახურენი: პოდპოლკოვნიკი მ.ვ.კოჩი-ევი - მეთაურის მოადგილე პოლიტნაწილში, აგრეთვე სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ნომერი 61902 საპაერო-სადესანტო პოლკის სამხედრო მოსამსახუ-რენი პ.ხაჩიროვი, ო.ფუხაევი, ს.ბიჩეკოევი, ვ.ჯიოევი, ა.ალბოროვი, ო.გიგოლაევი, რ.ვალიევი, ე.დათიკაევი, რ.ჯიოევი, ა.ბოსტაევი და ბ.ჯიოევი შეთქმულნი არიან ექსტრემისტთა ბანდებთან, რომლებიც ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მოქმედებენ, და ამარაგებენ მათ რაკეტული იარაღით და ტყვია-წამლით... სეპარატისტთა ლიდერები მ. კოლუმბეკოვი და ა.ჩოჩიევი ხში-რად აფარებენ თავს ამ სამხედრო ბაზას.

ყოველივე ზემოთქმულის გამო, დაბეჯითებით გთხოვთ, კანონის შესაბამი-სად პასუხისგებაში მისცეთ ზემოთხსენებული სამხედრო მოსამსახურენი და სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს წინაშე აღძრათ ამ ბაზის სხვაგან გა-დატანის საკითხი..."

"პოსტ სკრიპტუმ:....ასე რომ, როგორც ხედავთ, ჯარი ჩვენი მოსახლეობის და მილიციის წინააღმდეგ ომობს. ამიტომ გადავწყვიტე ჩვენს მიმოწერას ღია ხა-სიათი მივანიჭო და ეს აღმაშფოთებელი ფაქტები მსოფლიო საზოგადოებრიობას ვაუწყო." (ღია წერილი.ზვიად გამსახურდია ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალ - ვ.ო.პაცრიკეევისადმი. გაზეთი"საქართველოს რესპუბლიკა", თბილისი, 1991 წლის 5 თებერვალი.ამონაწერები).

VII.

7. "ეს ერთი ხანია, დასავლეთის რადიოსადგურების, განსაკუთრებით კი რადიო "თავისუფლების" რუსული რედაქციის გადაცემებში, საგრძნობლად მომრავლდა სა-ქართველოდან თვით ქართველი კორესპონდენტების მიერ მიწოდებული მასალები, რაც, ერთი შეხედვით, მისასალმებელ ფაქტადაც კი შეიძლებოდა ჩაგვეთვალა, თუ საქმე გვექნებოდა ნამდვილად ობიექტურ..., საქართველოს ინტერესებით ნაკარ-ნახევ ინფორმაციასთან და არა ნებსით თუ უნებლიე დეზინფორმაციასთან..."
"ამჯერად ერთ-ერთ ასეთ ფაქტზე მინდა გიამბოთ, რომელიც 22-23 იანვარს(1991 წელი) ღამით მოვისმინე....გადაცემა...მიჰყავდა რადიო"თავისუფლების" რუსუ-ლი რედაქციის...დიქტორს კონსტანტინე ნადირაშვილს... რადიოსიუჟეტის ავტო-რი კი, როგორც წამყვანმა გვაუწყა, გახლდათ რადიო"სვობოდას" თბილისელი კო-რესპონდენტი ირინე კოტარია... უნდა ვიგულისხმოთ, რომ ქალბატონი ირინე ერთი იმათთაგანია,რომლებიც...რუსული აზრის საბჭოური "პროდუქტებია"...
"...რადიო "სვობოდას" მიკროფონთან იყო ორი ქართველი - კონსტანტინე ნა-დირაშვილი და ირინე კოტარია...თუმცა,უკაცრავად,ირინე კოტარია(თუ ასეთი ადამიანი საერთოდ არსებობს.კ.ი.) მიკროფონთან როგორ იქნებოდა, ის ამ დროს თბილისში იყო..." გადაცემა "შიდა ქართლის მიმდინარე მოვლენებს ეხებოდა და რომელსაც ვიღაც დიქტორი ქალი კითხულობდა."
"ერთი სიტყვით, იმ დროს, როცა ოსი ექსტრემისტების მიერ ორგანიზებული ოსუ-

რი "აგიტბრიგადები" მთელ იმპერიას არიან მოდებული...,ხოლო ცენტრალური პრე-
სა, რადიო და ტელევიზია ყოველდღე ერთმანეთს ეჯიბრებიან ახალ-ახალი პროოსუ-
რი- ანტიქართული დეზინფორმაციების გავრცელებაში...,ქართველები,.." კრემლის
ბრმა იარაღის - ოსი-ექსტრემისტების ქება-დიდებაში არიან. ქალბატონი ირინე
იმეორებს ერთი ოსი-ექსტრემისტის(ნამდვილ თუ ყალბ) გამონათქვამს:
- "წავიდეს აქედან ქართული მილიცია და ცხინვალში ერთი ტყვიაც აღარ გავარ-
დება! შესრულონ პრეზიდენტის ბრძანება, წესრიგს შინაგანი ჯარებიც კარგად
დაიცავენ. ქართველებს კავშირიდან გასვლა უნდათ, კი, ბატონო, მიბრძანდნენ,
ჩვენ არ გავდივართ კავშირიდან, არ გვინდა გასვლა,მალაა?!.." ვაი, უბედურე-
ბავ, რომ ქალბატონი ირინე,როგორც ჩანს, შიდა ქართლს ქართველების სამშო-
ბლოთ აღარა თვლის!?..
და ამ შენიშვნას დურმიშხან გრიგოლაშვილი, შემდეგი სიტყვებით ამთავრებს:
"ცული რას დამაკლებდა, ჩემივე ჯილაგი ტარად რომ არ ეგოსო!"("გაზეთი"სა-
ქართველოს რესპუბლიკა",8 თებერვალი, 1991 წელი, ნომერი 25-45).

VIII.

8. "ჰაერ ში ღალატის სუნი ტრიალებს" - ასეთი სათაური აქვს 1991 წლის 9 თებერ-
ვლის გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკის" მთელ პირველ გვერდს, სადაც ბატონი
ელიზბარ ჯაველიძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენ-
ტი, ეხება საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიისა და მისი პირველი მდივნის
ავთანდილ მარგიანის მიღვაწეობას. აღნიშნავ აგრეთვე, რომ სსრკ-ას კომპარ-
ტიამ საქართველოს "დამოუკიდებელ" კომპარტიას 10-ი მილიონი მანეთი გამოუყო,
და,სხვათა შორის, წერს:
"...ქართველი კომუნისტები ლამაზი თვალებისათვის დაასაჩუქრა კრემლმა?! ვფი-
ქრობ, არა. ასე აფინანსებენ "დივერსიულ ჯგუფებს" მტრის ზურგში საბრძოლ-
ველად... მორალურად უფრო სამინელი და შემზარავია,როცა შენიანი გყიდის..."
"...როცა, იმპერიის ცენტრიც შეეცდება, რომ სხვა არაქართველ მოსახლეობასთან
ერთად ქართველებიც გამოიყენოს თავისი ბნელი საქმეების განსახორციელებლად."

IX.

9. "საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნების მოსახლეთა შორის
რუსული მოსახლეობა ერთ-ერთი მრავალრიცხოვანია და ყველანაირი პირობები აქვს
საკუთარი ეროვნული სულიერი კულტურის გამოსახატავად. სწორედ ამან განაპირო-
ბა ის კეთილგანწყობილი თანაარსებობა, რომელიც დღემდე გრძელდება. მაგრამ,
როგორც ჩანს, ეს ურთიერთობა ხელს არ აძლევს ცენტრალურ ხელისუფლებას და
ცდილობს პროვოკაციების გზით ეთნოკონფლიქტის ახალი კერა შექმნას. ამ იდეას
ემსახურება გაზეთ "იზვესტიაში"(7 თებერვალი) გამოქვეყნებული...დეპეშა
"რუსულენოვანი მოსახლეობა დახმარებას ითხოვს",სადაც ქართველობას ბრალს
სდებენ რუსულენოვანი მოსახლეობის გენოციდში...სპეკულირებენ რა ტერმინით
"რუსულენოვანი" ცდილობენ გაამძაფრონ არსებული პოლიტიკური ვითარება საქარ-
თველოში..." (საქართველოს უზენაესი საბჭოს პრესცენტრი. გაზეთი "საქარ-
თველოს რესპუბლიკა",12 თებერვალი, .1991 წელი).

X.

10."ალბათ,ვერავინ ვერ შესძლებს ზუსტად დაასახელოს იმ ქართველების რაოდენობა,
რომლებიც იძულებული გახდნენ აყრილიყვნენ მშობლიური ადგილებიდან და ახლა
რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში ცხოვრობენ.მაგალითად, თბილისში...ცხინ-
ვალში ქართული ეროვნების ადამიანები პრაქტიკულად აღარ დარჩნენ...ერთ-ერთი
ასეთი ოჯახის უფროსი - ოსი შემრიგებლურად იყო განწყობილი... თანაც ცნობი-
ლი გახდა, რომ მის(ხედავთ რა დანაშაულია!) საქართველოს რესპუბლიკის დროშა
ჰქონია. მას სახლში ღამით, შეუვარდა ექსტრემისტთა ჯგუფი და იარაღის მუქა-
რით აიძულა ოჯახით დაეტოვებინა ქალაქი. სახლი გაძარცვეს. ამ კაცმა მიამბო,
რომ ენახავს,თუ ერთხელ სამხედრო მანქანიდან ფორმიანი ადამიანები როგორ
აწვდიდენ იარაღებს ოსი ეროვნების სამოქალაქო პირებს..."(ლევი ბერძენიშვილი,
საქინფორმის სპეციალური კორესპონდენტი.გაზ."საქ.რესპუბლიკა",12.2.1991 წ.).

XI.

11.8 თებერვალს(1991 წ.) დილის 7 საათზე ოსი ექსტრემისტების ჯგუფი, დაახლოე-
ბით 30 კაცი, თავს დაესხა ცხინვალის რაიონის ქართულ სოფელ თამარაშენს და
ავტომატების ცეცხლი დაუშინა მოსახლეობას... 7 თებერვლის გაზეთმა "კრასნა-
ია ზვეზდამ" და იმავე საღამოს პროგრამა "ვრემიამ" გამოაქვეყნეს ამიერკავ-
კასიის სამხედრო ოლქის სარდლის გენერალ პატრიკეევის პასუხი ბატონ ზვიად
გამსახურდიას წერილზე, რომლითაც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

თავჯდომარე სარდლისაგან მოითხოვს პასუხი მოჰკითხონ სამხედრო მოსამსახურეებს, იარაღით რომ ამარაგებენ ოს ექსტრემისტებს.

პაციფისტური სარდალი აღნიშნავს, ექსტრემისტებს მხოლოდ თვითნაკეთი იარაღი აქვთ.... იმასაც დავუმატებთ, რომ ცხინვალში განლაგებულია სამხედრო შენაერთების პოლკი. ასე რომ, ექსტრემისტებს ჯურვ-რაკეტების შესაძენად შორს წასვლა არ დასჭირდებათ".(საქ.რესპ.შინაგან საქმეთა მინისტრის პრესცენტრი."გაზეთი"საქ.რესპუბლიკა",9.2.1991 წ.).

XII.

12."იმპორტული აზრები ანუ 'შენ ლონდონში დასეირნობ, ჩვენ კი გვადნობს თბილისი'" - ასეთ "კამოხმაურებაში" გამოქვეყნებულია რადიო "თავისუფლების" ქართული რედაქციის თანამშრომლის - ჯანრი კაშიას - კასაუბრება ბატონ რამაზ კლიმიაშვილთან, რომელიც თავისი საუბრის შირითად ნაწილს საქართველოს უზენაესი საბჭოს "დაწუნებას" და საქართველოს ეროვნული კონგრესის "მოწონებას" მოანდომა. "კონგრესი - ამბობს კლიმიაშვილი - დიდი დემოკრატიის სკოლაა, ხოლო უზენაესი საბჭო ტოტალიტარული რეჟიმის გადმონაშთების თავშესაფარი..." "მაგრამ ამგვარი იმპორტული შეჩიჩინებით ხომ კიდევ უფრო გავაღრმავებთ იმ უფსკრულს, რომელსაც ადრე თუ გვიან როგორმე ჩვენ თვითონ ამოვავსებთ სხვის დაუხმარებლად".(ამირან კალაძე. გაზეთი"საქ.რესპუბლიკა", 1 თებერვალი, 1991 წელი).

XIII.

13."მშობლიური მიწა-წყლიდან განდევნილნი" - ასეთია სათაური საქინფორმის კორესპონდენტების გიორგი კორძაძისა და თენგიზ ჩხიკვაძის კორესპონდენციისა სამაჩაბლოდან, რომელშიც,სხვათა შორის, ვკითხულობთ:

"ჩვენ ცხინვალი დავტოვეთ სამ თებერვალს - ამბობს სამი შვილის დედა ნონა შერაზადიშვილი - ჩემი სახლი მთლიანად დაარბია მეზობელი გაიოზ კაზაგოვის ოჯახმა, რომელიც პირწავარდნილი ექსტრემისტია. იგი ადრეც...გვემუქრებოდა, შორს არ არის ის დღე,როცა სამხრეთ ოსეთი ქართული ხიზირჩისაგან გაიწმინდება".

მეკითხავზე: - როგორ იქცეოდნენ სამხედროები, რომლებიც სამაჩაბლოში წესრიგის უზრუნველსაყოფად მოიწვიეს, - ნონამ უპასუხა:"ოსებს ეხმარებიან."

ზინაიდა ბოჭორაძემ თქვა:

"ცხინვალელი ვარ...იმ დღეს, როცა სროლა ატყდა, მე და ჩემმა ქმარმა შვილმა ძლივს მოვასწარით დავმალოდით გაავრთებულ ადამიანებს. ქუჩაშიც დაგვდევდნენ. გადავრჩით მხოლოდ რომელიღაც სამხედრო ოფიცრის წყალობით, ღმერთმა უშველოს მას და მის ოჯახს."

"ცხინვალში ქართველებისათვის სახლის გაცვლის მრავალრიცხოვან ფაქტებს გვიყვებოდნენ სხვა ლტოლვილნიც. არ მისცეთ მათ შაქარი,პური..."ესენი ქართველებია", - ასეთ შეძახილებს ცხინვალის ნებისმიერ მაღაზიაში გაიგონებდით. ხოლო როცა ქართველები სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახებას ცდილობენ, მათ უპასუხებდნენ "დახმარებისათვის საქართველოს მიმართეთო".

"რუსებისა და სომხების დიდი უმრავლესობა ოს ექსტრემისტებს ეხმარება. მეტსაც გეტყვით, ცხინვალის საავადმყოფოს ბავშვთა განყოფილების ქირურგი ვინმე აკუგისიანი, მისი სახელი არ მახსოვს, ეგრეთ წოდებული ინტერფრონტის შექმნის ინიციატორია. მხოლოდ ებრაელები არიან მთლიანად ქართველი მოსახლეობის მხარეზე."(ნელი მაისურაძე, ოთხი შვილის დედა, ახლა ლტოლვილი სამშობლო ცხინვალიდან).

საქინფორმის კორესპონდენტები გიორგი კორძაძე და თენგიზ ჩხიკვაძე - დასძენენ: "შიდა ქართლში მიმდინარე ამბებს თავისი სახელი უნდა დაერქვას - კრემლის პროვოკატორების მიერ განებივრებული სამაჩაბლოს ოსი მოსახლეობა ღალატობს ქართველებს. მეორდება 1921 წლის თებერვალი". (გაზ."საქართველოს რესპუბლიკა", 13.2.1991 წ.).

XIV.

14."...ამ რამოდენიმე წლის წინ გორელი ხუბაევების(ხუზურულების) რვაშვილიანმა ოჯახმა(ოჯახის თავი დღემდე არსად არ მუშაობს) ქალაქის წმინდა წყლის დასახლებაში, ნადირაძის ქუჩაზე, ექვსოთახიანი ბინა მიიღო. ქალაქის საბჭომ ოთხოთახიანი და ოროთახიანი ბინა შეაერთა და მალე ხუბაევს გასაღები საზეიმოდ გადასცეს. და რა? გგონიათ, შეიფერა ან იკმარა ხუბაევმა ორ-ორი სამზარეულოთი, ორ-ორი აბაზანით, სხვა საჭირო კვანძებითა და სათავსოებით, ლოჯიებითა და აივნებით გაწყობილი ექვსოთახიანი კეთილმოწყობილი ბინა? ნურას უკაცრავად! საჩივრები გააშანშალა - კოკნებით ოსი რომ ვარ, მჩაგრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვენ, მაკიჟრობენ, მრავალშვილიანი მამა ვარ და ჩემთვის არც მანქანას ყიდულობენ, არც ავეჯს, მუხის პარკეტსაც კი არ მივებენ და მე იძულებული ვარ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ან ადამიანთა უფლებების დაცვის საერთაშორისო ასოციაციას მივმართოო. ასეთი შექარით აღსავსე წერილების კითხვისას ცენტრალურ კომიტეტში თუ მინისტრთა საბჭოში ხალხს მიშისაგან ელდა-მელეთი მოსდიოდათ, გული უღონდებოდათ და იყო განუწყვეტელი ტელეფონის ზარის წკრიალი ვორის საქალაქო კომიტეტში - დაეხმარეთ, უყიდეთ, გააჩუმეთ, სახლში მიართვით, თორემ ინტერნაციონალიზმის პრინციპებს ძირი ეთხრებაო. ინტერნაციონალიზმისა რა მოგახსენოთ, მაგრამ საქართველოს, ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს კი მართლაც ეთხრებოდა ძირი."(ვაჟა ზურჩიანი: "საქართველოს რესპუბლიკა", 14 თებერვალი, 1991 წელი).

XV.

15. "ჩვენ უღმერთობის, რბევისა და ტერორის გზას ვერ დავადგებით", - აი, დღეამწრი საქართველოს უზენაესი საბჭოს თავჯდომარის - ზვიად გამსახურდიას - გასაუბრებისა მოსკოვის ჟურნალ "ოგონიოკის" საკუთარ კორესპონდენტთან - გეორგ მარტიროსიანთან, და, სხვათა შორის, თქვა:

16. "...ჩვენი დამოუკიდებლობა მრავალი წლის წინათ - 1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა. 1921 წელს საქართველო ძალით გაასაბჭოეს, მაგრამ უსასტიკესი კომუნისტური დიქტატორის პიროვნებშიც კი მის მთავრობას ხელი არ მოუწერია კაპიტულაციაზე, რესპუბლიკად ფაქტობრივად ანექსირებული იყო, მაგრამ იურიდიულად დღემდე შეინარჩუნა თავისი დამოუკიდებლობა..."

17. "...ჩვენ ფაქტობრივად უკვე შევაჩერეთ საქართველოს ტერიტორიაზე საკავშირო კონსტიტუციის მოქმედება. გარდამავალ პერიოდში იგი მთლიანად შეიცვლება ეროვნული კონსტიტუციით."

18. "...საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას არ ვცნობთ, მამასადამე არც თანამშრომლობას ვაპირებთ".

19. "...ეროვნული კონგრესი - კომუნისტური მაფიის შენიღბული ნაწილია. იგი პარლამენტგარეშე ოპოზიციის სახით ვლევლინება. თანაც ეროვნულ კონგრესს ბანდიტური უკანონო შეიარაღებული ფორმირებანი ჰყავს."

20. "კომპარტია ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია ამ მაფიისა. ჩვენ მას არც კი ვთვლით პარტიად, არამედ ჩვენს მიწა-წყალზე უცხო სახელმწიფოს აგენტურად მივაჩნია...ჩვენი მიზანია მისი გაუქმება".

21. "...სიტყვით დემოკრატიის, საქართველოს განახლების მხარეზე არიან, საქმით კი ძარცვა-გლეჯას ეწევიან და მოსახლეობას აშინებენ. აი, ასეთ ბანდებს მფარველობს ეგრეთ წოდებული ეროვნული კონგრესი..."

22. საქართველოში ეროვნულ უმცირესობათა პრობლემა "...ეს არც არსებითია, რადგან მოგონილი პრობლემაა. მაგაზე ყველაზე მეტ აურზაურს ტეხს ცენტრი, რათა ჩვენში ეროვნებათაშორისო კონფლიქტი გამოიწვიოს... მაგალითად, ახლა ყველანი ეგრეთ წოდებულ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტზე ლაპარაკობენ.ეს უკანონო ტერიტორიული წარმონაქმნი ბოლშევიკებმა ოდინდელ ქართულ მიწა-წყალზე შექმნეს 1922 წელს.საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე აქ არაქართული მოსახლეობის ეთნოკრატია დამკვიდრდა.გამოვიდა, რომ ქართველები საკუთარ მიწა-წყალზე ეროვნულ უმცირესობად იქცნენ. მათი უფლებები ილახება, ისინი დისკრიმინაციას და შევიწროებას განიცდიან, რომელიც აპარტეიდსაც კი ჰგავს. თანაც, ყოველივე ეს ხდება არა სადღაც, არამედ თვით საქართველოში, გესმით?"

23. "...ერთხელ კიდევ მინდა აღვნიშნო: ჩვენი დამოკიდებულება არაქართული მოსახლეობისადმი ყოველთვის იყო მეგობრული. ამ პრინციპიდან გადახვევას არ ვაპირებთ."

24. "...სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე; საქართველო მას ხელს არ მოაწერს არავითარი პირობით."
საქართველო "მხოლოდ მას შემდეგ, როცა სრულ დამოუკიდებლობას მოიპოვებს... და საერთაშორისო სამართლის სრულუფლებიანი სუბიექტი იქნება, მხოლოდ მაშინ ქართველი ხალხი მიანიჭებს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს იმის უფლება, რომ სხვა ქვეყნებთან რაიმე ხელშეკრულებას მოაწეროს ხელი."

25. "...რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის პირველი ორი ხელმძღვანელის დანიშვნაზე, რეაქცია ნეგატიური გახლდათ. აქაც ყველაფერი ნათელია: ორივე ეს უწყება ყოველთვის იმპერიის მთავარი ბერკეტები იყო, ახლა კი ისინი ნამდვილად ეროვნული გახდა და ცენტრს აღარ ექვემდებარება."

26. "...ნამდვილი დამოუკიდებლობის გზა, ჩემის აზრით, ეროვნული ხასიათის რესტავრაციით, მრავალი თვალსაზრისით უკვე დაკარგული ეროვნული სიამაყის, ეროვნული ღირსების აღორძინებით უნდა დაიწყოს."(გაზეთი"საქართველოს რესპუბლიკა",27.2.1991 წ.).

XVI.

27. "...ეგრეთ წოდებული "ადამონ ნიხასის" მესვეურები და მათი მხარდამჭერი იმპერიული ძალები, რომლებიც გამოდიან რა ცნობილი თეზისიდან -"დაანაწევრე და იბატონე" - ქართველებსა და ოსებს შორის მტრობის დასათესად მრავალ ბინძურ მეთოდთან ერთად ყალბი ინფორმაციის გავრცელებასაც ფართოდ იყენებენ... კარგად არის ცნობილი, რომ დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის დროს - 1918-1921 წლებში - რუსმა და ქართველმა ბოლშევიკებმა ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოგზავნეს აგენტები და დემოკრატიული საქართველოს წინააღმდეგ ოსების "აჯანყება" მოაწყვეს. ეს იყო სუფთა წყლის ავანტიურა და ქართველი ხალხისათვის ზურგში დანის ჩაცემა..."

XVII.

28. "XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოს დღევანდელ ტერიტორიაზე ოსების რაოდენობა არ აღემატებოდა 29 ათასს...1989 წლის მოსახლეობის აღწერით შეადგენს 164 ათასზე მეტს...XIX-XX საუკუნეებში კვლავ გრძელდებოდა ოსების ჩამოსახლება...ამჟამად ცხინვალში ცხოვრობს 32 ათასამდე ოსი ანუ ყოფილ ავტონომიურ ოლქის მცხოვრები ოსების თითქმის ნახევარი...1922 წელს მამინდელმა ბოლშევიკმა ლიდერებმა...უკანონოდ შექმნილი ავტონომიური ოლქის მთავარ ცენტრად ცხინვალი გამოაცხადეს. მანამდე საერთოდ არ არსებობდა არავითარი სამხრეთ ოსეთი...ოსი ექსტრემისტები პირველ ყოვლისა ცუდ სამსახურს უწევენ თავის ხალხს,რადგან უნდათ ერთმანეთს წაკიდონ ოსები და ქართველები..."

XVIII.

29. "...გაზეთ"იზვესტიაში"(ნომერი 37) გამოქვეყნდა ოსი ინტელიგენციის ერთი ჯგუფის მიმართვა, რომელშიც სიტუაცია ისეა დახასიათებული, თითქოს შიდა ქართლში მომხდარი ამბები ასახავდეს საქართველოში მცხოვრები ოსების რუსეთზე ორიენტაციას. ჯერ ერთი, მიმართვის ავტორებს ტყუილად ჰგონიათ, რომ ექსტრემისტების აზრს იზიარებს რესპუბლიკის ოსი მოსახლეობის ძირითადი ნაწილი; მეორეც: ვინ მიანიჭა ოს ექსტრემისტებს იმის უფლება, რომ მკვიდრი ქართველი მოსახლეობის ტერიტორია დაიკავონ და შემდეგ მოითხოვონ ამ ტერიტორიის სხვა ქვეყნისათვის გადაცემა?"(გაზეთი"ს.რ.",15.2.1991 წ.).

XIX.

30. "ცხინვალში შესვლა საშიშია, მაგრამ ვისთვის?" "ვერც ერთმა ქართველმა ჟურნალისტმა კვლავინდებურად ვერ შესძლო მიეღო ცხინვალში შესვლის ნებართვა. ....მაგრამ, ცხინვალში უშიშრად მუშაობენ პროგრამა "ვრემიას" და სხრ კავშირის სხვადასხვა ცენტრალური გაზეთების კორესპონდენტები, რომლებიც ყოველდღიურად თავიანთი ცნობებით ამწვავებენ ისედაც დაძაბულ ვითარებას შიდა ქართლში"(გაზეთი"ს.რ.",16.2.1991 წ.).

XX.

31. "...სამაჩაბლოში ქართული მოსახლეობის გენოციდის საშინელებანი:

მამუკა ბობიაშვილი:

- ცხინვალელი ვარ. სამშენებლო კოოპერატივი მქონდა გახსნილი, იგი უკვე აღარ არსებობს, გაძარცვეს ათი დღის წინათ. მეზობელი ოსების მხრივ მუქარისაგან, ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფისაგან ოჯახი რომ მეხსნა, იძულებული გავხდით ქალაქიდან გაქცეულიყავით..."

32. აკაკი ბოჭორიშვილი, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი, პოდპოლკოვნიკი:

"- ცოტა როდია შემთხვევა, როცა ჩვენთან მოვიდნენ ადამიანები, რომლებიც მშვენივრად ლაპარაკობდნენ ქართულად და დახმარება გვთხოვეს. მაგალითად, სახლს მიძარცვავენ, იქ კი ბავშვები არიან და ასე შემდეგ. არაერთხელ მივსულვართ ჩვენი მილიციის მუშაკთა ოპერატიულ ჯგუფთან ერთად ასეთ შემთხვევაზე,მაგრამ იქ მოიერიშეები გველოდნენ... სწორედ ასეთ გარემოებათა დროს მოკლეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის უმაღლესი სკოლის კურსანტი ლობჟანიძე."

33. გია ირემაშვილი: საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის ლეიტენანტი:

"- 11 თებერვალს(1991 წ.) ჩვენს საგუშაგოსთან ავტომობილების კოლონა გავაჩერეთ, რომლებშიც ოსები ისხდნენ. ისინი ცხინვალში არ ცხოვრობდნენ. კოლონას სამხედრო ავტომანქანა მოუძღოდა წინ. მათმა თანმხლებმა მთვრალმა პოლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოვნიკმა ჩვენი მილიციის მუშაკებს ლანძღვა დაუწყო და დაემუქრა:"ყველას ამოგხოცავთო". მომწიფებული კონფლიქტი იმის მეოხებით იქნა თავიდან აცილებული, რომ ოსები ცხინვალში შეყვიდნენ. და ეს, როგორც ყველაფრიდან ჩანს, ოს ექსტრემისტთა რიგების შევსების მიზნით მოხდა. მოიერიშეები ხომ მათ ცხინვალში ქართველთა სახლებს პირდებიან. სამხედროები ხშირად ანგარიშსწორებით გვემუქრებიან. იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი, მთვრალი უმცროსი ოფიცრები შეურაცხყოფას გვაყენებდნენ ჩვენ და ჩვენს უშუალო ხელმძღვანელებს. უკვე არაფერს ვამბობ იმაზე, რომ სამხედროები ნამდვილ ვაჭრობას ეწევიან: ქართველის გადაყვანა სოფელ თამარისში,მაგალითად, 100 მანეთი ღირს, ჯავის რაიონში კი - 1000 მანეთი."(გაზეთი "ს.რ.,"16.2.1991 წ.).

34. მიგუზა გაგლოევი; სოფელ გუჯაბაურის მცხოვრები:

"- ნათესაობა მაკავშირებს ქართველებთან და ჩემნაირები ცოტა როდია ოსთა შორის, რომლებიც სამაჩაბლოში ცხოვრობენ. ვერაფერი გამიგია გასაყოფი ქართველებთან რა გვაქვს, ჩვენ ხომ საერთო ბედი გვაკავშირებს. მეც "შუამავლების" მეშვეობით არაერთხელ გამაფრთხილეს უცნობებმა, მეზობელ ქართველებთან ნუ მეგობრობო, მე კი, როგორც ხედავთ, ძმურად მიყვარს და პატივს ვცემ მათ. რამდენიმე დღის წინათ ჩემს სახლსაც დაუშინეს ცეცხლი ექსტრემისტებმა, აი, ასე ვცხოვრობთ..."

35. დიმიტრი ულონოვი, საკავშირო საზოგადოება "მემორიალის" სამართალდაცვის კომისიის თავჯდომარე:

" - ცხინვალში ბევრი ოსია, რომლებსაც არ ესმით, რას სჩადიან და ან ბრმად ან შიშით ასრულებენ ექსტრემისტების მითითებებს. ოსთა მხრივ საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან მოლაპარაკების მაგიდას უნდა მიუსხდნენ ისინი, ვისაც ხელი არა აქვთ გასვრილი ბოლშევიკურ რეჟიმთან ურთიერთობით. მეორე მხრივ, კონფლიქტის მოგვარების იმედს ვუკავშირებთ საერთაშორისო ორგანიზაციებს".(იქვე).

XXI.

36. "გამოხმაურება რადიოსადგურ "თავისუფლების" გადაცემის გამო":

"...რადიოსადგური "თავისუფლება" მწვავე განსხვავებით ხდება "პრავდის" ან სხვა იმპერიული გამოცემების პასკვილებისაგან...თითქოს რადიოსადგურ "თავისუფლების" ხელმძღვანელობა განზრახ და დაგეგმილად ახორციელებს ანტიქართულ კამპანიას....ჩვენ არ გვაინტერესებს, თუ ვისი ტექსტი წაიკითხა ეთერში 9 თებერვალს(1991 წ.) ამირან თარბამ, მაგრამ გაოცებას იწვევს ავტორის ლოგიკა, რომელთანაც იგი აშკარად მეგობრულადაა. თუ ავტორს დავუჯერებთ, ზვიად გამსახურდიას იდეები არ ადექვამთ "საზოგადოების ფართო ფენებს"..... რაც შეეხება აზრთა პლურალიზმს საქართველოში, - პასუხობს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის პრესცენტრი,- ამის თვალსაჩინო დადასტურებაა სრულიად განსხვავებული კრიტიკული ხასიათის ინფორმაციების პუბლიკაციები..."

"ზვიად გამსახურდიამ პრესკონფერენციაზე...კონკრეტულად დაასახელა ადრესატი - სააგენტოს საკუთარი კორესპონდენტი საქართველოში ა.კოჩეტოვი, რომლის ტენდენციური დამოკიდებულება საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისადმი რეგულარულად აისახება ცენტრალურ პრესაში".

XXII.

37. მიდა ქართუში: "14 თებერვალს(1991 წ.) ღამით სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების ქვედანაყოფებმა ნცადეს იმელებით ჩამოერთვათ ცეცხლსასროლი იარაღი საქართველოს მილიციის თანამშრომლებისათვის, რომლებიც ცხინვალის მისადგომებთან იმყოფებოდნენ".

"ოთხ საათსა და 55 წუთზე პუზირნიმ(ვალერი პუზირნი,მილიციის პოლკოვნიკი) ოპერაციის შეწყვეტის სიგნალი მისცა. მიდა ქართუში ქართული მილიციის განიარაღების ცდა წარმატებით ვერ დაგვირგვინდა. გვინდა მივიღოთ პასუხი კითხვაზე: ვინ იყო დაინტერესებული ამით?"(გაზეთი "ს.რ.",21.2.1991 წ.).

XXIII.

38. "..."მხედრიონის"...ხელმძღვანელობას და ორგანიზაციის წევრების დიდ უმრავლესობას, არაფერი აქვთ საერთო მაღალ ეროვნულ, ზნეობრივ და მოქალაქეობრივ იდეალებთან - ისინი დამნაშავეთა სამყაროს ჩვეულებრივი წარმომადგენლები არიან..."(საქ.რესპ.შინაგან საქმეთა სამინისტრო. გაზ."ს.რ.",21.2.91).

XXIV.

39. "...მიმდინარე წლის 22-23 თებერვალს აფხაზეთის ასსრ გულრიფშის რაიონში სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს სანატორიუმში სარემონტო-სამშე-

ნებლო სამეშაოების ჩატარების საბაბით რესპუბლიკის ფარგლებს გარედან შემო-ვიდა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების 250 ჯა-რისკაცი, სრული საბრძოლო ეკიპირებით..... საქართველოს რესპუბლიკის უზენა-ესი საბჭო მოითხოვს, დაუყონებლივ იქნეს გაყვანილი შინაგანი ჯარის ეს ნა-წილები საქართველოს ტერიტორიიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი პასუხის-მგებლობა ამ აქციის შედეგებისათვის უკანონო მომქმედ მხარეს დაეკისრება". (საქ.უზენაესი საბჭოს განცხადება. გაზეთი "ს.რ.",28.2.1991).

XXV.

40. "...გთხოვთ,დღევანდელი სხდომის დღის წესრიგში, დამატებით შეიტანოთ საკითხი ე.წ."საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიის" ძირგამომთხრელი საქ-მიანობის შესახებ....დღეს კომპარტიის მანდატი არის თავისებური პაროლი კრემლთან ალიანსისა, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ბრძო-ლისა".(დეპუტატ ამირან კალაძის განცხადება. გაზეთი "ს.რ.",28.2.1991 წ.).

XXVI.

41. "ძნელია დაიჯერო, მაგრამ ფაქტია - ცხინვალელ ქართველობას მამაპაპურ სამ-კვიდროს ძალდატანებით ატოვებინებენ ოსი სეპარატისტები.....იქნებ ფიქრო-ბენ, რომ ამ ექსტრემისტული გამოხტომებით საქართველოს დაამარცხებს? სულ მა-ლე დადგება დრო და ყველას თავისი მიეზღვება." (გივი ბორცვაძე. გაზეთი "ს.რ.",28.2.1991 წ.).

XXVII.

42. "დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის ხანაში ოსებმა, ბოლშევიკთა ინსპი-რაციით, ორჯერ მოაწყვეს შეიარაღებული ამბოხება - 1918 და 1920 წლებში... თავს გასულმა ოსებმა ასეთი სიმღერაც კი შეთხზეს:"ოდელია, დელია, მცხეთამ-დე სულ ჩვენია"....მოღალატე ბოლშევიკები და გაბოროტებული რუსი ჩინოვნი-კები - აი, ვინ ხელმძღვანელობ ს აჯანყებას..."(გაზეთი "ერთობა",1918 წ.).

XXVIII.

43. "...ოსთა თვითგამორკვევა ჯავის რაიონში? ...საქართველო დამოუკიდებელია დღეს, მაგრამ მასში არ შედიან არც სოჭის ქართველები, არც კავკავის, არც მინერალური წყლების რაიონში მცხოვრებნი, რამდენადაც ისინი ადგილობრივი მკვიდრნი არიან. განა მათი ყოფნა ამ რაიონებში შეიძლება გახდეს საბუთი კავკავისა და სოჭისაგან სახელმწიფოს შექმნისა? რასაკვირველია არა....აქ შეიძლება საკითხის დასმა მხოლოდ მათი კულტურული განვითარების უზრუნველ-ყოფაზე, არც მეტი, არც ნაკლები. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მივიღებთ ისეთ ლოგიკას, როცა ემიგრანტი ერი უნდა გახდეს მსხვერპლი უმცირესობის, რომელიც მის საზღვრებში ნარევად ცხოვრობს და ამით მის ტერიტორიას აჭრე-ლებს. სად გაგონილა, რომ რამდენიმე მილიონი მცხოვრებლები შეეწიროს მსხვერპლად რამდენიმე ათასეულს? ...თვითგამორკვევის უფლება აქვთ ერებს და არა იმ ერთა მცირე ნაწილებს, რომლებიც გადასახლებულან სხვა ეროვნების ფარგლებში, და არცერთ სოციოლოგს არ უქადაგნია აქამდე ყოველი სოფლის თუ თემის თვითგამორკვევა, არამედ აღიარებულია თვითგამორკვევა მთელი ერის, როგორც ასეთის.

ოსების თვითგამორკვევა ამ პრინციპის მიხედვით უნდა მოხდეს ე.წ.ჩრდილო ოსე-თში, სადაც ოსი 90 პროცენტი ცხოვრობს, და არა ჯავაში..." (ვალიკო ჯუღელი: "მძიმე ჯვარი". გაზეთი "ს.რ.", 28.2.1991 წ.).

XXIX.

44. "...ჩემი მეზობლის ა.წურაბადაშვილის ეზოს ჭიშკართან, რამდენიმე შეიარაღე-ბულმა ექსტრემისტმა მოიყარა თავი. ერთხან ჭიშკართან იდგნენ, მერე უცბათ სახლში შეიჭრნენ და სროლა აუტეხეს. ოჯახის წევრები გარეთ გამორეკეს. ვხე-დავდი ჩემი მეზობლის სახლიდან ჩემოდნებით როგორ გაჰქონდათ წლობით ნაგრო-ვები ავლადიდება. ცოტა ხნის შემდეგ, ამ სახლთან ტ.კულუმბეგოვი მოვიდა.

მოვიდა და... სახლს ცეცხლიც წაუკიდა. ეგრედ წოდებული ოსეთის დემოკრატიუ-ლი რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელმა ტ.კულუმბეგოვმა ჩემი მეზობლის ცეცხლმოდებულ სახლზე ხელები შეითბო. ერთხან გახარებული შესცქეროდა ალში გახვეულ შენობას, მერე კი მანქანით სადღაც გაუჩინარდა. დიდი ხანი არ გასუ-ლა, რომ ჩვენც დაგვარბიეს."("ხანში შესული მანდილოსანი". გაზეთი "ს.რ.", 28.2.1991 წ.).

XXX.

45. "კომუნისტური რეჟიმი ოსეთის ავტონომიას წლების მანძილზე უსვამდა თავზე ხელს, ყოველთვის აკეთებდა ოსების პრივილეგიებისა და ქართველთა დისკრიმი-

ნაციისათვის....რატომ არ ფიქრობენ, რომ საქართველო, თავის ისტორიულ მიწა-წყალს არ დასთმობს."(სკოლის დირექტორი გ.ჩანთაძე. იქვე).

XXXI.

46. "18 მარტს(1991 წ.) დილით ჟრუანტელისმომგვრელი მკვლელობა ჩაიდინეს ოსმა ბანდიტებმა. ჯავა-ცხინვალის სათადარიგო გზაზე სოფელ თამარაშენიდან მომავალ .. ,ალექსანდროვ მკვიდრებს ბერაზ მინდიაშვილს, ვახტანგ ელიაქიძეს, გელაზ ხაბრულსა და ნუგზარ კასრაძეს თავს დაესხნენ ჩასაფრებული ოსი ექსტრემისტები, რომლებმაც დაჭრეს ისინი, შემდეგ კი ხელებზე მიაბეს, გადაასხეს ბენზინი და ცოცხლად დაწვეს ოთხივე ახალგაზრდა".("ს.რ.", 19 მარტი, 1991 წ.).

და ვინ ჩამოთვლის ანალოგიურ ფაქტებს, რასაც ადგილი აქვს დღეს შიდა ქართლში?..

## ახლა კი შენიშვნები, შენიშვნები და მხოლოდ შენიშვნები

აქ მოვიყვანეთ ფაქტები, რომლებიც, სხვა მრავალთა შორის, ასახავენ საქართველოს, ქართველი ხალხის, ქართველი ერის მდგომარეობას დღეს, 1991 წელს, რაც, თავის მხრივ, ჯამია იმ იმპერიული პოლიტიკისა, რომელსაც მეფის რუსეთი და შემდეგ ლენინის რუსეთი ატარებდა და დღესაც ატარებს საქართველოს, ქართველი ერის წინააღმდეგ, და რომელშიც, განსაკუთრებით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობის წინაპერიოდში და დაპყრობის შემდეგ, - მუხანათური როლი ითამაშეს რუსმა და ქართველმა ბოლშევიკებმა კიროვ-ორჯონიკიძე-მახარაძეების ხელმძღვანელობით; და დღეს? - ვითომ ორჯონიკიძე-მახარაძის მემკვიდრეები მომრავლდნენ საქართველოში?..

XXXII.

შენიშვნა პირველი: ფრიდრიხ შილერი ამბობს: "მონობა სიმდაბლეა, მაგრამ მონური ქება თავისუფლებისა - საძულველია". და რა კავშირი აქვს ამ სიბრძნეს ორჯონიკიძე-მახარაძის მემკვიდრეებთან? - ის კავშირი აქვს, რომ საქართველო, ქართველი ხალხი - მოექცა რა 1783 წლის საბედისწერო ტრაქტატით - რუსეთის იმპერატორების კალთის ქვეშ, - 1801 წლიდან კი რუსეთის უშუალო ბატონობის ქვეშ, - მიუხედავად განუწყვეტელი აჯანყებებისა მთელი XIX-XX-ე საუკუნეების განმავლობაში უცხო დამპყრობლების წინააღმდეგ - თანდათანობით "შეეჩვია" იმ აზრს, იმ მდგომარეობას, რომ თითქოს საქართველოს, ქართველ ხალხს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობა არ შეეძლოს; და რომ მას რომელიმე დიდი სახელმწიფოს მფარველობა ესაჭიროება, და რომ, ორჯონიკიძე-მახარაძეების მემკვიდრეების აზრით და საქმით, თითქოს ასეთი სახელმწიფოა რუსეთი. და თუ დღეს ამგვარი ვაი-პოლიტიკის ქადაგება ღიად შეუძლებელია, ორჯონიკიძე-მახარაძის მემკვიდრეები, როგორც ჩანს, - ერთი მხრივ - 26 მაისის მანტიით გვევლინება და თითქოს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან, მაგრამ - მეორე მხრივ - "ყველას და ყველაფერს" გმობენ, რაც დადებითი კეთდება საქართველოში 1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიული არჩევნებისა და საქართველოს უზენაესი საბჭოს ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ.

XXXIII.

შენიშვნა მეორე: მაგრამ, როგორც ჩანს, ორჯონიკიძე-მახარაძის მემკვიდრეების რადიკალიზმის გამომწვევი მიზეზია არა მარტო მათი მონური მორჩილება "ცენტრისადმი", არამედ ისიც, რომ დღეს საქართველოს ხელისუფლებაში მყოფი პირები - საქართველოს უზენაეს საბჭოში თუ მთავრობაშია ისინი - ვერ იჩენენ საკმარის სილინჯეს, შემწყნარებლობას, მოთმინებას, რომლის შედეგად ადვილი არ არის გარჩევა თუ სად არის ოპოზიცია, ეს განუყოფელი ნაწილი დემოკრატიისა, და სად არიან ორჯონიკიძე-მახარაძის მემკვიდრეები!.. ამ ორი ცნების ერთმანეთში არევა მომაკვდინებელია თვით დემოკრატიული წესწყობილებისათვისაც კი. ამ "გორდიული კვანძის" გახსნა(და არა გაჭრა) შეუძლია მხოლოდ-დამხოლოდ "პოზიციას", ე.ი. საქართველოს უზენაეს საბჭოსა და საქართველოს მთავრობას, ვინაიდან ძალაუფლება - მიუხედავად "ცენტრის" საქართველოს საქმეებში ხელის ფათურისა - მათ ხელშია. და იყენებს სახელმწიფო ძალაუფლებას საქართველოს უზენაესი საბჭო და მთავრობა მაქსიმალურად, რომ გარკვეულ იქნას - ერთი მხრივ - პოზიცია-ოპოზიციის საერთო მოქმედების სტრატეგია-ტაქტიკა, და - მეორე მხრივ - გამოთიშულ იქნას ორჯონიკიძე-მახარაძის მემკვიდრეების ვაი-მოქმედება საქართველოში და განსაკუთრებით "ცენტრში", საიდანაც ისინი, ეტყობა, ახალ-ახალ ინსტრუქციებსა(და ფულსაც) ღებულობენ?..

XXXIV.

შენიშვნა მესამე: ამ "ჯადოსნური წრიდან" გამოსავალი რომ ვიპოვოთ, ჯერ გავარკვიოთ სად იწყება და სად მთავრდება "ოპოზიცია", რადგან "პოზიცია" თავისთავად გარკვეულია, რადგან იგი ხელისუფლებაშია. მაგრამ "ოპოზიცია" უცილობელი შემადგენელი ნაწილია დემოკრატიისა, რაც იმას ნიშნავს, რომ "პოზიციამ" "ოპოზიციის" ხმა ყოველთვის უნდა მოისმინოს და, თუ საჭიროდ ჩათვლის, ჩანერგოს კიდეც "პოზიციის" პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ თუ სოციალურ ქმედებაში. კონკრეტული ფაქტი რომ მოვიყვანოთ, საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატები დღეს, 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების შედეგად, ორი პარტიის თუ ბლოკის - კომპარტიისა და "მრგვალი მაგიდის" - წარმომადგენლებია, რომლებსაც მისცეს ხმა ამომრჩევლების უმრავლესობამ. ამდენად, "პოზიციას" უფლება არ აქვს "ოპოზიცია", თითქმის, მოღალატეებადაც კი გამოაცხადოს, რადგან ეს არის(იქნება) სუვერენის, ე.ი. ხალხის=ამომრჩევლების უფლებების უგულებელყოფა, რაც - თავის მხრივ - თვით "პოზიციის"(მთავრობის) უგულებელყოფასაც უდრის, ვინაიდან "პოზიციაც" იმავე სუვერენის=ამომრჩევლების მიერ არის არჩეული. ამდენად, საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატები - კომპარტიას თუ "მრგვალ მაგიდას" წარმოადგენენ ისინი - თანასწორუფლებიანი არიან. დეპუტატები კი თავიანთი პარტია-ბლოკის სამოქმედო პროგრამას არ შეასრულებენ, ან "გადაუხვევენ", მაშინ ამის "შესწორების" უფლება ისევ ამომრჩევლებს, სუვერენს, ხალხს გააჩნია, რომელიც მომავალ არჩევნებში ასეთ დეპუტატობის კანდიდატებს(პარტია-ბლოკს) ხმას არ მისცემს. დემოკრატიის ეს ანბანური საფუძველი - ვისმეს მოსწონს თუ არა კომპარტია და მისი დეპუტატები - დაცული უნდა იქნას, რადგან დემოკრატიას სხვა წესი-და-რიგი არ გააჩნია.

XXXV.

შენიშვნა მეოთხე:
"საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტია" კი საარჩევნო პროგრამაში ამბობდა, რომ ის დგას "25 მაისის დიადი იდეების", ე.ი. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ისევ-აღდგენის პოზიციაზე, რაც, უთუოდ, მისასალმებელია, რადგან ყოველ ადამიანს, ყოველ პარტიას უნდა ჰქონდეს შეხედულების, აზრის, პოზიციის შეცვლის უფლებაც. არც ის მიგვაჩნია მიზანშეწონილ მოქმედებად, რომ კიროვ-ორჯონიკიძის ბოლშევიკური პარტიის ანტიქართული პოლიტიკის პასუხისმგებლობა დავაკისროთ "საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიის" დღევანდელ დეპუტატებს თუ რიგით წევრებს, თუ ისინი ნამდვილად, ჭეშმარიტად დგანან "25 მაისის" პოზიციაზე. როგორც ცნობილია, საქართველოს კომპარტიაში, უკანასკნელი ცნობით, გაერთიანებული იყო ოთხას-ათასი საქართველოს მოქალაქე, და მათ შორის იყვნენ(და არიან?) საქართველოს, უთუოდ, დამსახურებული პიროვნებები;(ნებსით თუ უნებლიეთ,-ეს სხვა საკითხია). ამდენად, კომპარტიის ყოველ და ცალკეულ წევრს მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მოეთხოვოს პასუხისმგებლობა, მხოლოდ სასამართლოს წინაშე თუ მას ჩადენილი აქვს სისხლის-სამართლის დანაშაული. საერთოდ, გამოთქმა "ანტი-კომუნისტი" არ გვესახება ზუსტ გამოთქმად, ვინაიდან "ანტი" კი არა "პრო" უნდა იყოს ყოველი პოლიტიკური პარტიისა და მისი წევრ-თანამგრძნობის მრწამსი, რაც - თავის მხრივ - იმას ნიშნავს, რომ კომპარტია იყო "ანტი-დემოკრატიული" პარტია, ჩვენ კი ვიყავით დემოკრატიული პარტიების წევრ-თანამგრძნობნი; სხვა სიტყვებით, არა "ანტი-კომუნისტები", არამედ "პრო-დემოკრატები", რის შედეგად კომპარტია იყო "ანტი-დემოკრატიული" პარტია. საკითხის ასე დაყენება და ანალიზი, ჩვენის აზრით, თავისებური "სოფიზმი" კი არ არის, არამედ გზა იმისა - ვილაპარაკოთ რა გვსურს ჩვენ და არა - რა არ გვსურს ჩვენ, რაც პირველიდან, თავისთავად, გამომდინარეობს. სხვათა შორის, "კომპარტიის" მოსპობა, სრული მოსპობა, შეიძლება, სასურველიც არ არის, რადგან საქართველოდან, თუ საჭირო გახდა, ვის შეუძლია მსოფლიოს სხვა ქვეყნების კომპარტიებთან კავშირის დამყარება კომპარტიის გარდა?.. ამიტომ, საჭიროა ბრძოლა არა "კომპარტიის", როგორც ასეთის, წინააღმდეგ, არამედ საჭიროა ბრძოლა მისი ამა-თუ-იმ პოლიტიკური ნაბიჯის წინააღმდეგ, რომელიც საქართველოს, ქართველი ხალხის ეროვნულ ინტერესებს ეწინააღმდეგება. და, სულ ცოტა, სიტყვიერად რომ საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტია "25 მაისის იდეებზე" დგას?.. თუ აქაც საქმე გვაქვს ორჯონიკიძე-მახარაძეთა მემკვიდრეებთან?!..

XXXVI.

შენიშვნა მეხუთე: ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია, რომ საქართველოს ეროვნული კონგრესის უმრავლესობა "ბანდიტები","ტერორისტები" თუ "უსაქმურები" არ არიან, თუმცა ისიც ვერ წარმოგვიდგენია, რომ მასშიც "ასოციალური" პირებიც მოიპოვება.

ამჟამად, სრული კონფრონტაციაა საქართველოს ეროვნული კონგრესისა და მისი შეიარაღებული რაზმების წინააღმდეგ, კიდევ უფრო ქსაქსავს ისედაც დაქსაქსულ ეროვნულ ძალებს და ასუსტებს ჩვენს ბრძოლას "26 მაისის დიადი იდეებისათვის". ნუთუ შეუძლებელია რაიმე "მოდუს ვივენდის", რაიმე შეთანხმების მიღწევა საქართველოს ეროვნულ კონგრესთან და მის ხელმძღვანელობასთან?.. როგორ უნდა დავიჯეროთ, რომ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, -რომელიც საქართველოს ეროვნული კონგრესის მამოძრავებელი ძალა იყო ეროვნული კონგრესის არჩევნების დრის და დღესაც აქტიურად მოქმედებს, - "ბანდიტებს" თუ "ტერორისტებს" ხელმძღვანელობს?.. ჩვენ კიდევ უფრო შორს მივდივართ: საჭიროა

განუწყვეტელი კავშირების დამყარება არა მარტო საქართველოს ეროვნულ კონგრესთან და მის ხელმძღვანელობასთან, არამედ ყველა პარტია-ბლოკთან, რომლებმაც 1990 წლის 28 ოქტომბერს ამომრჩეველთა ხმების ოთხი პროცენტი ვერ მიიღეს და ამჟამად საქართველოს უზენაეს საბჭოში წარმოდგენილი არ არიან. პირდაპირი თუ არაპირდაპირი კავშირების დამყარებაა საჭირო აგრეთვე თვით ორჯონიკიძე-მახარაძეთა მემკვიდრეებთან, რომლებიც დღეს ოსი თუ აფხაზი ექსტრემისტების სახით გვევლინებიან. ნუთუ მართლა იმდენად ბრმა და ჩლუნგი არიან, ვთქვათ, ოსი-ექსტრემისტები, რომ არ ესმით რას აკეთებენ?.. ქართველი ხალხი როგორ დაუთმობს ოსებს მის ისტორიულ მიწა-წყალს-შიდა ქართლს?.. ნუთუ ამ მიმართულებით პირდაპირი თუ არაპირდაპირი კავშირი ოს-ექსტრემისტებთან არავითარ შედეგებს არ გამოიღებს?.. და საგარეო პოლიტიკაში?!.. საჭიროა უშუალო კავშირების დამყარება არა მარტო რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტთან - ბორის ელცინთან, არამედ ყველა მოკავშირე რესპუბლიკასთან და უცხოეთის სახელმწიფოებთან, რომ ამგვარი კავშირებითაც ხელი შევუწყოთ 26 მაისის იდეების განხორციელებას საქართველოში. "დაგმობა","უარყოფა", "არ-კაკარება" პოლიტიკა არ არის. პოლიტიკა, როგორც ცნობილია, შესაძლებლობის ხელოვნებაა და,შესაძლებლობის ფარგლებში, არ უნდა შევეცადოთ ჩვენ უშუალო თუ არა-პირდაპირი კავშირები დავამყაროთ თვით 26 მაისის მტრებთანაც კი?..

XXXVII.

შენიშვნა მეექვსე: რა თქმა უნდა, ამგვარი კავშირების დამყარება და მისგან დადებითი შედეგების მიღება ადვილი საქმე არ არის, როცა ვიცით, რომ მიხეილ გორბაჩოვი პირდაპირ გვემუქრება, რაც ნათლად ჩანს მისი ერთი გასაუბრებიდან ზვიად გამსახურდიასთან, რომელიც გამოაქვეყნა გერმანიის დიდმა ჟურნალმა - "შპიგელ" - თავის 1991 წლის 11 მარტის 11-ე ნომერში: აი, ამ გასაუბრების ტექსტი:

"გორბაჩოვი: და თქვენ არ გსურთ ხელი მოაწეროთ საკავშირო ხელშეკრულებას?
გამსახურდია: ეს არის არა ჩემი, არამედ ჩემი ხალხის პოზიცია.
გორბაჩოვი: იცით თქვენ, რომ აფხაზებსა და ოსებს საკავშირო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა და საკავშირო რეფერენდუმში მონაწილეობა სურთ?
გამსახურდია: ესენია სულ 140.000 ადამიანი, მაგრამ საქართველოში ცხოვრობს ხუთი მილიონი კაცი.
გორბაჩოვი:(ხანგრძლივი პაუზის შემდეგ) - კარგად მოიფიქრეთ საკავშირო ხელშეკრულებაზე ხელისმოწერა.
გამსახურდია: ეს საკითხი ჩვენთვის არ არსებობს.
გორბაჩოვი: მაშინ მოელით დიდი სიძნელეები სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში."

და მიუხედავად გორბაჩოვის ამგვარი პირდაპირი მუქარისა, რასაც,ამჯერად, ყოველდღიურად ახორციელებს შიდა ქართლში, მაინც პირდაპირი კავშირების დამყარება, ვთქვათ, საქართველოს წარმომადგენლობის სახით მოსკოვში, არ არის საჭირო?.. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა თვით რუსეთის ინტერესებშიც შედის, რადგან რუსეთი განთავისუფლდება არა მარტო ეკონომიკური ხარჯებისაგან, რაც მას კისერზე აწევს საქართველოში მისი ბატონობის შესანარჩუნებლად.

XXXVIII.

შენიშვნა მეშვიდე: მოვუწოდებთ რა საქართველოს უზენაეს საბჭოსა და მის ხელმძღვანელობას "მეტი ზომიერებისაკენ", ამით ვიტოვებთ კონსტრუქციული კრიტიკის უფლებას, რაც დემოკრატიის განუყოფელი შემადგენელი ნაწილია. უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს უზენაეს საბჭოს მეტად რთულ პოლიტიკურ,ეკონომიკურ, კულტურულ,სოციალურ პირობებში უხდება მოღვაწეობა, რაც თავისთავში აქცევს

იმასაც, რომ "შეცდომებისაგან" არც საქართველოს უზენაესი საბჭო და მისი ხელმძღვანელობა არ არის დაცული. თუ ვამბობთ ჩვენ, მაგალითად, "კარგია", რომ იქმნება "ეროვნული გვარდია", ამავე დროს უფლებას ვაძლევთ ჩვენ თავს ვთქვათ, რომ "ცუდია", რომ საქართველოს ეროვნული სახელმწიფოს გერბი - "თეთრი გიორგი შვიდი მნათობით" - ისე "შეცვალა" (და "გააპრიმიტიულა") საქართველოს უზენაესმა საბჭომ, რომ ჩვენი ტრადიციული სახელმწიფო გერბი "გაართულა".

ასევე "ცუდია", ჩვენის აზრით, სხვათა შორის, პირველი მაისის საერთაშორისო შრომის დღესასწაულის გაუქმება; და ვიმედოვნებთ, რომ ეს ორი (და სხვა "ნაკლი") მალე იქნება აღმოფხვრილი თვით საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილებით. დიდ "შეცდომად" მიგვაჩნია აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის აწ უკვე სამოც-და-ათ-წლოვანი კონსტიტუციის უყურადღებოდ დატოვება და სამაგიეროდ "ახალი კონსტიტუციის" შემუშავება. ჩვენის აზრით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული კონსტიტუცია, რომელიც სანიმუშო კონსტიტუცია არის დღესაც მსოფლიო მასშტაბით, ისევ უნდა შევიდეს მოქმედებაში საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან ერთად; და თუ ამ კონსტიტუციის რომელიმე დებულება არ შეესაბამება საქართველოს დღევანდელ მდგომარეობას, მაშინ მთელი კონსტიტუცია კი არა, შესაბამისი მუხლი ან შეიცვალოს, ან დაემატოს, ანდა შესწორდეს; ხოლო ჩვენი კონსტიტუცია - თავისი პირველადი ფორმით - უნდა დარჩეს უცვლელი, რაც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის სიმბოლოც არის.

XXXIX.

შენიშვნა მერვე: "ცუდია" აგრეთვე, რომ საქართველოს უზენაეს საბჭოში "ოპოზიცია" საერთოდ არ ჩანს, და "ოპოზიციის როლი" თითქოს, პარლამენტს გარეთ, საქართველოს ეროვნულმა კონგრესმა გადაიბარა; და სხვა-და-სხვა. მაგრამ ეს ჩვენი აღნიშნული (და არ-აღნიშნული) "კონსტრუქციული კრიტიკა" სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ მხარს არ ვუჭერთ საქართველოს უზენაეს საბჭოსა და მის ხელმძღვანელობას "26 მაისის დიადი იდეების" განხორციელების საქმეში?!.. აი, აქ უნდა იქნეს გავლებული ზღვარი "მტრებსა" და "კონსტრუქციულ ოპოზიციას" შორის, რაც, სამწუხაროდ, არ მოსჩანს ჩვენი "მთავარი წყაროს", გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკის" ფურცლებზე, რაც, სულ ცოტა, ჩამაფიქრებელია. და თუ რადიო "თავისუფლებაში", ე.ი. არა მარტო რადიო "თავისუფლების" ქართულ რედაქციაში თავმოყრილია თითო-ოროლა ორჯონიკიძე-მახარაძეთა მემკვიდრეები, როგორც ამას გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკაში" ვკითხულობთ, ამ მანკიერების აღმოფხვრაც საქართველოს უზენაესი საბჭოსა და მისი ორგანოების საქმეა, რადგან არასოდეს არ უნდა დავიჯეროთ, რომ რადიო "თავისუფლების" ხელმძღვანელობა, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესისა და "ზი-აი-ბის" ("საერთაშორისო რადიოგადაცემების ბიუროს") წინაშეა პასუხისმგებელი, - შეგნებულად დაუშვებს იმგვარ "მანკიერებებს", რომლებიც აღნიშნულია აღნიშნულ გაზეთში. რა თქმა უნდა, აქაც განსხვავებაა "მტრებსა" და "კონსტრუქციულ კრიტიკოსებს" შორის.

XXXX.

შენიშვნა მეცხრე: ბევრის, ბევრის თქმა შეიძლება კიდევ საქართველოს უზენაესი საბჭოსა და მისი ხელმძღვანელობის, საქართველოს მთავრობის ეროვნული მოღვაწეობის შესახებ როგორც "კარგის", ისევე "კონსტრუქციული კრიტიკის" მხრივ. მაგრამ ყველაზე უფრო მისასალმებელია, რომ საქართველოს უზენაესი საბჭო და მისი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია განაგრძობს ქართველი ერის, საქართველოს სახელმწიფოებრივი ისტორიის ჰუმანიტარულ გზას, თუმცა ორჯონიკიძე-მახარაძეთა მემკვიდრეები, -მათი მტრული მოქმედების გამო უცხო ძალის სასარგებლოდ, - დაუნდობელი სისხლიური და მორალური განკიცხვის ღირსნი არიან. "ჩვენ უღმერთობის, რბევისა და ტერორის გზას ვერ დავადგებით", ეს არის -როგორც არ უნდა იმოქმედონ, "ცენტრის" ბრძანებით, ქართველმა თუ არაქართველმა კიროვ-ორჯონიკიძე-მახარაძეთა მემკვიდრეებმა- ქართველი ერის, საქართველოს ჰუმანიტარული მრწამსი და ის ძალა, რომელმაც - მიუხედავად მომხდური მტრებისა - გადაგვარჩინა როგორც ერი, როგორც სახელმწიფო.

XXXXI.

მაშ, ჩავიჭედოთ გულებში: მიუხედავად კიროვ-ორჯონიკიძე-მახარაძეთა ქართველი და არაქართველი მემკვიდრეების ანტიქართული, ანტიეროვნული და ამით დასაგმობი პოლიტიკისა, ჩვენ მაინც ვრჩებით ჩვენი ეროვნული მრწამსის ერთგულნი: "ჩვენ უღმერთობის, რბევისა და ტერორის გზას ვერ დავადგებით!"

XXXXII.

საქართველო იყო, არის (და დარჩება) ერთადერთი თუ არა, სულ ცოტა, ერთერთი ქვეყანა, - სადაც ქართველი ერის ჰუმანიტარული რაობის წყალობით - არც ერთი შემოხიზნული უცხო ერის შვილი არასოდეს არ ყოფილა შევიწროებული, თვით შემოხიზნული ოსების ჩათვლით, რომლებიც შიდა ქართლში უფრო ინარჩუნებენ თავიანთ ეროვნულ მეობას, ვიდრე მათ სამშობლო - ოსეთში (ჩრდილოეთ კავკასიაში), სადაც ოსები იმდენად უკვე გარუსდნენ, რომ სახელი და გვარიც კი გაირუსეს; და ნუთუ ყველაფერ ამას ვერ ხედავენ კიროვ-ორჯონიკიძე-მახარაძეთა მემკვიდრეები, როგორი მცირერიცხოვანიც არ უნდა იყვნენ ისინი?..

კარლო ინასარიძე
პარიზი, 1991 წლის 21 მარტი

"თ ბ ი ლ ი ს უ რ ი სცენარი"

ლ ი ტ ვ ა  დ ა  ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

I.

კრემლმა, ახლა გორბაჩოვის კრემლმა, როგორც 1956 წელს სუეცის არხის კრიზისის ჩრდილში შეეცადა ურჩი უნგრეთის ტანკებით დამორჩილებას, ასევე ახლა, ე.წ.-ლი "პერესტროიკის პროცესში" შეეცადა "ურჩი ლიტვის" ტანკებით დამორჩილებას, ამჯერად, სპარსეთის ყურეში არსებული კონფლიქტის ჩრდილში?..

ვილნიუსში, 12-13 იანვარს, ე.ი. შაბათ-კვირას მომხდარ ტრაგედიას აქვს აგრეთვე მეორე მხარეც: იგი განმეორებაა 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიისა ჩვენს დედაქალაქ თბილისში, თუმცა, რამდენადაც ცნობილია, ქიმიური საწამლავი ნივთიერება არ ყოფილა გამოყენებული მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ ვილნიუსში.

II.

აი, მოკლე ქრონოლოგია ტრაგიკული მოვლენებისა: "სპარსეთის ყურის ქარიშხალის ჩრდილში,- წერს გერმანული ჟურნალი "შპიგელი" (3-1991 წ., გვ.125),- მიხეილ გორბაჩოვმა დაარწყა: ლიტვა ისევ უნდა დაემორჩილოს კრემლს". საბჭოთა არმიის გენერალური შტაბის უფროსმა - მიხეილ მოისეევმა - "ვილნიუსის ტრაგედიის" (12-13 იანვარი ღამე) ერთი კვირით ადრე, განაცხადა, რომ არ არსებობს არავითარი განზრახვა ჯარების შეყვანისა ბალტიის ქვეყნებში; პირიქით, განზრახულია ჯარების შემცირება ამ რეგიონშიო. გენერალმა ფრანც მარკოვსკიმ კი განაცხადა, რომ - "სამხედრო აქცია (მოქმედება) საბჭოთა კავშირის არც ერთ რეგიონში არ არის განზრახულიო". მიხეილ გორბაჩოვის მრჩეველი - მარშალი სერგეი ახრომეევი" ხაზგასმით ამბობდა, რომ ბალტიისპირეთში უკვე საკმარისი ჯარისკაცებიაო. სწორედ ამ დროს, ლიტვაში შეყვანილ იქნა ათასი სადესანტო ჯარისკაცი თითქოს ბალტიელი დეზერტირების შესაპყრობად. და ვილნიუსში განმეორდა 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენს დედაქალაქ თბილისში: შაბათ-კვირას, ე.ი. 12-13 იანვარს ღამით, საბჭოთა სადესანტო ჯარები შეიჭრნენ ვილნიუსის რადიოსადგურის შენობაში, რომლის დროს ტანკებმა გასრისეს თუ მოკლულ იქნა 14 კაცი, ხოლო დაჭრილია ას-ათ კაცზე მეტი.

III.

ბალტიის რესპუბლიკებმა - ლიტვა, ლატვია, ესტონეთმა -, როგორც ცნობილია, 1989 წლის 24 დეკემბერს, - მოსახლეობის დემოკრატიული გზით არჩეული პარლამენტების გადაწყვეტილებით - გააუქმეს ე.წ.-ლი ჰიტლერ-სტალინის 1939 წლის პაქტი, რომლის ძალით ეს ქვეყნები დაიპყრო სტალინმა და შეუერთა საბჭოთა კავშირს. იმავე 1989 წლის 11 მარტს კი, ლიტვის ხალხის მიერ არჩეულმა პარლამენტმა გამოაცხადა ლიტვის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, რომლის გაუქმებას ახლა ცდილობს გორბაჩოვი შეიარაღებული ძალებით და კა-გე-ბეს მეშვეობით, რაც - თავის მხრივ -, ან უკვე უზადადებული "პერესტროიკის"="გარდაქმნის დასასრულად და "დიქტატურის დაწყებად" მიიჩნევენ, რაც "ვილნიუსის

13 იანვრის ტრაგედიამდე" განაცხადა საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატე-ბის ყრილობაზე ედუარდ შევარდნაძემ და, პროტესტის ნიშნად, გადადგა საგარეო მინისტრის თანამდებობიდან.

IV.

ამჯერადაც თამაშდება ძველი "ბოლშევიკური კომედია": თითქოს "ლიტვის ნაციონალური გადარჩენის კომიტეტმა", რომელშიც გაერთიანებულია ლიტვაში მცხოვრები რუსები და ლიტველი ბოლშევიკები, - მოითხოვა დახმარება საბჭოთა ჯარებისაგან და ბალტიის სამხედრო ოლქის სარდალმა დააკმაყოფილა ეს თხოვნა. გვახსენდება 1921 წლის თებერვალი, როცა ქართველმა და რუსმა ბოლშევიკებმა თითქოს მოთხოვეს დახმარება წითელ არმიას დამოუკიდებელ საქართველოში თითქოს აჯანყებული მშრომელების დასახმარებლად, რასაც, როგორც ცნობილია, მოყვა დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობა საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის მიერ, რაც გრძელდება დღემდე. მაგრამ კიდევ უფრო გასაკვირია ისიც, რომ თითქოს მიხეილ გორბაჩოვმა, სსრკ-ის თავდაცვის მინისტრმა - იაზოვმა, შინაგან საქმეთა მინისტრმა - პუგომ, როგორც მათ სსრკ-ის უზენაესი საბჭოს სესიაზე განაცხადეს, არაფერი არ იცოდენ ვილნიუსში მომხდარი ტრაგედიის შესახებ, და რომ კრემლიდან, თითქოს, არავითარი ბრძანება არ ყოფილა მიცემული ბალტიის სამხედრო ოლქის მეთაურისადმი, და, თითქოს, ყველაფერი ადგილზე გადაწყდა, როცა ე.წ-ლი "ლიტვის ნაციონალური გადარჩენის კომიტეტის" თხოვნა დააკმაყოფილა ბალტიის სამხედრო ოლქის სარდალმა. ასე დაიბანა ხელი გორბაჩოვმა, და ყველაფერში ლიტვის ხელმძღვანელობა დაადანაშაულა, ვინაიდან კრემლი არ ცნობს ლიტვის დამოუკიდებლობას, და ახლა იარაღის ძალითაც სურს, არა მარტო ლატვია-ესტონეთის, არამედ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ისევ სტალინური არკანებით შეკვრა, რაც, უდავოა, კარგის მომასწავებელი არ არის, განსაკუთრებით საქართველოში, სადაც უკვე ჩვენი უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით "გარდამავალი პერიოდი" გამოცხადებული, რომელსაც უნდა მოყვეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ისევ-აღდგენა.

V.

მიხეილ გორბაჩოვი განსაკუთრებით აკრიტიკებს ლიტვის პარლამენტის თავმჯდომარეს - ვიტაუტას ლანდსბერგის და ვილნიუსის 13 იანვრის ტრაგედიის შემდეგ განაცხადა, რომ -"ძნელი იქნება დიალოგის გზების მონახვა, როცა რესპუბლიკის სათავეში ასეთი ადამიანებიაო"; და იქვე დასძინა:"მე ის ტრაგიკული მოვლენები ვილნიუსში გავიგე კვირა დილასო", რაც ბადებს კითხვას: ვინ მართავს საბჭოთა კავშირს თუ გორბაჩოვის ეს განცხადება სიმართლეს შეეფერება?.. ნუთუ ანარქია უკვე ასე შორს არის წასული?!..

VI.

და დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნები, პირველ ყოვლისა, ამერიკის შეერთებული შტატები და ევროპის ქვეყნები?!..        ამერიკა-ევროპა დაკავებულია რა სპარსეთის ყურის ტრაგიკული მოვლენებით, ლიტვისა და, საერთოდ, საბჭოთა კავშირში მოქცეული დაჩაგრული ერების თვითგამორკვევის უფლებების დაცვას იმდენად ცდილობენ, რამდენადაც ეს ხელს უწყობს მიხეილ გორბაჩოვთან თანამშრომლობას, ვინაიდან, როგორც ჩანს, "გორბი" - ასე უწოდებენ გორბაჩოვს დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის მედიუმებიც - მათთვის მაინც "მშვიდობის ნობელის პრემიის ლაურეატი" რჩება, თუმცა უკვე კრიტიკული შენიშვნებიც გაისმის.

VII.

ამის შედეგია ის, რომ ლიტვის პარლამენტის პრეზიდენტის - ვიტაუტას ლანდსბერგის - მოთხოვნა, ბალტიის რესპუბლიკების პრობლემების მოგვარების მიზნით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა - ხავიერ პერეზ დე კუელიარმა - მოიწვიოს ამ რესპუბლიკების თათბირი რუსეთთან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მფარველობის ქვეშ, - დარჩა "ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა". აღსანიშნავია აგრეთვე, რომ გორბაჩოვმა როგორც პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა თქვა, პარასკევს, 11 იანვარს, ე.ი. ვილნიუსის ტრაგედიის წინ, - ოცდა-ხუთი წუთის განმავლობაში ელაპარაკა ბუშს ტელეფონით, თუმცა უცნობია რა უთხრეს გორბაჩოვმა და ბუშმა ერთმანეთს. ზოგიერთი კორესპონდენტი გამოთქვამს აზრს, რომ თითქოს გორბაჩოვმა ბუშს უთხრა, რომ განზრახული აქვს ლიტვის "სტრატეგიული პუნქტების" დაკავება.

VIII.

და რა გასაკვირია, რომ - მიუხედავად სპარსეთის ყურის ტრაგედიისა - ქალაქ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვილნიუსის 13 იანვრის ტრაგედიაც მსოფლიო პრესის ყურადღების ცენტრში მოექცა:

"ფრანკფურტერ რუნდშაუ", გავლენიანი გერმანული გაზეთი, სხვა შორის, წერს:

"ასე თუ ისე - ეს არის გორბაჩოვის დასასრული...სისხლიანმა მოქმედებამ ვილნიუსსა და კაუნასში გორბაჩოვი გაანადგურა როგორც პოლიტიკოსი. ასეთ პიროვნებაზე შეიძლება უარი ითქვას, თუნდაც იგი იყოს მშვიდობის ნობელის პრემიის ლაურეატი. ამით კი განადგურდა ყველა იმედი საბჭოთა კავშირის, — როგორც კავშირი თავისუფალი ხალხების ,-განვითარებისა."(14.1.91).

"ლიბერასიონ"(პარიზი), თავის 14 იანვრის ნომერში წერს:

"დიქტატურა ჯერ კიდევ არ არის მთელ საბჭოთა კავშირში ისევ-დამყარებული; მაგრამ გააჩნია გორბაჩოვს საშუალება იგი ისევ დაამყაროს? ვილნიუსში მოკლულები კი ნათელყოფენ იმის დასამარებას, რაც "პერესტროიკად" იყო წოდებული. მასთან ერთად იმარხება გორბაჩოვიც, რომელიც ხელისუფლებაშია 1985 წლიდან..."

"კორიერე დელა სერა"(რომი) წერს:

"ვინ იძლევა ბრძანებებს მოსკოვში?....და თუ გენერლები იძლევიან ბრძანებებს, მაშინ გორბაჩოვის დღეები კრემლში უკვე დათვლილია."

ინგლისური გაზეთი "ინდეპენდენტ"(ლონდონი), სხვათა შორის,.წერს:

"სისტემატიური რეპრესიები ერების წინააღმდეგ, რომლებიც საბჭოთა კავშირს ქმნიან, შეუთავსებელია ლიბერალიზაციისა და მოდერნიზაციის ტენდენციებთან, რამაც გორბაჩოვი ასე პოპულარული გახადა დასავლეთის მთავრობებსა და ხალხებში".

"არის გორბაჩოვი ფუკე?" - ასეთ სათაურს აძლევს თავის კომენტარს ბერნჰარდ კიუპერსი 14 იანვრის(1991 წ.) გაზეთ "ზიუდდოიჩე-ცაიტუნგში"(გერმანია) და წერს:

"რადიო კაუნასის მოწოდება რუსი ჯარისკაცებისადმი -"ჩვენი თავისუფლება არის თქვენი თავისუფლება" - მეზრუნველობითაც სამართლიანია: ლიტვის თვითგამორკვევის უფლება მხოლოდ ერთი ნაწილია იმ მოძრაობისა სამართლიანობისა და დემოკრატიისათვის საბჭოთა კავშირში... ახლა წარმოშვა კრემლისაგან ძალადობის გამოყენებამ ბალტიისპირეთში - ამ "ქვეყანაში ნავთობის გარეშე" - მეტად რთული მხოლოდ პოლიტიკური კონსტელაცია..."

"თუ ეს დასაწყისი იყო პოლიტიკური რეფორმაციის წინააღმდეგ ძალის გამოყენებისა ან სამოქალაქო ომის დაწყებისა საბჭოთა კავშირში, - მაშინ პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით თვით გორბაჩოვმა გადადგა."

IX.

ლეონიდ შარინმა, სსრკ-ს უზენაესი საბჭოს თავდაცვის კომისიის მოადგილემ, განაცხადა, პოტსდამში, რომ მიხეილ გორბაჩოვს უნდა ცოდნოდა სამხედრო მოქმედების შესახებ ლიტვაში. "მე არ შემიძლია წარმოვიდგინო პრეზიდენტი, რომელმაც ასეთი რამ არ იცის". ამას ადასტურებს, ჩვენის აზრით, ისიც, რომ ე.წ-ლი "ინტერფრონტი" და მისი ხელმძღვანელი ანატოლი ალექსეევი, - ეს პრორუსული მეხუთე კოლონა ბალტიისპირეთში, - "შეხმატკბილებულად" მოქმედებს გენერალ ფედორ კუზმინთან, ბალტიისპირეთის სამხედრო ოლქ ის სარდალთან, რომელმაც მოითხოვა, აშკარად, ლიტვის ხელმძღვანელობისაგან დაემორჩილონ "საბჭოთა კანონებს". გენერალ ვლადიმირ უსკოპჩიკმა, "ვილნიუსის ტრაგედიის" პასუხისმგებელმა, რომლის დროს 14 ადამიანი დაიღუპა, - თქვა, რომ ის დგას "ნაციონალური გადარჩენის კომიტეტის", ე.ი. პრორუსული მეხუთე კოლონის მხარეზე. სსრკ-ს შინაგან საქმეთა მინისტრმა- ბორის პუგომ და თავდაცვის მინისტრმა - დიმიტრი იაზოვმა - უზენაეს საბჭოში განაცხადეს, რომ მათ არ გაუციათ ბრძანება ბალტიისპირეთში სამხედრო მოქმედების შესახებ.

"მეორდება - წერს გერმანული გაზეთი "ზიუდდოიჩე-ცაიტუნგი"(16.1.91 წ.) - 1989 წლის 9 აპრილის თბილისის სიტუაცია, როცა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის დემონსტრაციების დროს ჯარისკაცებმა დახოცეს 19 დემონსტრანტი".

"...ეს არის შენიღბვის ცდა..."- განაგრძობს გაზეთი და დასძენს:"მოსკოვში იმყოფებიან ისინი,ვინც ყველაფერი ეს იციან და არა ვილნიუსში. თუ გორბაჩოვი მათ რიცხვში არ არის, მაშინ კიდევ უფრო უარესი მისთვის. ახლა ჯარი მოქმედებს ლატვიელების წინააღმდეგ; ახლა უნდა იცოდეს გორბაჩოვმა ეს".

X.

რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს თავჯდომარე - ბორის ელცინი - ხედავს "ვილნიუსის 13 იანვრის ტრაგედიაში" შეტევას დემოკრატიის წინაა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლმდეგ საბჭოთა კავშირში, და მოითხოვს "საკუთარი არმიის შექმნას"."რუსეთმა - თქვა მან - უნდა დაიცვას თავისი სუვერენობა", რომლისათვის საჭიროა სამი ძირითადი ღონისძიების დაცვა: ყოველთვის ფხიზლად ვიყოთ, რუსეთის უშიშროების კომიტეტი შევქმნათ და რუსული არმია ჩამოყალიბდეს. მიხეილ გორბაჩოვმა კი პროვოკაციად მონათლა ელცინის აღნიშნული გამოსვლა.

XI.

და დასავლეთი? - დასავლეთი - შეერთებული შტატები, ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია და მათი მოკავშირეები თუ თანამოაზრეები თვით გორბაჩოვის ჩათვლით, "დაკავებული" არიან"ქუვეითის განთავისუფლებით" და გაჩაღებულია ომი სპარსეთის უბეში... ამ დროს ვის აქვს დრო და სურვილი იზრუნოს ლიტვა-ლატვია-ესტონეთის თუ საქართველოს ბედზე?!.. ქუვეითი უნდა იყოს "თავისუფალი",ვინაიდან მას ნავთობი გააჩნია. მაგრამ "მორცხვად" მაინც გაისმის ხმა საბჭოთა კავშირში მოქცეული დამონებული ერების სასარგებლოდ: ევროპის გაერთიანების საგარეო საქმეთა მინისტრებმა,15 იანვარს, გამოაქვეყნეს განცხადება, რომ "ძალის გამოყენება მიუღებელია". გერმანიის კანცლერი - ჰელმუტ კოლი - აფრთხილებს ბალტიელებს "მეტად დიდი ნაბიჯები არ გადადგან". პრეზიდენტ ბუშის სპიკერი - მარლინ ფიცუოტერი - საჯაროდ თქვა:ბუშ-გორბაჩოვის შეხვედრას 11-13 თებერვალს ატომური შეიარაღების შემცირების ხელშეკრულების ხელმოსაწერად მოსკოვში,რაც შემდეგ გადაიდო.

XII.

ახლა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების კონტროლიც მოისურვა ნობელის პრემიის ლაურეატმა, პრეზიდენტმა გორბაჩოვმა, როგორც მან თქვა, "ობიექტური ინფორმაციის ღონისძიებათა გატარების" მიზნით, და რომ "ობიექტურობის კონტროლი" უნდა იყოს სსრკ-ას უზენაესი საბჭოს ხელში,პრაქტიკულად გორბაჩოვის კონტროლის ქვეშ. სსრკ-ას უზენაესმა საბჭომ "მთლად არ დაიჩოქა" გორბაჩოვის წინაშე, მაგრამ -(275 ხმით, 32 - წინააღმდეგ, 30 - თავშეკავება)- გორბაჩოვის ეს მოთხოვნა გადასცა კომისიას შესასწავლად. სსრკ-ას უზენაესმა საბჭომ მიიღო აგრეთვე გადაწყვეტილება -(306 ხმით, 44 - წინააღმდეგი, 36 - თავშეკავება) - 1991 წლის 3 მარტს საბჭოთა კავშირში ჩატარდეს რეფერენდუმი, რომლის დროს მოქალაქეებმა უნდა გასცენ პასუხი შეკითხვას:

- "ფიქრობთ თქვენ, რომ გარდაუვალია საბჭოთა კავშირი როგორც ფედერაცია თანასწორუფლებიანი სუვერენული რესპუბლიკებისა შენარჩუნებული უნდა იქნას, რომელშიც პიროვნების უფლებები და თავისუფლება ყველა ეროვნებისა სრულიად უზრუნველყოფილი იქნება?"

XIII.

ყველაფერი ეს მოხდა იმ დროს, როცა ლიტვაში მოსახლეობა გამოემშვიდობა ვილნიუსის 13 იანვარს მომხდარი ტრაგედიის დაღუპულებს, და, წარმოიდგინეთ, რუსეთის პატრიარქმა - ალექსი მ, რომელიც ხშირად "ერთიანი და განუყოფელი" რუსეთის ქადაგებაშია, - "ცოდვა" უწოდა საბჭოთა ჯარისკაცების მხეცობას ვილნიუსში. რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ - ბორის ელცინმა - კი განაცხადა, რომ ბალტიისპირეთში თუ ძალის გამოყენებას ექნება შემთხვევა შემდეგომში, რუსები იმოქმედებენო.

XIV.

წარმოსთქვა რა სიტყვა სსრკ-ას უზენაესი საბჭოს სესიაზე "ვილნიუსის ტრაგედიის" შემდეგ, დასავლეთ ევროპის დიდი გაზეთები ეჭვს გამოთქვამენ,რომ გორბაჩოვი, საერთოდ, ხელისუფლების სათავეშია. გერმანელი კორესპონდენტი, მოსკოვში, ბერნჰარდ კიუპერსი, წერს:

გორბაჩოვი "...მხოლოდ უკვე თოჯინაა იმ სცენარში, რომლის ავტორებია კაგე-ბე, არმია, სამხედრო ინდუსტრია და კომპარტიის ძველი სტრუქტურები?.."

"ამ "თბილისური სცენარის" მიხედვით, - განაგრძობს კიუპერსი, - რომლის შესახებ ბორის ელცინი ლაპარაკობდა, გორბაჩოვმა, შინაგან საქმეთა მინისტრის ბორის პუგოსა და თავდაცვის მინისტრის - დიმიტრი იაზოვის მსგავსად, - ვილნიუსის სისხლიანი კვირის საქმეში ბრალი დადო ლიტვის რესპუბლიკის ხელმძღვანელობას.საბჭოთა ჯარისკაცების მოქმედების პასუხისმგებლობა ვილნიუსში, ქალაქის კომენდანტს უსოპჩიკს ეკისრება, რომელსაც თხოვა დახმარებისათვის "ლიტვის ნაციონალური გადარჩენის კომიტეტმა". ამგვარი კომიტეტი კი ვილნიუსში კორესპონდენტებმა საერთოდ ვერ "აღმოაჩინეს", რის გამო სსრკ-ას აწ უკვე გადაყენებულმა შინაგან საქმეთა მინისტრმა - ვადიმ ბაკატინმამას"რაღაც კომიტეტი" უწოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XV.

ეკონომიკის პროფესორმა - სტანისლავ შატალინმა -,ა.წ-ლი "ხუთასი დღის გეგმის" ავტორმა სსრკ-ს ეკონომიკური რეფორმისათვის, - განაცხადა, რომ - "მე აღარ ვმღერი უკვე გორბაჩოვის გუნდში". სტანისლავ შატალინმა ხელი მოაწერა "მოსკოვსკიე ნოვოსტის" პირველ გვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებას, სხვა ლიბერალ ინტელიგენციის წარმომადგენლებთან ერთად, - რომლის დევიზია:"ბოროტმოქმედება ერთი რეჟიმისა, რომელსაც არ სურს გადადგეს!" "ჩემთვის ნათელია, - დასძინა შატალინმა - რომ ახლანდელი სცენარი დაწერილია მარჯვენა ხელით". ტელეხედვის საინფორმაციო გადაცემა -"ვრემია" და საკლუხის განცხადებები უკვე იყენებენ ძველ ტრაფარეტებს და,წარმოიდგინეთ, ლიტვის ხალხის მიერ არჩეულ მთავრობასა და პარლამენტს "ფაშისტურ რეჟიმს" უწოდებენ. უკვე გაბატონებულია ტონი, რომელიც გასულ შემოდგომაზე, დაამკვიდრეს "შავმა პოლკოვნიკებმა" - ვიქტორ ალკსნისმა და ნიკოლაი პეტრუშენკომ - სსრკ-ს პარლამენტში, როგორც კონსერვატიული დაჯგუფების "სოიუზის" წარმომადგენლებმა.

XVI.

"პოკლენები ლიტვაში - ბოროტმოქმედებაა", ნათქვამია ოცდა-ათი,სხვადასხვა ჟანრის ინტელიგენციის წარმომადგენლის განცხადებაში ლიტვაში მომხდარი ტრაგედიის შესახებ, რომელთა შორისაა კინორეჟისორი თენგიზ აბულაძე, მოსკოვის ქალაქის თავი გავრილ პოპოვი, ეკონომიკის მეცნიერი ოლეგ ბოგომოლოვი თუ სოციოლოგი ტატიანა ზასლავსკაია; აგრეთვე,როგორც ავღნიშნეთ, სტანისლავ შატალინი. "13 იანვრის სისხლიან კვირას ვილნიუსში მოკლულ იქნა დემოკრატია", - ნათქვამია ამ განცხადებაში. "ამ სისხლიანი კვირის შემდეგ დარჩა რაიმე იმისაგან, რასაც უკანასკნელ წლებში გორბაჩოვი უწოდებდა -"ჰუმანურ სოციალიზმს","ახალ აზროვნებას", "საერთოევროპულ სახლს?" - თითქმის არაფერი არ დარჩენილა მისგან".

XVII.

ლიტვის უზენაესი საბჭოს=პარლამენტის თავმჯდომარემ - ვიტაუტას ლანდსბერგისმა 16 იანვარს(1991 წ.) განაცხადა, რომ უკვე "...ომია დამოუკიდებელ რესპუბლიკა ლიტვასა და საბჭოთა კავშირს შორის". დასავლეთის სახელმწიფოებს კი მოუწოდა, რომ ბოლოსდაბოლოს გაიგონ, რომ კრემლში "...წითელ ფაშისტებმა, ატომური ბომბებით ხელში," ხელისუფლებას დაეპატრონენ. სსრკ-ს კომპარტიის პოლიტბიურომ კი რუსეთის ფედერაციის, ესტონეთის, ლიტვისა და ლატვიის უზენაესი საბჭოების თავმჯდომარეების მოწოდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის - ხავიერ პერეზ დე კუელიარისადმი - უწოდა უგულებელყოფა საბჭოთა კავშირის ავტორიტეტისა და სუვერენობისა. გერმანელი კომენტატორი - იოსეფ რიდმილერი(18.1.91 წ.) - ეხება რა გორბაჩოვ-ელცინის მოქიშპეობას, - წერს:"გორბაჩოვს სურს ელცინი ანგარიშში საერთოდ არ შეიყვანოს. ელცინმა კი ბალტიისპირეთის სამი რესპუბლიკის პრეზიდენტებთან შეთანხმდა ურთიერთ დახმარებასა და ცნობაზე, და მოუწოდა რუს ჯარისკაცებს პოლიტიკურად ბოროტად არ იქნან გამოყენებული... ბორის ელცინი არის ადამიანი, რომლის უნდა ეშინოდეს გორბაჩოვს და არა ლანდსბერგის..." კომენტატორი დასძენს:"გორბაჩოვი მიდის უკან".

XVIII.

რუსეთშიც თავს იჩენს თანაგრძნობა ბალტიისპირეთის რესპუბლიკებისადმი. "როსიისკაია გაზეტა-მ" გამოაქვეყნა 116-ი ცნობილი ხელოვანისა და მეცნიერის მიერ ხელმოწერილი მიმართვა, რომელშიც, სხვათა შორის, ნათქვამია:

"...დღეს ვხედავთ ჩვენ 1985 წლის აპრილში დაწყებული პერესტროიკა როგორ იქნა დახვრეტილი 1991 წლის 13 იანვარს ლიტვაში".

"რა შეგვიძლია ჩვენ ახლა გავაკეთოთ? -

ამ დრამატულ მომენტში, როცა პრეზიდენტმა და პარლამენტმა დემოკრატიას უღალატეს, მოგიწოდებთ თქვენ, ლეგიტიმურ= კანონიერ, ხალხისაგან არჩეულ პარლამენტებსა და მთავრობებს რესპუბლიკებში მხარი დაუჭიროთ. ისინი არიან დავის გარეშე. მათ არ გააჩნიათ არმია და კა-გე-ბე. მხოლოდ ფართო მხარდაჭერა მისცემს მათ ძალას დაიცვა ს სუვერენობა და კანონიერება. რესპუბლიკების კავშირი შეუძლებელია შენარჩუნებულ იქნას ხიშტებითა და ტანკებით... როგორც პირველ ნაბიჯს მოგიწოდებთ იბრძოლეთ - გამოყვანილ იქნა დამსჯელი რაზმები ბალტიისპირეთიდან დაუყონებლივ."

XIX.

18 იანვარს(1991 წ.) კი, როგორც იქნა, ვილნიუსში, ლენინისა და რუსი მხე-

დართმოაკრების სურათებით მორთულ "ოფიცერთა სახლში", გედიმინას, მანამდე, ლენინის გამზირზე, ჩატარდა "ლიტვის ნაციონალური გადარჩენის კომიტეტის" პრესკონფერენცია.ამ"კომიტეტის" სპიკერია ორთოდოქსი-კომუნისტი, ეროვნებით ლიტველი, იუოზას ერმალავიჩიუსი, თუმცა ამ ე.წ-ლი კომიტეტის წევრებს ეშინიათ მათი ვინაობის გამომჟღავნება, რომ ხალხის რისხვა არ დაატყდეს თავზე. "სპიკერის" გვერდით ზის ერთი გენერალი - იური ნაუმანი, სამხედრო ორი იურისტი, ერთი პროკურორი, რომელიც ზოგჯერ სპიკერის როლს იზარებს. იქვეა ერთი პარტიული ფუნქციონერი წითელი ჰალსტუხით, და დაინახა რა ეს სურათი, ერთმა დასავლეთელმა კორესპონდენტმა სარკასტულად შენიშნა: "ეს პირები გამოიყურებიან ისე, თითქოს ისინი ცივი-ომის-დროინდელი ჰოლივუდის ცუდი კომედიის პერსონაჟებიაო", რაზედაც გენერალმა,ცივი ხმით, უპასუხა:"სამწუხაროთ, ესენი კი არ არიან ფილმიდან, არამედ ბრუტალური რეალობაა".

მეორე დასავლეთელმა კორესპონდენტმა,-როცა ამ ე.წ-ლი"კომიტეტის" მესვეურებმა დაიწყეს ვილნიუსის 13 იანვრის ტრაგედიის გამართლება და ბრალი ლიტვის უზენაესი საბჭოს=პარლამენტის თავჯდომარეს - ლანდსბერგისს - დადეს, - თქვა: "სწორედ ასე ჩატარდა პრესკონფერენცია ჩეხოსლოვაკიაში ჯარების შეყვანის შემდეგ, 1968 წელს და ავღანეთში საბჭოთა ჯარების შეყვანის შემდეგ 1979 წელსო". და აქ გვაგონდება 1921 წლის 25 თებერვლის ტრაგედია, როცა დამოუკიდებელ საქართველოში, წითელი არმიის იარაღის ძალით, შემოვიდენ ქართველი და სხვა ერების ბოლშევიკები და საქართველოს, ქართველ ერს დანა ზურგში ჩასცეს, რის შედეგი დღესაც სამიმროებაში აჭენებს ჩვენს სამშობლოს. ღმერთმა დაგვიფაროს ანალოგიური მოვლენისაგან, თუმცა ვის შეუძლია დიდმპყრობელ-შოვინისტებისა და მათი დამქაშების მუხანათობის განჭვრეტა?!..

XX.

"თბილისური სცენარის" მიხედვით მომხდარი "ვილნიუსის 13 იანვრის ტრაგედიის" შესახებ, საყურადღებო ცნობებს აქვეყნებს გერმანული ჟურნალი "შპიგელი" (4-1991 წ.,გვ.130-131), რომელიც წერს:

"პუჩი ღამით", ასე დაახასიათა 13 იანვრის ტრაგედია ვილნიუსში, სსრკ-ის ყოფილმა შინაგან საქმეთა მინისტრმა - ვადიმ ბაკატინმა და დასძინა:"კრიმინალურმა გაერთიანებებმა" შეძლეს რიგაში და ვილნიუსში რადიო-ტელეხედვის ცენტრების დაკავება, მაგრამ პუჩისტებმა ვერ შეძლეს პარლამენტის აღება ვილნიუსში, რომელსაც დემონსტრანტები თავიანთი სხეულით იცავდენ. ვიტაუტას ლანდსბერგისმა კი გორბაჩოვს უწოდა "ჩვეულებრივი ფაშისტი" და "მკვლელი". მისტერ გორბაჩოვმა თითქოს არაფერი არ იცოდა "ვილნიუსის 13 იანვრის ტრაგედიის" მომზადების შესახებ და ეს ამბები კვირა-დილით გაიგო, ხოლო ამ ტრაგედიაში ბრალი დადო ბალტიისპირეთის რესპუბლიკებს.

როცა გორბაჩოვი ლაპარაკობს, რომ მან არაფერი არ იცოდა ვილნიუსის 13 იანვრის ტრაგედიის მომზადების შესახებ, - წერს ჟურნალი - ამგვარი თავის გამართლება დაიწყო გორბაჩოვმა "1989 წლის 9 აპრილის თბილისის ტრაგედიის" შემდეგაც, როცა საბჭოთა სადესანტო ჯარებმა ორლესილი ბარებითა და ქიმიური საწამლავი ნივთიერებებით მოკლეს 19 მშვიდობიანი დემონსტრანტი და დაჭრეს თუ მოწამლეს ათასობით ადამიანები. "სინამდვილეში - წერს სიტყვა-სიტყვით "შპიგელი" - გორბაჩოვს, 1989 წლის 7 აპრილს, ე.ი.თბილისის ტრაგედიის ორი დღით ადრე, აცნობეს მოსკოვის აეროდრომზე განზრახული დარბევის შესახებ დემონსტრანტებზე თბილისში."

განსაკუთრებულ ყურ ადღებას აქცევს ჟურნალი "შპიგელი" რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს თავჯდომარის - ბორის ელცინის - განცხადებას, რომელშიც მან მოუწოდა რუს ჯარისკაცებს არ შეასრულონ ცეცხლის გახსნის ბრძანება სამოქალაქო პირებისა და ხალხისაგან არჩეული დეპუტატების თუ სუვერენული რესპუბლიკების ხელმძღვანელობის წინააღმდეგ. თუ თქვენ ასეთ ბრძანებებს შეასრულებთ, თქვა ბორის ელცინმა,- "მაშინ თქვენ გახდებით,ბნელი სამხედრო ძალების ხელში, უბრალო ხრახნები". როგორც ჩანს, ბორის ელცინის ამგვარ განცხადებას უშედეგოთ არ ჩაუვლია: "ლიტვის დედაქალაქ კაუნასში ჯარისკაცებმა უარი თქვეს ტელევიზიის დაკავების ბრძანების შესრულებაზე. ქალაქ ვიტებსკის სადესანტო ჯარებმა ბელორუსიაში, უარი თქვეს მათ გადაყვანაზე ლიტვის დედაქალაქ რიგაში. საოკუპაციო ჯარების უფროსლეიტენანტმა - ვლადიმირ ცარბანოვმა -, განაგრძობს ჟურნალი, - განაცხადა, რომ ის არ იბრძოლებს "პატარა ერის წინააღმდეგ, რომლის ერთადერთი შეცდომა იმაში გამოიხატება, რომ თავისუფალი და დამოუკიდებელი იყოს". გასულ კვირაში, უფროსლეიტენანტმა ვლადიმირ

ტარხანოვმა, მის ქვეშ მყოფ"ჯარისკაცები არ გაიყვანა საზრძოლველად."
საინტერესოა აგრეთვე სსრკ-ის შინაგან საქმეთა მინისტრის - ბორის პუგოს -
განცხადება, რომ თითქოს ქალაქ ვილნიუსში, ტელევიზიის ცენტრთან,დემონსტრან-
ტებმა მოკლეს ერთი საბჭოთა ლეიტენანტი. ამის შესახებ, ნორვეგიული ტელე-
ხედვის კორესპონდენტი, რომელმაც კინოფირზე შეხძლო ამ ამბის აღბეჭდვა,
წერს, რომ ამ ლეიტენანტმა ავტომატი მიუშვირა დემონსტრანტებს,რომლის დროს
მისმა ჯარისკაცებმა შეაჩერეს იგი. ტელეხედვის ცენტრთან კი მოკლულ იქნა
ტყვიით ზურგში; მის უკან იდგნენ მისივე ჯარისკაცები".

XXI.

ვითომ იმელისმომცემია ასი-ათასობით მოსკოველების დემონსტრანცია მოსკოვში,
1991 წლის 20 იანვარს, საბჭოთა შეიარაღებული ძალების სისხლიანი მოქმედე-
ბის წინააღმდეგ ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსში და ლატვიის დედაქალაქ რიგაში? -
"დიქტატურის საშიშროება ახ და რეალური ხდება", გაიძახოდნენ დემონსტრანტები
და თან მიჰქონდა გორბაჩოვის სურათი სტალინის ულვაშებით. "გადადექი, გადა-
დექი!" მოუწოდებდნენ გორბაჩოვს, და დემონსტრანტები გაიძახოდნენ:"ხელები მორს
ლიტვიდან!" - "დღეს ლიტვა, ხვალ რუსეთი!" და იმავე კვირას, 20 იანვარს,
"რიგას ტრაგედიას" ჰქონდა ადგილი, როცა საბჭოთა ჯარები შეიჭრნენ ლატვიის
შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში, რომლის დროს მოკლულ იქნა ოთხი და
დაჭრილ იქნა მრავალი ადამიანი. რეიტერის კორესპონდენტის გადმოცემით, ამ
შეტაკებებისას ჯავშნიანი ავტომობილებიც იყო ჩაბმული ბრძოლებში.

ვითომ იმელის-მომცემია აგრეთვე "დემოკრატიული რუსეთის" პარტიის,
როგორც კომპარტიის ოპოზიციური პარტიის ჩამოყალიბება, როგორც ეს მოსკოვის
ქალაქის საბჭოს დეპუტატმა ს.კამჩატოვმა განაცხადა, რომელმაც მოსკოვის
სამასი-ათასიან დემონსტრაციაზე, კვირას, 20 იანვარს, მხარი დაუჭირა ბალ-
ტიისპირეთის რესპუბლიკების დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფებას?..

XXII.

ცდავოა, იმელის-მომცემია ლიტველი, ლატვიელი, ესტონელი და ახლა
ქართველი ხალხის თითქმის ერთხმოვანი მოთხოვნა, რომ ლიტვა, ლატვია, ესტო-
ნეთი და საქართველო უნდა ისევ-გახდნენ დამოუკიდებელი და სუვერენული სახელ-
მწიფოები, რაც ჩვენმა ხალხმა, ქართველმა ერმა გამოთქვა 1991 წლის 31 მარ-
ტის რეფერენდუმში, და ამით კიდევ ერთხელ ურყევრად მხარი დაუჭირა 26 მაი-
სის დიად იდეას, ე.ი.საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და
სუვერენობის ისევ-აღდგენას, რაც ყურად იღო საქართველოს უზენაესმა საბჭომ,
რომელმაც 1991 წლის 9 აპრილს გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობის ისევ-
აღდგენა - 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ბაზაზე.

კარლო ინასარიძე
პარიზი, 1991 წლის მაისი

## შვეიცარიის დამოუკიდებლობის 700 წლისთავი

I.

მსოფლიოში არსებობს სახელმწიფოებიც, რომელთაც ისეთი ისტორიის "ჩარხის
უკუღმა ტრიალი" არ განუცდიათ, როგორც საქართველომ. კიდევ მეტი: მთელი
მისი სახელმწიფოებრივი არსებობის განმავლობაში სახელმწიფოებრივი დამოუ-
კიდებლობა და სუვერენობა დღემდე შეინარჩუნეს, და ასეთი- შეიძლება ერთად-
ერთი,სახელმწიფოა მთელ მსოფლიოში შ ვ ე ი ც ა რ ი ა, რომელიც მიმდინა-
რე 1991 წელს აღნიშნავს მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შვიდასი
წლისთავს.

II.

პირველ აგვისტოს 1291 წელს, როგორც ეს თარიღი გამოცხადებულ იქნა ეროვნულ
დღესასწაულად შვეიცარიაში, - შეიქმნა "შვეიცარიის შეფიცულთა ერთობა(ლათი-
ნურად: Confoederatio Helvetica გერ.: Schweizerische Eidgenossenschaft
ფრანგულად: Confédération Suisse
იტალიურად: Confederatione Svizzera.

III.

შვეიცარია არის ფედერაციული სახელმწიფო, რომლის ტერიტორია უდრის 41.288
კვადრატულ კილომეტრს; მოსახლეობა - 6.270.000 სული(1970 წ.).
შვეიცარია, 1874 წლის 29 მაისის კონსტიტუციის თანახმად, არის დემოკრატი-

ული ფედერაციული სახელმწიფო, რომელიც შედგება 19-ი სრული და 6-ი ნახევარი-კანტონისაგან, რომელთაც მეტად ფართო უფლებამოსილება გააჩნიათ. შვეიცარიის კანონმდებლობითი ორგანოა "ფედერაციული კრება, რომელიც შედგება ორი პალატისაგან: ნაციონალური საბჭოსა და ფენათა საბჭოსაგან. ორივე პალატა, ეროვნული საბჭოს პრეზიდენტის თავჯდომარეობით, უფლებამოსილია კანონმდებლობის, სახელმწიფო ხელშეკრულებების დადებისა და ადმინისტრაციის (მთავრობის) კონტროლის ფუნქციებით. ფენათა საბჭო ანუ "სახელმწიფო საბჭო", რომელიც 44-ი წევრისაგან შედგება(ორი წევრი "სრული კანტონიდან" და ერთი - "ნახევარ-კანტონიდან) ირჩევა ყოველ ოთხ წელიწადში, ხშირად, ეროვნული საბჭოს დეპუტატებთან ერთად, რომელთა რაოდენობა ორასია.

IV.

"შვეიცარიის მეფიცულთა ერთობა",ე.ი.შვეიცარიის სახელმწიფო შეიქმნა 1291-ს წელს, როცა სამი უძველესი კანტონი - ურის,შვიცის, უნტერვალდენის მცხოვრებლებმა შეფიცეს ერთმანეთს "მარადიული ერთობა". თუ რამდენად მართალია ვილჰელმ ტელის ამბავი და პირველი ე.წ.-ლი"რიუტლის ფიცი", დღემდე სადავო საკითხად რჩება. მომდევნო საუკუნეში "მარადიული ერთობა" განახლებული და გაფართოებულ იქნა:1315 წელს "მარადიულ ერთობას" შეუერთდა ციურიხი, 1332 წელს - ლუცერნი, 1352 წელს - გლარუსი და ცუგი, 1353 წელს - ბერნი; და მიღებულ იქნა "მეფიცულთა ერთობის" სახელწოდებად "შვიც-ი". ამგვარად, საფრანგეთის დიდი რევოლუციის მიერ შექმნილი ცნება ნაციისა, გამორდა გამორდა ენისა და კონფესიის საზღვრებს და შეიქმნა ერთი ნაცია ოთხი სხვადასხვა ერისა და ენების დაჯგუფებისაგან - გერმანელების, ფრანგების, იტალიელებისა და რეტორომანელებისაგან, რომლებიც მშვიდობიანად ცხოვრობენ ერთად, მიუხედავათ გერმანია-საფრანგეთ-იტალიის არაერთი უთანხმოება-ომებისა.

V.

შვეიცარია დღეს სანიმუშო პატარა სახელმწიფოა თავისი პოლიტიკური მრავალპარტიული სისტემით, ეკონომიკური და სოციალური ქსელით. შვეიცარიული ფრანკი თითქმის ერთ დოლარს უთანასწორდება, და საერთაშორისო ვაჭრობაში ერთერთი ყველაზე უფრო მყარი ვალუტაა. მიუხედავათ იმისა, რომ შვეიცარია მთაგორიანია, და მისი ტერიტორიის მხოლოდ 30-ი პროცენტი გამოსადეგია სახნავ-სათეს მიწებად, და,ამავე დროს, ნედლი მასალით მდიდარი არ არის,-მისი ნეიტრალობის წყალობით, - ეკონომიკურად ერთერთი მძიერი ინდუსტრიული ქვეყანაა. შვეიცარიის ბრუტო-სოციალური-პროდუქცია, მაგალითად, 1950 წლიდან 1971-ს წლამდე გაიზარდა ოცი-მილიარდი შვეიცარიული ფრანკით და უდრიდა ას-მილიარდ ფრანკს.

VI.

ამგვარად, შვეიცარია სანიმუშო პატარა სახელმწიფოა მსოფლიო მასშტაბით და ბევრი წასაბაძი მაგალითის მომცემი გახდება ჩვენთვის, როცა ფაქტიურადაც ისევ-აღდგება ბა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სუვერენობა. აქვე გვსურს აღვნიშნოთ, რომ დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის შემუშავებისას 1918-1921 წლებში, რომელიც მიღებული და დამტკიცებულ იქნა 1921 წლის 21 თებერვალს, - მხედველობაში იქნა მიღებული შვეიცარიის კონსტიტუცია, დემოკრატიული სახელმწიფოების სხვა კონსტიტუციების გვერდით. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ქართველი სტუდენტობა მეტად ეტანებოდა შვეიცარიის სახელგანთქმულ უნივერსიტეტებში სწავლას, განსაკუთრებით ჟენევაში.

VII.

და აღვნიშნავთ რა დღეს შვეიცარიის სახელმწიფოებრივი არსებობის შვიდასი წლისთავს, აქვე აღვნიშნავთ იმ ისტორიულ ფაქტსაც, რომ შვეიცარიამ 1920 წელს იცნო დე ფაქტო და დე იურე საქართველოს დამოუკიდებლობა და დიდი დახმარება გაუწია საქართველოს დიპლომატიურად,საერთაშორისო ცნობის საქმეში, რასაც მოჰყვა, როგორც ცნობილია, საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა ოცზე მეტი სახელმწიფოს მიერ და ამით საქართველოს საერთაშორისო არენაზე დამკვიდრება.

VIII.

მაშ, ვულოცავთ შვეიცარიის ხალხს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შვიდასი წლისთავს!..მრავალჟამიერ!..

კარლო ინასარიძე

პარიზი,1991 წლის მაისი

## მთავრდება ნავთობის ხანა?..

I.

ტექნიკის დღევანდელი დონით თუ ვანვსჯით, ორმოცი პროცენტი ნავთობის მსოფლიო მარაგისა უკვე დახარჯულია. მხოლოდ "ოპეკ-ის" ქვეყნებს, ე.ი. ნავთობის ექსპორტის მწარმოებელ ქვეყნებს - საუდის არაბეთს, ერაყს, ქუვეითს თუ ვენესუელას - შეუძლიათ "შავი ოქროთი" მსოფლიოს ეკონომიკური წონასწორობის, განსაკუთრებით ინდუსტრიული ქვეყნების მერყევა. არაბეთის უდაბნოს ქვეშ კიდევ მოიპოვება, სულ ცოტა, ოთხმოცდა-თერთმეტი მილიარდი ტონა "შავი ოქრო". დასავლეთის ინდუსტრიულ ქვეყნებში კი ნავთობი უკვე მცირეა: რეზერვების დაახლოებით სამი-მეოთხედი უკვე დახარჯულია. ჩაიჭერენ ისევ ნავთობის მარაგები ინდუსტრიულ ქვეყნებს ხელში, თუ მოსალოდნელია ისევ ომი სპარსეთის ყურეში თუ "სადამ-ჰუსეინები" ისევ წარმოიშვებიან?!..

II.

ნავთობის რეზერვების დიაგრამა კი ასე გამოიყურება:(1989 წლის ცნობები):




III.

ვითომ ატომისა და ელექტრონიკის ეპოქა შესძლებს "ნავთობის ხანა" შეცვალოს, ვთქვათ, "წყალბადის" თუ სხვა ენერგიით?..

კ.ი.
პარიზი, 1991 წლის მაისი

- -

## ქართული ემიგრაციის ყოფა-ცხოვრება

### პარიზის წმ.ნინოს ეკლესიის ახალი დიაკონი
### არჩილ დავრიშაშვილი

1991 წლის 10 მარტს, პარიზში, წმ.ნინოს ეკლესიაში, უამრავმა მლოცველმა მოიყარა თავი, რათა დასწრებოდა საზეიმო ღვთისმსახურებას, რომლის დროს პარიზის წმ. ნინოს ეკლესიის დიაკონად აკურთხეს - პარიზში დაბადებული და აღზრდილი ახალგაზრდა - არჩილ დავითის ძე დავრიშაშვილი. ღვთისმსახურებას ხელმძღვანელობდა, მისი უწმინდესობა, ეპისკოპოსი იერემია. ღვთის მსახურებაში მონაწილეობდენ აგრეთვე პარიზის წმ.ნინოს დროებითი მოძღვარი მეთოდიუს ალექსიუ და მამა სწეფანე პალლე.

არჩილ დავრიშაშვილის კურთხევის შემდეგ, გულთბილი სიტყვებით მიმართა მას ეპისკოპოსმა ერემიამ. შემდეგ წმ.ნინოს ეკლესიის მნათემ მიხეილ ვოლემ(გოგიჩაიძემ) მიესალმა პარიზის ქართული ეკლესიის საბჭოსა და მრევლს და აღნიშნა, რომ პარიზის ქართული ეკლესია ამ დიდ დღეს ელოდა მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა ჩვენი დიდი სულიერი მამა, დეკანოზი მამა ილია.

ღირსშესანიშნავი სიტყვა წარმოსთქვა დიაკონმა არჩილ დავრიშაშვილმა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლის დედა-აზრი იყო, რომ ის, მთელი თავისი ძალღონითა და ცოდნით შეეცდება ღირსეულად მოემსახუროს წმ.ნინოს პარიზის ეკლესიის მრევლს; და აგრეთვე აღნიშნა, რომ მის მოქმედებაში გზის-მაჩვენებელი იქნება "...მაღალ-ალმაჩუზული და ღირსი დეკანოზი მამა ილია მელია, ჩვენი სამრევლოს ნეტარხსენებული მოძღვარი".

პანაშვიდი წმ.ნინოს ეკლესიაში

საქართველოს დაპყრობის 70 წლისთავთან დაკავშირებით, პარიზის წმ.ნინოს ეკლესიის დროებითმა მოძღვარმა მეთოდიუს ალექსიუმ 1991 წლის 24 თებერვალს, წმ.ნინოს ეკლესიაში, გადაიხადა პანაშვიდი ყველა იმ მამულიშვილის სულის მოსახსენებლად, რომლებმაც თავის შესწირეს საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლას.

მოძღვარმა მეთოდიუს ალექსიუმ გამოთქვა რწმენა, რომ საქართველო ისევ შესძლებს დამოუკიდებლობის აღდგენას, რაც, ამავე დროს, უკვდავყოფა იქნება საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში მონაწილე დაღუპულთათვისაც.

გიორგი გვაზავას გარდაცვალების 50 წლისთავი

შესრულდა 50 წლისთავი, ცნობილი იურისტისა და საზოგადო მოღვაწის - გიორგი გვაზავას გარდაცვალებიდან.

გიორგი გვაზავა დაიბადა 1869 წლის 23 აპრილს ნაქალაქევში და გარდაიცვალა 1941 წლის 21 იანვარს პარიზში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ, ის სწავლობდა - ჯერ - მოსკოვის უნივერსიტეტში, სადაც მან იურიდიული ფაკულტეტი "ოქროს მედლით" დაამთავრა; შემდეგ კი იმავე დარგზე სწავლობდა პარიზის უნივერსიტეტში.

გიორგი გვაზავა ახალგაზრდობიდანვე ჩაება საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მუშაობაში. 1905-თ წელს მან დაარსა ეროვნული პარტია, რომლის მიზანი იყო,როგორც ყოველი პოლიტიკური პარტიისა და დაჯგუფებისა იმ დროს, ეროვნული თავისუფლების მოპოვება. 1907 წელს, გიორგი გვაზავამ შეადგინა დეკლარაცია ვარლამ ჩერქეზიშვილთან ერთად,რომელზედაც ხელი მოაწერეს 5.000-ზე მეტმა კაცმა და წარუდგინა ჰააგის კონფერენციას. ამ დეკლარაციაში ის მოითხოვდა მეფის რუსეთის მთავრობიდან 1783 წლის რუსეთ-საქართველოს ტრაქტატის დებულებების ცხოვრებაში გატარებას,ტრაქტატისა,რომელიც დადებულ იქნა მეფე ერეკლე მეორესა და იმპერატრიცა ეკატერინა II შორის. 1909 წელს კი გიორგი გვაზავამ თბილისში დაარსა ჟურნალი "საქართველოს აზრი" რუსულ ენაზე,რომელშიც ქვეყნდებოდა მასალები საქართველოს ცხოვრების სხვადასხვა მხარეებზე, განსაკუთრებით კი ეროვნულ საკითხზე. ამ წლებში გიორგი გვაზავამ იმოგზაურა ევროპაში და ჩეხოსლოვაკიაში დაესწრო სპორტიული საზოგადოების "შევარდენის" ვარჯიშობას,რომლის შესახებ შემდეგ მან დაწერა სტატია,რომელშიც გატარებული იყო აზრი, თუ როგორ ემზადებოდნენ ჩეხი ახალგაზრდები ავსტრიის ბატონობისაგან განსათავისუფლებლად, და ამ მიზნის მიღწევისათვის იყენებდა სპორტულ საზოგადოებასაც. ამავე დროს გიორგი გვაზავა მოუწოდებდა საქართველოს ახალგაზრდობას ანალოგიური საზოგადოების დაარსებისაკენ. მისმა ამგვარმა მოწოდებამ კი გამოიწვია მეფის ხელისუფლების რეპრესია და გიორგი გვაზავას მიუსაჯეს ერთი თვით თავისუფლების აღკვეთა, და სახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯელის მოხსახთელად მოათავსეს მეტეხის ციხეში. მან ეს ერთი თვით ციხეში ჯდომა გამოიყენა იმისათვის, რომ თარგმნა დიდი ბერძენი ტრაგიკოსის - სოფოკლეს - ტრაგედია "ანტიგონე" ქართულ ენაზე. ციხიდან გამოსვლისთანავე გიორგი გვაზავა ისევ მთელი თავისი არსებით ჩაება საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში, განსაკუთრებით საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წინა პერიოდსა და საქართველოს დამოუკიდებლობის დროს.

გიორგი გვაზავამ შეადგინა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის პროექტი , რის შესახებ საქართველოს პრეზიდენტი და მთავრობის თავჯდომარე - ნოე ჟორდანია - აი რას წერს თავის მოგონებაში "ჩემი წარსული", რომელიც დაიბეჭდა პარიზში 1953 წელს:

"საჭირო იყო დამოუკიდებლობის აქტის შედგენა და მიღება ეროვნულ საბჭოში. გამოვყავით კომისია ჩემთან ერთად სამუშაოთ ამ საკითხში. მე ვთხოვე კომისიის წევრს გიორგი გვაზავას შეედგინა პროექტი, როგორც იურისტს და მოეტანა ჩემთვის. მან შეადგინა, წავიკითხე, გავოცდი. სწორ, ნაციონალურ დებულებათა გვერდით იყო წამოყენებული სოციალური რეფორმების დებულებანი: რვა საათის სამუშაო დღე, მამულების კონფისკაცია და სხვა. მე ასეთი მუხლები ჩავთვალე უადგილოთ; საჭირო იყო ერთი ყველა ქართველისათვის მისაღები ნაციონალური პლატფორმა, საიდანაც უნდა გამორიცხოს ყველა გამთიშველი ელემენტები. ამ აზრის თანახმად შევასწორე პროექტი, ამოვაგდე იქიდან ყველა კლასობრივი ხასიათის მუხლები, დავტოვე მხოლოდ ნაციონალურ-პოლიტიკური ხასიათის. ასე შესწორებული წავუკითხე კომისიას. გიორგი გვაზავას ხმა არ ამოუღია; მასზე დავინახე განცვიფრების და კმაყოფილების ბეჭედი. ალბათ ფიქრობდა - ეს საცოდავი რევოლუციონერი ჩემზე უფრო ზომიერი აღმოჩნდაო. არ გაემტყუნება, რას გვიცნობდა. ამ ნაირათ დეკლარაცია შემუშავდა, რაიცა მე წავიკითხე 26 მაისს და გადაიქცა ჩვენი თავისუფლების ძირითად ქარტიად. იშვა 26 მაისი."

ასე წერს ნოე ჟორდანია თავის მოგონებაში "ჩემი წარსული" გიორგი გვაზავას შესახებ, რომლის კალამს ეკუთვნის შედგენა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის პროექტისა.

დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობის შემდეგ წითელი არმიის მიერ, 1921 წლის თებერვალ-მარტში, გიორგი გვაზავაც იძულებული გახდა, საქართველოს სხვა ცნობილ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებთან ერთად, დაეტოვებინა საქართველო და თავი შეაფარა საფრანგეთს. უცხოეთში გიორგი გვაზავამ გააჩაღა მუშაობა საქართველოს უფლებების აღსადგენად. მან დაარსა, მაგალითად, ჟურნალი "პრომეთე", რომელიც გამოდიოდა ფრანგულ ენაზე და რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობილი სხვა ერების წარმომადგენლებიც. ამავე დროს გიორგი გვაზავა განაგრძობდა კულტურული ხასიათის მოღვაწეობას; თარგმნა ქართულად რასინის "მითრიდატე", 1934 წელს დაწერა ფრანგულ ენაზე ბროშურა სათაურით "მსოფლიოს პირისპირ", თარგმნა ფრანგულად ლექსი "როსტომელა", დაარსა ქართველ მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირი საფრანგეთში, დაარსა აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციის - "ერთა ლიგის" - დამ-

ხმარე საზოგადოება იმ მიზნით, რომ ამ ინტერნაციონალურ ორგანიზაციაში დაესვა საქართველოს უფლებების დაცვის საკითხი.

გიორგი გვაზავა, აგრეთვე, თავის მოქალაქეობრივ მოვალეობად თვლიდა უცხოეთშიაც განეგრძო ერთგული სამსახური საქართველოს ეროვნულ მთავრობასა და პირადათ ნოე ჟორდანიასთან, რომლის დროს მის დიდ იურიდიულ ცოდნასა და გამოცდილებას იყენებდა ჩვენი ერის, საქართველოს სამსახურისათვის. და აი სწორედ მისი მოღვაწეობის ამგვარ ფერხულში იყო ის ჩაბმული, როცა 72-ი წლის ასაკში გარდაიცვალა პარიზში.

ამგვარად, გიორგი გვაზავამ, საქართველოს სხვა გამოჩენილ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებთან ერთად, პირნათლად მოიხადა თავისი ვალი საქართველოსა და ქართველი ერის წინაშე. ის იყო მეტად გულკეთილი, პირდაპირი, დაუღალავი და დიდი ნებისყოფის ადამიანი, როგორც საზოგადოებრივ, ისევე მის პირად, ოჯახურ ცხოვრებაში.

სხვათა შორის, გიორგი გვაზავამ - მისი პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის გვერდით - 1939 წელს გამოსცა კრებული -"ჩემი ლექსები". აი, ერთი ლექსი ამ კრებულიდან:

გ უ შ ა გ ი

(ილიას ხსოვნას)

ადგა მონა და შურდული
ხელში აიღო ნელა მან.
საქმე მას უყვარს ქურდული,
თავი მით ისახელა მან.

ჰნახა, ლაჟვარდი ჰბრჭყვიალებს,
შიგან არწივი ჰტრიალებს,
თითქო მიჰქროდეს სიოსა;
მთებსა დაჰყურებს, ბარებსა,
ჰდარაჯობს, მშობლიურ ზღვარებსა
მტერი არ შეესიოსა.

არწივს ესროლა მონამა,
სისხლის ღვარითა მონამა
ველი სამშობლო მხარისა.

ლაჟვარდი ისევ ჰბრჭყვიალებს,
მაგრამ იქ არა ჰტრიალებს
გუშაგი მთა და ბარისა.

კარლო ინასარიძე
პარიზი, 1991 წელი

## საუკუნო იყოს ხსენება მათი

ლიდა ნოზაძე გარდაიცვალა 1990 წლის 14 დეკემბერს, რომელიც დაკრძალულ იქნა ლევილის ქართულ სასაფლაოზე.

გიორგი ნოზაძე, ლიდა ნოზაძის მეუღლე, გარდაიცვალა 1991 წელს 16 თებერვალს. დაკრძალულ იქნა ლევილის ქართულ სასაფლაოზე.

შოთა მარგველაშვილი დაიბადა 1907 წლის 22 სექტემბერს, თბილისში, და გარდაიცვალა 1991 წლის 27 იანვარს ლოს ანჯელესში(აშშ).

ჯაბა ხაზულიანი გარდაიცვალა 25 თებერვალს(1991)

იროდიონ ზეციაშვილი - დაიბადა 1909 წლის 31 იანვარს კახეთში და გარდაიცვალა 1991 წლის 8 იანვარს ქ.კლერმონში(საფრანგეთი).

პიერ ქიქიაშვილი გარდაიცვალა ქალაქ ბორდოში 1991 წლის 17 თებერვალს 69 წლის ასაკში.

მერაბ კვიჭაშვილი 1991 წლის 25 იანვარს გარდაიცვალა ქალაქ არლინგტონში (აშშ) 88 წლის ასაკში.

მიხეილ თარაშვილი გარდაიცვალა 1990 წლის 17 დეკემბერს ქალაქ სენტ-ამანდში(საფრანგეთი).

საუკუნო იყოს ხსენება მათი!..

- . - . - . - . -

## ბ ა ლ ა ნ ს ი

ჟურნალ "მებრძოლი საქართველოს" 1991 წლის მაისის ნომრისა:9(27):
გასავალი(დაბეჭდვა, შეკვრა, პოსტა...) სულ - 2856 ფრანკი.
შემოწირულება: კარლო ინასარიძე............- 2856 ფრანკი.

- . - . - . - . - . -

ეროვნული ბიბლიოთეკა

# Conseil National Géorgien

## ქართული ეროვნული საბჭო

"ქართული ეროვნული საბჭო არის პოლიტიკური ორგანიზაცია, რომლის მიზანია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის ისევ-აღდგენისათვის ხელშეწყობა ყოველგვარი ლეგალური გზით. ქართული ეროვნული საბჭო თავის მოღვაწეობაში ეყრდნობა '26 მაისის იდეებს', განსაკუთრებით კი 'საქართველოს დამოუკიდებლობის აქტისა' და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის(ძირითადი კანონის) დებულებებს".

ქართული ეროვნული საბჭოს წესდება, მუხლი მესამე

"ქართული ეროვნული საბჭო თავისთავს დაშლილად გამოაცხადებს, როცა საქართველოს დედაქალაქში, თბილისში, ისევ-აღსდგება '26 მაისის იდეა', ე.ი. გამოცხადებულ იქნება საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სუვერენობა".

ქართული ეროვნული საბჭოს წესდება, მუხლი ოცდამეორე

Conseil National Géorgien
Chateau de Leuville
91310 - Leuville sur Orge
FRANCE

ვ თ ხ ო ვ თ

გამოსაქვეყნებელი მასალები, წერილები და შე-მოწირულებანი გამოგზავნოთ შემდეგ მისამართზე:

M. Mamia Berichvili
"La Géorgie Combattante"
CHATEAU DE LEUVILLE
10, rue Jules Ferry
91310 Leuville sur Orge
F r a n c e

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო   კ ო ლ ე გ ი ა


# მებრძოლი საქართველო

ქართული ეროვნული საბჭოს ორგანო

„LA GÉORGIE COMBATTANTE"

მაისი 1991 - Nr. 9(27) - Mai 1991


"ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს". ილია

"დემოკრატიის ორგანოა მოქალაქეთა უმრავლესობა. აქედან წამომდგარი ხელისუფლება არის მომქმელი, მჭრელი, მებრძოლი". ნოე

დაარსდა: იანვარი.1952,პარიზი -· Fondation: Janvier I952, Paris

ეროვნული
ბიბლიოთეკა